გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
2 აგვისტო ორშაბათი 2010
№ 179 (13 167) ფასი 60 თეთრი



დაიწყო და მერე როგორ...

რაულმა ბაიერნს დუბლი შეუსრულა

» გვერდი 7

მნიშვნელოვანი დღე. ვიწყებთ A დივიზიონს. საქართველო-პოლონეთი. 19:00

# აუტსაიდერი რკინის გულით




გიორგი ცინცაძე

## პოლონეთი დაუმარცხებელი გუნდი არ არის

» გვერდი 2




## სიცხე და ხმაური ვერ შეგვაჩერებსო...

მეტოკა

» გვერდი 3



## ცეცხლი ბიჭებო, ცეცხლი!

ვეტერანის აზრი. ინტერვიუ ზურამ მინაშვილთან

» გვერდი 3




წინასამატჩო ამბები

» გვერდი 2

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

## ევრობასკეტი 2011. შესარჩევი ტურნირი

**№4 უკანახაზელი — ლაშა გამყრელიძე**



დაიბადა: 01.02.1986
სიმაღლე: 185 სმ
გუნდი: მიტელდოიჩერი (გერმანია)
მატჩი ნაკრებში*: 22; ქულა 63

**№6 უკანახაზელი — ანატოლი ბოისა**



დაიბადა: 09.09.1983
სიმაღლე: 194 სმ
გუნდი: ენერჯი
მატჩი ნაკრებში: 18; ქულა 18

**№7 ცენტრი — ზაზა ფაჩულია**



დაიბადა: 10.02.1984
სიმაღლე: 210 სმ
გუნდი: ატლანტა ჰოქსი (NBA)
მატჩი ნაკრებში: 34*; ქულა 605

**№8 უკანახაზელი — გიორგი ცინცაძე**



დაიბადა: 07.02.0986
სიმაღლე: 192 სმ
გუნდი: სოპოტი (პოლონეთი)
მატჩი ნაკრებში: 24; ქულა 162

**№9 ცენტრი — გიორგი შერმადინი**



დაიბადა: 02.04.1989
სიმაღლე: 216 სმ
გუნდი: პანათინაიკოსი (საბერძნ.)
მატჩი ნაკრებში: 13; ქულა 56

**№10 უკანახაზელი — კოტე ტუღუში**



დაიბადა: 03.06.1984
სიმაღლე: 193 სმ
გუნდი: ენერჯი
მატჩი ნაკრებში: 12; ქულა 33

**№11 უკანახაზელი — მანუჩარ მარკოიშვილი**



დაიბადა: 17.11.1986
სიმაღლე: 196 სმ
გუნდი: კანტუ (იტალია)
მატჩი ნაკრებში: 11 ქულა 130

**№13 ფორვარდი — ვიქტორ სანიკიძე**



დაიბადა: 01.04.1986
სიმაღლე: 203 სმ
გუნდი: ვირტუსი (იტალია)
მატჩი ნაკრებში: 17; ქულა 224

**№15 ფორვარდი — ნიკა მეტრეველი**



დაიბადა: 14.01.1991
სიმაღლე: 211 სმ
გუნდი: მონტეპასკი (იტალია)
თამაში ნაკრებში: დებიუტანტი

**№21 უკანახაზელი — ტორინ გრინი**



დაიბადა: 28.11.1985
სიმაღლე: 183 სმ
გუნდი: გრან კანარია (ესპანეთი)
თამაში ნაკრებში: დებიუტანტი

**№22 ფორვარდი — ნიკოლოზ ცქიტიშვილი**



დაიბადა: 14.04.1983
სიმაღლე: 212 სმ
გუნდი: ფუენლაბრადა (ესპანეთი)
თამაში ნაკრებში: 34; ქულა 283

**№23 ფორვარდი — თორნიკე შენგელია**



დაიბადა: 05.10.1991
სიმაღლე: 198 სმ
გუნდი: ვალენსია (ესპანეთი)
თამაში ნაკრებში 3; ქულა 1

*მწვრთნელი: იგორ კოკოშკოვი (სერბეთი)*

*იგულისხმება ოფიციალური შეხვედრები



მანუჩარ მარკოიშვილი (მარცხნივ) და ტომას კელატი თბილისის მარიოტში

*საქართველო-პოლონეთი. თბილისი სპორტის სასახლე. 19:00*

# რკინისგულიანი აუტსაიდერი

ბოლო დღეებში, რატომღაც ვაჟა-ფშაველას ლექსი ამეკვიატა, რომელშიც ვაჟკაცობაზე, რკინის გულსა და ხის აბჯარზეა მოთხრობილი...

საინტერესოა, ეს ლექსი რატომ „ამედევნა" მაინცდამაინც პოლონეთთან მატჩის წინა დღეებში.

...შეიძლება იმიტომაც, რომ ამ შეხვედრის წინ ფსიქოლოგიურ განწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს - ქართველები მოედანზე რკინის გულით თუ გავლენ, მათ ვერც პოლონეთის ნაკრების მიღწევები შეაშინებს, ვერც მეტოქის გერბზე გამოსახული არწივი და ვერც ჩაქუჩი („პოლონურ ჩაქუჩს" ორლანდოელ **მარცინ გორტატს** უწოდებენ, რომელსაც NBA-ში **ზაზა ფაჩულიაზე** მეტი ნამდვილად არ გაუკეთებია).

ვაჟას ლექსში ხის აბჯარზეა ლაპარაკი... თუმცა, მე-19 საუკუნის შემდეგ კალათბურთი ძალიან განვითარდა და დაცვაში ხის აბჯრითა და მუზარადით არაფერი გამოვა - საჭიროა მტკიცე დაცვა. თუ აქამდე B დივიზიონის გუნდებთან უმთავრესად იმაზე ვფიქრობდით, როგორ გამოგვემჟღავნებინა ჩვენი კლასი და მეტოქისთვის თავზე საკუთარი თამაში როგორ მოგვეხვია, ამჯერად სხვა სიტუაციაა - კალათბურთელთა კლასით პოლონეთი ჩვენზე ნაკლები არ არის და პირველ რიგში, სწორედ მათ შეჩერებაზე უნდა ვიზრუნოთ.

A დივიზიონის გუნდებს თუ გადავხედავთ ყველაზე მეტ მსგავსებას სწორედ საქართველოსა და პოლონეთის ნაკრებებს შორის აღმოვაჩენთ: ჩვენც გვყავს NBA-ს ცენტრი (ფაჩულია) და პოლონეთსაც (გორტატი), ორივე გუნდში იტალიის პირველობის 2-2 წარმომადგენელია (**სანიკიძე-მარკოიშვილი** და **დილევიჩი-კოზარეკი**). სერია A -ს მესამე პოლონელი **შიმონ შევჩიკი** ტრავმის გამო ნაკრებს წლეულს ვერ დაეხმარება. პოლონეთისა და საქართველოს ნაკრების ფორვარდები, **ინგერსკი** და **ცქიტიშვილი** ერთმანეთის გვერდით ესპანურ „კახასოლში" 2006 წელს თამაშობდნენ. თუმცა, წლეულს პოლონეთს ვერც ინგერსკი დაეხმარება. ორივე გუნდს ნატურალიზებულებიც ესპანეთიდან ჰყავს - **კელატი** გასულ სეზონში „ვალენსიაში" ასპარეზობდა, ხოლო ჩვენი **გრინი** ჯერ „სარაგოსას" ღირსებას იცავდა, შარშან საბერძნეთში გამოდიოდა, ხოლო ახლახან „გრან კანარიასთან" გააფორმა კონტრაქტი.

საქართველოსა და პოლონეთის ნაკრებებს სასტარტო გამთამაშებლები პოლონეთის ჩემპიონატიდან ჰყავთ: **ცინცაძე** 2010 წელს „სოპოტში" ირჯებოდა, ხოლო **შუბარგა** „პროკომის" ღირსებას იცავდა.

ახლა წამყვანი კალათბურთელების გასული სეზონის მონაგარს გაგაცნობთ და დარწმუნდებით, რომ შემადგენლობები მართლაც თანაბარია.

სერია A: **მარკოიშვილი** (კანტუ) - 34 მატჩი, 26.7 წუთი, 12.1 ქულა, 3.2 მოხსნა, 1.7 პასი. **სანიკიძე** (ვირტუსი) - 33 მატჩი, 21.2 წუთი, 6.7 ქულა, 5.6 მოხსნა, 0.5 პასი. **კოზარეკი** (კასერტა) - 36 მატჩი, 17.5 წუთი, 5.2 ქულა, 1.7 მოხსნა, 1.5 პასი. **დილევიჩი** (აველინო) - 28 მატჩი, 5.6 ქულა, 3.9 მოხსნა, 0.5 პასი.

ესპანეთის ჩემპიონატი: **ცქიტიშვილი** (ფუენლაბრადა) - 22 მატჩი, 19 წუთი, 6.4 ქულა, 2.7 მოხსნა, 0.3 პასი. რადგან დღეს პოლონეთის ნაკრებში ინგერსკი არ ითამაშებს, ამიტომ მის მონაგარს არ შემოგთავაზებთ. სამაგიეროდ, გაგაცნობთ ტომას კელატის 2009-10 წლების და ტორინ გრინის 2008-09 წლების მონაგარს. **კელატი** (ვალენსია) - 29 მატჩი, 24 წუთი, 6.9 ქულა, 2.2 მოხსნა, 1.4 პასი. **გრინი** (სარაგოსა) - 32 მატჩი, 25 წუთი, 10.7 ქულა, 2.3 მოხსნა, 2 პასი.

NBA: **ფაჩულია** (ატლანტა) - 78 მატჩი, 14 წუთი, 4.3 ქულა, 3.8 მოხსნა, 0.5 პასი. **გორტატი** (ორლანდო) - 81 მატჩი, 13.2 წუთი, 3.6 ქულა, 4.2 მოხსნა, 0.2 პასი.

ამ შედარების მიხედვით გარკვეული პროგნოზის გამოტანა ძნელია, თუმცა სტატიკის ჩამოწერისას სხვა მიზანი მქონდა - უბრალოდ დაგვენახა, რომ საქართველოს ნაკრები პოლონეთისაზე არანაკლებია და დღეს თუ გაიმარჯვა, სასწაულად არ უნდა მივიჩნიოთ. თუმცა, ქართველთა სერბი დამრიგებელი **იგორ კოკოშკოვი** ამბობს - აუტსაიდერები ვართო. მას, პირველ რიგში, მხედველობაში აქვს გამოცდილება: პოლონელები ბოლო წლებია ევროპის ჩემპიონატებზე ტოპ-გუნდებთან პაექრობაში იძენენ გამოცდილებას, ხოლო ქართველები A დივიზიონში 2009 წელს ავიდნენ. ამასთან, მწვრთნელს სიტყვა „აუტსაიდერით" კალათბურთელთათვის ფსიქოლოგიური ტვირთის მოხსნაც სურს...

მოდით, მწვრთნელს დავეთანხმოთ და აღვნიშნოთ: დღეს ფავორიტი პოლონეთის ნაკრებია, თუმცა საქართველოს ნაკრებში არანაკლები მონაცემების კალათბურთელები თამაშობენ, რომელსაც მეტოქესთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვს - მქუხარე ტრიბუნები. ქართველებს მოტივაციაც საკმარისზე მეტი უნდა ჰქონდეთ: მარცინ გორტატმა განაცხადა - საქართველოს დასაპყრობად მივდივართო. ასეთი მუქარით ჩამოსული და კუდამოძუებით გაბრუნებული უამრავი მტერი გვინახავს...

### გიორგი ცინცაძე: პოლონეთი უძლეველი არ არის

პოლონეთის ნაკრების შესახებ გიორგი ცინცაძეს ვესაუბრეთ, რომელიც გასულ სეზონში „სოპოტის" ღირსებას იცავდა.

**- მეტოქის შესახებ ზოგადად რისი თქმა შეგიძლია?**

- პოლონელთა წამყვანი კალათბურთელები ლეგიონერები არიან. თუმცა, შიდა ჩემპიონატში ნაკრების რამდენიმე წევრის წინააღმდეგ მითამაშია. საერთო ჯამში, მეტოქის გუნდში ძლიერი შემადგენლობაა თავმოყრილი.

**- რას შეიძლება ველოდეთ პოლონეთთან მატჩისგან?**

- მოწინააღმდეგეს უძლეველი ნაკრები ნამდვილად არ ჰყავს. მოგება შეგვიძლია, თუმცა ამისთვის დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება. ძალიან გვინდა, შესარჩევი ტურნირი გამარჯვებით დავიწყოთ.

**- რა პლუსი აქვს საქართველოს ნაკრებს პოლონეთთან შედარებით?**

- შინ ვთამაშობთ. ქართველი გულშემატკივრის წინაშე გამოსვლა კი ყველა მეტოქეს უჭირს. სამაგიეროდ, ჩვენ გვიადვილდება. ვეცდებით, ქომაგი ამჯერადაც გავახაროთ...

**- კოჭის ტრავმის გამო თბილისის ტურნირზე მწვრთნელმა ბოლომდე არ დაგტვირთა...**

- პირველ შეხვედრაში ნატკენი ფეხი გადამიბრუნდა და კოჭის ტრავმა ოდნავ გამიმიზეზდა. მომდევნო მატჩში ამიტომაც მქონდა შეზღუდული სათამაშო დრო. მესამე შეხვედრა კი სხვა მიზეზით ვერ ჩავამთავრე - სახეში ხელი მომხვდა და ექიმების ჩარევა დამჭირდა.

**- ამჟამად თავს როგორ გრძნობ?**

- ტრავმები უკან მოვიტოვე და პოლონეთთან მატჩისთვის მზად ვარ.

*P.S. საქართველოს ნაკრების პოლონეთთან მატჩი ტელევიზიის პირველი არხის პარალელურად პირველი რადიოს (100.9) პირდაპირ ეთერში გადაიცემა.*

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

**№4 ფორვარდი — მიხაილ ჩილინსკი**



დაიბადა: 1986
სიმაღლე: 185 სმ
გუნდი: ტურეოვი
მატჩი ნაკრებში 43; ქულა 167

**№5 უკანახაზელი — დარდან ბერიშა**



დაიბადა: 1988
სიმაღლე: 192 სმ
გუნდი: ანვილი
მატჩი ნაკრებში 7; ქულა 23

**№6 ცენტრი — მაცეი ლამპე**



დაიბადა: 1985
სიმაღლე: 211 სმ
გუნდი: უნიქსი (რუსეთი)
მატჩი ნაკრებში: 27; ქულა 346

**№7 უკანახაზელი — კშიშტოფ შუბარგა**



დაიბადა: 1984
სიმაღლე: 178 სმ
გუნდი: პროკომი
მატჩი ნაკრებში: 43; ქულა 295

**№8 ფორვარდი — ფილიპ დილევიჩი**



დაიბადა: 1980
სიმაღლე: 202 სმ
გუნდი: აველინო (იტალია)
მატჩი ნაკრებში: 87; ქულა 705

**№9 ფორვარდი — ზბიგნევ ბიალეკი**



დაიბადა: 1982
სიმაღლე: 203 სმ
გუნდი: ჩარნი
მატჩი ნაკრებში 15; ქულა 105

**№10 ფორვარდი — ადამ ჰრიჩანიუკი**



დაიბადა: 1984
სიმაღლე: 206 სმ
გუნდი: პროკომი
მატჩი ნაკრებში: 7; ქულა 56

**№11 ფორვარდი — ლუკაშ მაიევსკი**



დაიბადა: 1982
სიმაღლე: 199 სმ
გუნდი: პოლფარმა
თამაში ნაკრებში 7; ქულა 28

**№12 გამთამაშებელი — ტომას კელატი**



დაიბადა: 1982
სიმაღლე: 195 სმ
გუნდი: ხიმკი (რუსეთი)
თამაში ნაკრებში: 5; ქულა 64

**№13 ცენტრი — მარცინ გორტატი**



დაიბადა: 1984
სიმაღლე: 213 სმ
გუნდი: ორლანდო (NBA)
თამაში ნაკრებში 33: ქულა 355

**№14 ცენტრი — ადამ ლაპეტა**



დაიბადა: 1987
სიმაღლე: 217 სმ
გუნდი: პროკომი
თამაში ნაკრებში: 12; ქულა 50

**№15 უკანახაზელი — ლუკაშ კოზარეკი**



დაიბადა: 1984
სიმაღლე: 187 სმ
გუნდი: კასერტა (იტალია)
თამაში ნაკრებში

*მწვრთნელი: იგორ გრიშჩუკი (ბელარუსი)*

მეტოქე

## მაცეი ლამპე: სიცხე და ხმაური ვერ შეგვაჩერებს

„პოლონეთის ნაკრები თბილისში შაბათს შუადღისას ჩავიდა. აეროპორტში ჩვენს გუნდს ათამდე ჟურნალისტი და 2 ვიდეოკამერა დახვდა. იმავე დღეს ნაკრებმა სპორტის სასახლეში ივარჯიშა," - ასე დაიწყო რეპორტაჟი პოლონეთის ფედერაციის პრესატაშე **პიოტრ კვიატკოვსკიმ.**

მის მონათხრობში ნაკრების წევრის **ადამ ჰრიჩანიუკის** სიტყვებიც ერია:

- დარბაზში ძალიან ცხელოდა, სუნთქვა ჭირდა, თუმცა ეს მხოლოდ ჩვენი პრობლემა არ არის - ორივე გუნდი თანაბარ პირობებშია.

„უნიქსის" ცენტრი **მაცეი ლამპე** გამარჯვებას აპირებს:

- მოგებისთვის ვემზადებით. ძალიან ხისტი კალათბურთი უნდა ვითამაშოთ, ქართველებს თავისუფლად თამაშის საშუალება არ უნდა მივცეთ, რადგან მათ გულშემატკივარიც ძალიან დაეხმარება... სპორტის სასახლეში ძალიან ეცხელება და დიდი ხმაური იქნება, მაგრამ ეს ფაქტორები გონებას ვერ გაგვიფანტავს. ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ.

დარდან ბერიშაც ოპტიმისტურადაა განწყობილი - ძნელი იქნება, მაგრამ საქართველოდან ორი ქულა უნდა წავიღოთ. ამერიკიდან ჩამოსული **მარცინ გორტატი** კი **ზაზა ფაჩულიაზე** ლაპარაკობს:

- ფაჩულია გამოცდილი კალათბურთელია. იგი დიდი ხანია, „ატლანტა ჰოქსის" წევრია და დიდებული მოთამაშეცაა. მასთან დუელი საინტერესო იქნება. ძალებს არ დავიშურებ, რომ წინა ხაზში ჩემს ნაკრებს უპირატესობა მოვუპოვო.

ბოლოს გთავაზობთ პოლონეთის ნაკრების მწვრთნელის **იგორ გრიშჩუკის** მცირე ინტერვიუს, რომელმაც გვითხრა: ვრცლად მატჩის შემდეგ ვილაპარაკოთო.

**- ჩვენი ჯგუფის ფავორიტად რომელ ნაკრებს მიიჩნევთ?**

- საქართველოს.

**- დევიდ ლოგანის შემცვლელად ტომას კელატი ჩამოიყვანეთ...**

- ამერიკელები ქართველებსაც გყავთ. ჩვენც მოგვეცა შანსი და ტომას კელატიზე უარი არ ვთქვით. მან ცოლად პოლონელი შეირთო და ქვეყნის მოქალაქეობაც ამ გზით მიიღო. იგი მაღალი დონის მოთამაშეა.

**- მარცინ გორტატი შეკრებაზე გვიან რატომ ჩამოვიდა?**

- ამერიკაში მოთამაშე კალათბურთელთა ხვედრი ასეთია. ისინი ყოველთვის გვიან ჩამოდიან. საქართველოს ნაკრებსაც ხომ ანალოგიური პრობლემა აქვს?

**- ზაზა ფაჩულია 5 ივლისიდან გუნდთან ერთადაა...**

- კარგია, ყოჩაღ ზაზას. გორტატი 20 ივლისს შემოგვიერთდა და ნაკრებთან ერთად მხოლოდ 2 მოსამზადებელ მატჩში მიიღო მონაწილეობა.

**- და კარგად ითამაშა...**

- კარგად ითამაშა, მაგრამ უმჯობესი იყო, მანამდეც გვყოლოდა.

**- იტალიურ ტურნირზე რას იტყვით?**

- ბულგარეთმა 8 ქულის სხვაობით მოგვიგო, მაკედონია იოლად დაამარცხა, ხოლო მასპინძელ იტალიას დრამატულ მატჩში 1 ქულით აჯობა. ბულგარელებს ძლიერი მოთამაშეები და კარგი გუნდი ჰყავთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

U 18. B დივიზიონი

## პირველი მოგება

| XVII-XX ადგილები | |
|---|---|
| რუმინეთი-საქართველო | 56:71 |

9:13, 21:19, 14:18, 12:21

საქართველო: ჩერქეზიშვილი (9 წთ), კოღუაშვილი (28 წთ, 7ქ, 6მ, 2დ), სანაძე (31 წთ, 18ქ, 6მ, 2ჩ), ელიაძე (22 წთ, 15ქ, 3მ), ტეტელაშვილი (31 წთ, 8ქ, 3მ, 5პ), თენიეშვილი (19 წთ, 13ქ, 2მ, 4პ), ჭიჭვეიშვილი (1 წთ) ჯავახიშვილი (32 წთ, 5მ, 8მ, 2პ), მუმლაძე (22 წთ, 3ქ, 3მ), რევაზაშვილი (5 წთ, 2ქ).

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. სლოვაკეთი | 3 | 3 | 0 | 6 |
| 2. პორტუგალია | 3 | 2 | 1 | 5 |
| 3. საქართველო | 3 | 1 | 2 | 4 |
| 4. რუმინეთი | 3 | 0 | 3 | 3 |

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები B დივიზიონის ბოლო ტურში რუმინელებს დაუპირისპირდა. ამ მატჩის მომგები შეჯიბრებაში ბოლო ადგილს თავს აარიდებდა. საბოლოოდ ქართველებმა 71:56 მოიგეს და ტურნირი მე-19 ადგილზე დაასრულეს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ვეტერანის აზრი

ინტერვიუ გურამ მინაშვილთან

# ცეცხლი, ბიჭებო, ცეცხლი!

**თბილისის მერიის თასის გათამაშების დამთავრებისთანავე კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის პრიზით რუმინელი ვლად მოლდავანუ გურამ მინაშვილმა დააჯილდოვა. ამის შემდეგ იყო, სახელოვან ქართველ კალათბურთელს ჩვენს ნაკრებზე აზრის გამოთქმა რომ ვთხოვე.**

— კარგი ბიჭები გვყავს: ფაჩულია, სანიკიძე, ცქიტიშვილი.... ამ ტურნირზე დამაჯერებლად ითამაშეს მარკოიშვილმა და შენგელიამ. რაც შეეხებათ ნატურალიზებულ ქართველებს — ქუინტონ ჰოსლისა და ტორინ გრინს, ეტყობა, ქართულ კალათბურთთან ადაპტაცია ვერ მოასწრეს. ორ აგვისტომდე ჯერ დროა და სპორტული ფორმის აღდგენასაც შეძლებენ. ისე, წინა ორი უცხოელი უკეთეს შთაბეჭდილებას ახდენდა გულშემატკივრებზე. შემონდ უილიამსი ინდივიდუალური თამაშით გამოირჩეოდა, კარგი გამთამაშებელიც იყო, როგორც ტაირონ ელისი. ამ უკანასკნელს უნაკლო ტყორცნებიც ჰქონდა. ოჯახური პრობლემები რომ არა, ის ჩვენს გუნდს მართლაც შეკრავდა.

**— ორ აგვისტოს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩში საქართველო პოლონეთს უმასპინძლებს. იმ დაპირისპირებაზე რას იტყვით?**

— 50-60-იან წლებში, როცა ჩემი თაობა თამაშობდა თბილისის „დინამოში", პოლონეთის ნაკრებსაც და იქაურ საკლუბო გუნდებსაც შინ და გარეთ ძალების დაუძაბავად ვუგებდით. მახსოვს, ვარშავაში სოციალისტური ქვეყნების დინამიადაზე პირველი ადგილი დავიკავეთ. მაშინაც დავამარცხეთ მასპინძლები. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. პოლონური კალათბურთიც განვითარდა. მე არ მინახავს, მაგრამ ამბობენ, კარგი გუნდი ჰყავთო. იმედია, სტარტამდე შეთამაშებას მოვასწრებთ და სტუმრებს შინ გაწბილებულებს გავუშვებთ. ერთი რამ კი მინდა ვურჩიო ჩვენებს: ქართული კალათბურთის ტრადიციებს ნუ უღალატებენ - მეტი შეტევა, მეტი სისწრაფე და მოედანზე ცეცხლი, ბიჭებო, ცეცხლი!

გურამ მინაშვილის ეს სიტყვები არ გამკვირვებია, რადგან ქართული კალათბურთის ვარსკვლავი თავადაც ინვოდა სარბიელზე და ყველასგან განსხვავებული ხელწერისა და მანერის მქონე, დირიჟორის ნიჭით დაჯილდოებული სპორტსმენი ბოლომდე იხარჯებოდა...

რამდენჯერ თქმულა და დაწერილა, რომ გასული საუკუნის 40-50-იანი წლები ქართული კალათბურთის ოქროს ხანა იყო. მარტო მოპოვებულ მედლებსა და თასებს როდი ვგულისხმობთ. კალათბურთში ევროპის პირველი ჩემპიონების - ოთარ ქორქიასა და ნოდარ ჯორჯიკიას, ასევე, სხვა ქართველი ოსტატების მიბაძვით საკალათბურთო ცხოვრება მთელ საქართველოში დუღდა და გადმოდუღდა.

— მეექვსე კლასში ვიყავი, ჩვენს სკოლაში ახალი ფიზკულტურის მასწავლებელი ვახტანგ მარსაგიშვილი რომ მოვიდა და სპორტული სექციები ჩამოაყალიბა. მე კალათბურთი ავირჩიე. — იხსენებს გურამ მინაშვილი. — იმავე წელს ვახტანგ მასწავლებელმა უნივერსიტეტში შალვა დიასამიძის კალათბურთის სექციაში მიმიყვანა. დიასამიძეს მოვეწონე და თავის „ამალაში" მიმიღო. სალამოობით უნივერსიტეტის მოედანზე ვვარჯიშობდით მე და ჩემი მეზობლები — თამაზ ტოგონიძე, ილარიონ ხაზარაძე, გიზო გაბესკირია, ასტამურ აჩბა, მირიან თოფჩიშვილი და სხვები.

**— ბურთის თამაშს დიდ დროს ანდომებდით, სწავლაში ხელი არ გეშლებოდათ?**

— რომ გვეზარმაცა, ვარჯიშზე არ დაგვიშვებდნენ, ამიტომ კარგად ვსწავლობდით. სხვა ჯილდოებზე ნაკლებ როდი მეამაყება საშუალო სკოლის ოქროს მედალი.

**— თბილისის „დინამოში" როდის მოხვდით?**

— თბილისის ერთ-ერთ საქალაქო პირველობაზე მიხეილ კეკელიძემ შემნიშნა და თავის გუნდში მიმიწვია. 1953 წელს „დინამოში" ამოვჩნდი, რომელსაც შესანიშნავი პედაგოგი და პიროვნება გიორგი ავალიშვილი ხელმძღვანელობდა.

**— იმ წელიწადს „დინამომ" საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა, თქვენ კი უმედლოდ დარჩით. გული არ დაგწყდათ?**

— 17 წლის ჭაბუკისთვის ოთარ ქორქიას, ნოდარ ჯორჯიკიას, ჯუმბერ ნიყარაძის, ლევან ინწკირველის, ალექსანდრე კილაძის გვერდით თამაში ისედაც დიდი ბედნიერება იყო. თანაც, მე და გურამ აბაშიძე გუნდში ახალბედები ვიყავით და უმეტესად სათადარიგოთა სკამზე ვისხედით. ჩატარებული მატჩების რაოდენობა მედლების მისაღებად საკმარისი არ აღმოჩნდა, სამაგიეროდ, სპორტული ფორმით დაგვაჯილდოვეს. კარიერაში უფრო გულდასაწყვეტი იყო 1959 წელს მსოფლიოს ჩემპიონობის დაკარგვა. არადა, იმ ჩემპიონატზე ამერიკელებიც კი დავამარცხეთ. ჩვენი ოქროს მედლები პოლიტიკურ ინტრიგას შეეწირა...

გურამ მინაშვილმა „წართმეული" ჯილდოს საკომპენსაციოდ 1957, 1959 და 1963 წლებში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში. 1963 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა.

— მახსოვს, 1959 წელს სტამბოლში ცხრა თამაში მოვიგეთ. ფინალში ფრანგებს შევხვდით, რომლებიც ჩემპიონატის გახსნის დღეს დიდი ანგარიშით დავამარცხეთ. განმეორებითი პაექრობისას სამფეროვნებმა თავიანთი ლიდერის ჟაკ ლეფევრის მეთაურობით შეუპოვარი წინააღმდეგობა გაგვიწიეს, მაგრამ წაგებას (72:88) მაინც ვერ გადაურჩნენ. ჩვენ კი ჩემპიონობა შევინარჩუნეთ.

**— ბატონო გურამ, თქვენთვის ორმოცდაცხრამეტი წელი იღბლიანი იყო.....**

— მართლაც, გამიმართლა. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შემდეგ საკავშირო ნაკრები ამერიკაში გაემგზავრა. იქ რამდენიმე მატჩი ვითამაშეთ და მასპინძელთა ქება დავიმსახურეთ. განსაკუთრებით დაუვიწყარია დენვერში პროფესიონალთა ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის „დენვერ თრაკერსის" დამარცხება...

მაშინდელი პრესის ცნობით, საბჭოთა კალათბურთელებმა დენვერში პირველი ტაიმი 49:37 მოიგეს. შესვენების შემდეგ ამერიკელებმა უკეთ ითამაშეს და წონასწორობაც აღადგინეს - 82:82. დაინიშნა დამატებითი ხუთწუთიანი ტაიმი. დროის ამ მონაკვეთში გურამ მინაშვილმა საკუთარ გუნდს ცხრა ქულა შესძინა. თანაც ბოლო წამებზე ფარიდან ასხლეტილ ბურთს პირველი დაეუფლა, დრიბლინგით გაიჭრა მეტოქის მოედნისკენ და ორქულიანი ტყორცნით წერტილი დაუსვა დაძაბულ ორთაბრძოლას — 96:93. თამაშის შემდეგ საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებთან — **სურენ სპანდარიანთან** და **ალექსანდრ გომელსკისთან** მივიდა ნიუ იორკის „ნიკერს ბოკერსის" მწვრთნელი **ვინცენტი ბურელი,** რომელმაც თავის გუნდში გურამ მინაშვილისა და **ვიქტორ ზუბკოვის** მიწვევის სურვილი გამოთქვა. მაშინ ამგვარ გარიგებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა და ამერიკელთა მწვრთნელმა, ცხადია, თავაზიანი უარი მიიღო. გურამ მინაშვილისთვის ეს აღიარება პირველი როდი იყო. უცხოელებმა მის თამაშს 1958 წელს იტალიაში, მაირანოს თასის გათამაშებაზე მიაქციეს ყურადღება.

მაირანო ცნობილი მრეწველი და კალათბურთის დიდი მოყვარული იყო. წლების განმავლობაში იტალიის კალათბურთის ფედერაციას ხელმძღვანელობდა, მშობლიურ ქალაქ ბოლონიაში კალათბურთის შესანიშნავი სასახლე ააშენა. 1954 წელს კი თავისი სახელობის თასი დააწესა. 1958 წელს ეს საპატიო ჯილდო კვლავ საბჭოთა ნაკრებმა დაიმსახურა. ამ ტურნირზე გურამ მინაშვილი შეუდარებელი იყო. იგი ყველა მატჩში მეტოქეთა უძლიერეს თავდამსხმელებს მეურვეობდა. მაგალითად, ბულგარელებთან შეხვედრისას გურამმა, ფაქტობრივად, ხელი არ გაანძრევინა ცნობილ კალათბურთელ პანოვს, რომელმაც საკუთარ გუნდს მხოლოდ ქულა მოუტანა, ჩვენებურმა კი 17 ქულა შესძინა თავისიანებს. იტალიელთა კაპიტანმა **ალეზინიმ** ვერაფრით დაალწია თავი მინაშვილის მეურვეობას და ერთხელაც ვერ დალაშქრა საბჭოელთა კალათი, გურამმა კი რვა ქულას მოუყარა თავი. უნგრელთა გუნდის ლიდერი **ბანჰედი** მაირანოს თასის გათამაშებაზე შედეგიანი თავდამსხმელის სპეციალური პრიზით დააჯილდოვეს. არადა, ბომბარდირი ქართველთან პაექრობაში მხოლოდ შვიდ ქულას დასჯერდა, მეურვემ მას ხუთი ქულით აჯობა. სამართლიანიც იყო, რომ მინაშვილი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ მიიჩნიეს და სპეციალური ოქროს მედლით დააჯილდოვეს.



**— ბატონო გურამ, იტალიელი „ტიფოზების" წინაშე თქვენ 1960 წლის ოლიმპიურ თამაშებზეც წარდექით. იმ ორთაბრძოლებიდან რომელს გაიხსენებდით?**

— რომის ოლიმპიადაზე საბჭოთა ნაკრები ფავორიტად მიიჩნეოდა, განსაკუთრებით ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ. პირველ მატჩში მექსიკელები დავამარცხეთ — 66:49. მეორე შეხვედრა ბრაზილიელებთან გვქონდა. 1959 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე სამხრეთამერიკელებს ორივე შეხვედრა მოვუგეთ. ამიტომ სათანადოდ ვერ შევაფასეთ მეტოქე და დავისაჯეთ კიდეც. გამოჩენილი ოსტატების — მარკოსის, პასოსის, სოუზელის და სანტოსის გუნდმა 58:54 მოგვიგო. ამ მარცხის მიუხედავად, მომდევნო მეტოქეებთან გამარჯვების შემდეგ ამერიკელებს დავუპირისპირდით. ოკეანისგაღმელებს შესანიშნავი გუნდი ჰყავდათ — რობერტსონი, ლუკასი, უესტი, დისჩინგერი... ვარსკვლავებთან დავაში ვერაფერს გავხდით და დავმარცხდით — 57:81. ამერიკელებმა ბრაზილიელებსაც სძლიეს და ოლიმპიური ჩემპიონობა შეინარჩუნეს. ჩვენ კი მედლებისთვის კიდევ ორი „ომი" გადავიტანეთ. ბრაზილიელებს ორი ქულით (64:62) მოვუგეთ. ბოლო მატჩში იტალიელებს ვაჯობეთ 78:70 და ვერცხლის მედლები დავისაკუთრეთ. ბედნიერი ვარ, რომ ამ წარმატებაში ჩემი წვლილიც ურევია. „ტიფოზების" წრეგადასულმა საქციელმაც ვერ შემიშალა ხელი, რათა აპენინელთა თავკაცი ალეზინი მაშინაც „ჩამეკეტა".

**— არაფერი გვითქვამს ევროპის ჩემპიონთა თასზე...**

— ეს მართლაც უძვირფასესი ჯილდოა ჩემს სპორტულ კარიერაში. ფინალამდე რუმინელებს, თურქებსა და რუსებს ვძლიეთ. ცსკა-სთან გამეორებითი ორთაბრძოლის წინ მოსკოვიდან მუქარის ზარებიც გაისმა — მატჩი დათმეთო, მაგრამ მაშინ ჩვენი შეჩერება შეუძლებელი იყო. არმიელებს სასურველი შედეგით ვძლიეთ და მადრიდის „რეალს" დავუპირისპირდით. ესპანეთის ხელისუფალმა ფრანკომ საბჭოელთა მიღებასა და თავისი გუნდის ჩვენთან გამოშვებაზე უარი თქვა. ამიტომ მატჩი ნეიტრალურ ტერიტორიაზე — ჟენევაში გაიმართა 1962 წლის 29 ივნისს. პირენეელებს 7 ქულით (90:83) მოვუგეთ და საწუკვარი თასი დავისაკუთრეთ. გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ლევან მოსეშვილმა, ლევან ინწკირველმა, ილარიონ ხაზარაძემ, ამირან სხიერელმა, ალექსანდრე კილაძემ, ანზორ ლეჟავამ, ვლადიმერ უგრეხელიძემ, ვალერი ალთაბაევმა, რევაზ გოგელიამ, ალექსანდრ პეტროვმა, რომელიც მოსკოვის „დინამოდან" დავიმატეთ. ჩვენი გუნდის თავკაცი გახლდათ სახელოვანი ოთარ ქორქია, თუმცა მაშინდელი თბილისის „დინამოს" ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი ღირსეულ პიროვნებას გიორგი ავალიშვილს მიუძღვის.

ერთიც მინდა დავძინო: იმ ისტორიულ მატჩს ემიგრანტი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძეც ესწრებოდა, რომელმაც თბილისში დისადმი გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში ჩვენი წარმატება ასე შეაფასა: „ეს გამარჯვება ქართველების დიდად მნიშვნელოვანია. დავინახე ყამირთაგან ამოხეთქილი ძალა ქართული, მაგარი... გამარჯვებულები არ „აყვინჩილებულან" გამარჯვებით. ერთი მათგანის სახეზეც ვერ ამოიკითხავდით: „ხომ გაჯობეთ!" ზრდილად, რაინდულად, ქართულად გაუწოდეს ხელი მოპირდაპირეთ".

**— კალათბურთს თავი 1967 წელს დაანებეთ. როგორ ფიქრობთ, ნაადრევად ხომ არ ჩამოშორდით სარბიელს?**

— ცხოვრებაში მე ჩემი პრინციპები მქონდა, ბევრს ვვარჯიშობდი, ხშირად — მარტოც, ვიცავდი რეჟიმს, ვერ ვიტანდი სიზარმაცეს. სამოციანი წლების ბოლოს შევატყვე, რომ უწინდელივით სრული დატვირთვით ველარ ვირჯებოდი. ახალგაზრდები კი კაპიტნისგან იღებდნენ მაგალითს. მწვრთნელი ჩემ გამო სხვებსაც ვერ საყვედურობდა. ასე გაგრძელება აღარ შემეძლო, ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე გუნდიდან წასვლა...

რამდენიმე წლის წინათ გურამ მინაშვილზე საუბრისას ოლიმპიურმა ჩემპიონმა ზურაბ საკანდელიძემ მითხრა: „საოცრად მოქნილი იყო, საკუთარი რეაქციის მართვა შეეძლო. მოედანზე ინვოდა. მეტოქის შიში არ ჰქონია. ხშირად პარტნიორების შეცდომების გამოსწორებასაც ასწრებდა. აზარტული თამაშით ბრძოლის ჟინს ჩვენც გვილვივებდა. ორგანიზატორული ნიჭითაც გამოირჩეოდა. ახალგაზრდებმა ბევრი ვისწავლეთ მისგან. სამწუხაროა, რომ ნაადრევად დატოვა სარბიელი".

აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ წლების განმავლობაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრას ხელმძღვანელობდა. ამაგდარი პიროვნება ამჟამად პენსიაზეა, მაგრამ დღესაც ქართული კალათბურთის სიყვარულით ინვის.

**ვაჟა დანელია**



ამხანაგური მატჩი — მოლდოვა-საქართველო



# გვაზავა ისევ... ქართველია

## მოლდოვასთან სალუქვაძის გარეშე, საბერძნეთში?

ეროვნული ნაკრების გენერალურ რეპეტიციამდე 9 დღე დარჩა. ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის დაწყებამდე, ჩვენი ეროვნული გუნდი დასკვნით ამხანაგურ მატჩს 11 აგვისტოს მოლდოვაში გამართავს. ამ თამაშისთვის ეროვნულში გამოძახებულთა შემადგენლობა დღეს გაცხადდება. თუმცა ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ** მოლდოვასთან მატჩისთვის გროზნოს „ტერეკის" 30 წლის ნახევარმცველი **ლევან გვაზავა** გამოიძახა. ეს ინფორმაცია „ტერეკის" ოფიციალურმა ვებგვერდმა და სხვა რუსულმა საიტებმაც გაავრცელეს. ცნობისათვის, გვაზავა აქამდე არასდროს ყოფილა გამოძახებული საქართველოს ნაკრებში. არადა, ლევანს ყოველთვის ჰქონდა იმედი, რომ ახალგაზრდულში თამაშის შემდეგ, ეროვნულის მაისურას მოირგებდა და ამას „ლელოსთან" საუბარშიც არ მალავდა. გვაზავამ ამ რამდენიმე წლის წინ მიიღო რუსეთის მოქალაქეობა. ამჯერად კი მშობლიური ქვეყნის მოქალაქეობას დაიბრუნებს. სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, ლევან გვაზავა ამ კვირის ბოლომდე თბილისში ჩამოვა და საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელ პასპორტსაც მიიღებს.

საქართველოში ლევან გვაზავა მხოლოდ ორ კლუბში თამაშობდა - მშობლიურ ხობის „კოლხეთში" (1996-99) და ბათუმის „დინამოში" (2005-06). „ტერეკის" ნახევარმცველს გროზნომდე 4 უცხოურ კლუბში აქვს ნათამაშები - კიშინიოვის „ზიმბრუში" (2000-03), ვლადიკავკაზის „ალანიაში" (2004-05), ნალჩიკის „სპარტაკში" (2006-07), ვლადივოსტოკის „ლუჩში" (2007-08). საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ლევან გვაზავას 9 მატჩში 2 გოლი აქვს გატანილი. ავტორიტეტულ ვებგვერდ transfermarkt.de-ს მიერ გვაზავა 500 ათას ევროდ არის შეფასებული. ლევანი 180 სმ სიმაღლისაა და რუსული პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში, „ტერეკის" რიგებში 8 მატჩში 1 გოლი აქვს გატანილი. ლევან გვაზავას და სხვა ფეხბურთელთა დარად, მოლდოვასთან გასვლითი ამხანაგური მატჩისთვის ყაზანის „რუბინის" მცველი **ლაშა სალუქვაძეც** არის გამოძახებული. სამწუხაროდ, შაბათს, „ზენიტთან" სანკტ პეტერბურგში გამართული შეხვედრის პირველივე წუთებზე ზენიტელ **ტომაშ გუბოჩანოსთან** ორთაბრძოლაში სალუქვაძე დაშავდა. სამწუხაროდ, ლაშას ექიმის ჩარევამაც ვერ უშველა და საკაცით გაიყვანეს მოედნიდან. რუსულ ვებგვერდ sportsdaily.ru-ს მიერ გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, ლაშა სალუქვაძის იძულებითი პაუზა 3 კვირას გასტანს. შესაბამისად, 11 აგვისტოს მატჩისთვის სალუქვაძე უკვე გამოაკლდა ნაკრებს. იმედია, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის სასტარტო, 3 სექტემბრის, საბერძნეთთან გასვლით მატჩამდე ლაშა სალუქვაძე მწყობრში იქნება.

თემურ ქეცბაია სამშობლოში ზეგ, 4 აგვისტოს დაბრუნდება. ჩვენი ნაკრები 9 აგვისტოს დილით გაემგზავრება კიშინიოვში და 11-ში თამაშისთვის მოლდოვაში მოემზადება. შეგახსენებთ, რომ 10-11 აგვისტოს მოლდოვური ფეხბურთის 100-წლოვანი იუბილე აღინიშნება და კიშინიოვში ჩვენი ორი გუნდი ითამაშებს. ეროვნული ნაკრებების მატჩამდე, 10 აგვისტოს ჩვენი სხვადასხვა თაობის ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრები მოლდოვას ვეტერანთა კრებულთან ამხანაგურ მატჩს გამართავს.



U 21 — სომხეთი-საქართველო

# ანანიძე გაბელიას დარჩა, ყენია გამორიცხულია...

21-წლამდელთა ნაკრებებს შორის, ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს 3 მატჩი დარჩა ჩასატარებელი, ერთი თურქეთთან სტუმრად და ორიც სომხეთთან შინ და გასვლაზე. 11 აგვისტოს ჩვენს 21-წლამდელებს პრინციპული მატჩი ელით ერევანში, სომეხ თანატოლებთან.

ამ თამაშისთვის ჩვენი ახალგაზრდულის თავკაცმა **ოთარ გაბელიამ** შემადგენლობა დაასახელა. ყველას აინტერესებდა 11 აგვისტოს რომელ ნაკრებში ითამაშებდა ვუნდერკინდი ჯანო ანანიძე. ახალგაზრდულს ერევანში მეტად მნიშვნელოვანი მატჩი აქვს და გადაწყვეტილება სწორად მიიღეს - ანანიძე 21-წლამდელებში ითამაშებს.

ერთი სიტყვით, გაბელიამ ერევნის მატჩისთვის 18 ფეხბურთელი შეარჩია და ეს სია ასეთია:

მეკარეები - **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი), **გიორგი ბახტაძე** (დიორ ეტო, უნგრეთი);

მცველები - **ლაშა თოთაძე** (დიორ ეტო, უნგრეთი), **გულვერდ თომაშვილი, ლევან კაკუბავა** (ორივე დინამო), **გიორგი ხიდეშელი** (ზესტაფონი), **გიორგი რეხვიაშვილი** (ოლიმპი), **ნიკა კვეკვესკირი** (ბაია);

ნახევარმცველები - **ჯანო ანანიძე** (სპარტაკი მ, რუსეთი), **თორნიკე ოქრიაშვილი** (შახტარი, უკრაინა), **ნიკა ძალამიძე** (ცსკა, რუსეთი), **გიორგი განუგრავა** (დიორ ეტო, უნგრეთი), **ირაკლი კლიმიაშვილი** (ვიტ ჯორჯია), **გიორგი თექთურმანიძე** (დინამო);

თავდამსხმელები - **გიორგი ივანიშვილი** (შაფჰაუზენი, შვეიცარია), **გიორგი ილურიძე** (ანჟი, რუსეთი), **მათე ვაწაძე** (დინამო), **გიორგი ჭედია** (ოლიმპი).

როგორც ხედავთ, ნაკრების შემადგენლობაში ერთადერთი დებიუტანტია - მახაჩყალის „ანჟის" თავდამსხმელი **გიორგი ილურიძე**, რომელსაც გასულ უქმეებზე პირველად ათამაშეს სასტარტო შემადგენლობაში. შემადგენლობაში არ არის „შალკეს" ნახევარმცველი ლევან ყენია, რომელიც ტრავმისა და ოპერაციის შემდეგ ჯერ კიდევ არ გამოჯანმრთელებულა. სომხეთთან მატჩისთვის გუნდის მომზადებას ოთარ გაბელია შაბათს, 7 აგვისტოს დაიწყებს. 9-ში ჩვენი 21-წლამდელები ერევანში გადაფრინდებიან და მზადებას იქ გააგრძელებენ. სამის გარდა ყველა ლეგიონერი თბილისში ჩამოვა. ჯანო ანანიძე, **გიორგი ივანიშვილი** და **ნიკა ძალამიძე** ნაკრებს ერევანში შეუერთდებიან.

სომხეთის 21-წლამდელთა ნაკრების დანიელ თავკაც **ფლემინგ სერიცლევს** საქართველოსთან მატჩისთვის შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია. გაცნობებთ იმასაც, რომ სომხეთის 21-წლამდელებმა წელს, შესარჩევი ციკლის ორი მატჩი გამართეს, ორივე სტუმრად და ორივე შეხვედრა მოიგეს. სერიცლევის გუნდმა 3 მარტს ირლანდიაში 2:1 იმარჯვა, 20 მაისს კი ესტონელები სტუმრად 3:2 დაამარცხა. აღსანიშნავია ისიც, რომ მიმდინარე საკვალიფიკაციო ეტაპზე სომხებს ორი თამაში დარჩათ ჩასატარებელი და ორივე ჩვენს 21-წლამდელებთან.

სომხეთი ცხრილში ქულითა და საფეხურით გვისწრებს და მე-4 ადგილზეა. თუ ერევანში მოვიგებთ, სომხებს უკან ჩამოვიტოვებთ, მეორეზე მყოფ თურქეთთან ქულათა სხვაობას შევამცირებთ და საუკეთესო მეორეადგილოსნობის გამსვლელი საგზურისთვის ბრძოლას გავაგრძელებთ. ერევანში ვერმოგების შემთხვევაში კი მხოლოდ თეორიული შანსიღა გვრჩება, რაც უნდა გამოვრიცხოთ.



გიორგი ილურიძე (მარცხნივ)

გაცნობებთ იმასაც, რომ 10 აგვისტოს ირლანდია ესტონეთს უმასპინძლებს. ეს ესტონელებისთვის ბოლო მატჩია და თუ ვერ მოიგეს, მეორე ადგილისთვის ბრძოლას გამოეთიშებიან. შეგახსენებთ, რომ შესარჩევიდან პლეი ოფში 14 გუნდი გადის. მათ 10 ჯგუფის გამარჯვებული და 4 საუკეთესო მე-2 ადგილოსანი დაემატებიან. საუკეთესო მეორეადგილოსნები თავთავიანთ ჯგუფებში პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 ადგილზე გასულ გუნდებთან მოპოვებული ქულების ჯამით გამოვლინდება.

პლეი ოფის 14 მონაწილიდან 7 გამარჯვებულს ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის ნაკრები დაემატება და კონტინენტის პირველობისათვის დასკვნით სტადიაში სწორედ ეს 8 გუნდი იბრძოლებს. პლეი ოფის მატჩები წელს 9 და 13 ოქტომბერს ჩატარდება. ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი კი გაისად 11-25 ივნისს დანიაში გაიმართება.

დაბოლოს, 11 აგვისტოს სომხეთ-საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მატჩი ვაზგენ სარქისიანის სახელობის „რესპუბლიკურ" სტადიონზე ჩვენი დროით 17 საათზე დაიწყება. შეხვედრას მაკედონიელი მსაჯები გაუძღვებიან, არბიტრი **დიმიტარ მეჩკაროვსკი** იქნება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 9 | 5 | 2 | 2 | 14-8 | 17 |
| 2. თურქეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 12-10 | 13 |
| 3. ესტონეთი | 9 | 3 | 3 | 3 | 9-11 | 12 |
| 4. სომხეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 14-16 | 10 |
| 5. საქართვ. | 7 | 2 | 3 | 2 | 8-5 | 9 |
| 6. ირლანდია | 7 | 0 | 4 | 3 | 6-13 | 4 |

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

დინამო

ინტერვიუ კახა კაჭარავასთან

# იმედიანი განწყობა

გულახდილად ვთქვათ: „დინამოს“ ერთგული ფანების გარდა, ალბათ, ქართველ ქომაგთა ძალიან მცირე რაოდენობა თუ ელოდა წლევანდელ ევროტურნირებზე გუნდის ასეთ წარმატებულ ასპარეზობას. მართალია, ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი მატჩი ავსტრიულ „შტურმთან“ ჯერ არ ჩატარებულა, თავს უფლებას მივცემთ და ამ ტურნირზე „დინამოს“ გამოსვლას მხოლოდ და მხოლოდ დადებითად შევაფასებთ! შორს წაგვიყვანს იმაზე ლაპარაკი, თუ როგორი საკადრო პრობლემებით შეხვდა წლევანდელი ევროტურნირების დაწყებას ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი; ამას ისიც დაემატა, რომ ტრადიციული უცხოური შეკრების ნაცვლად, „დინამომ“ მოსამზადებელი ეტაპი ადგილზე, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გაატარა; ეგ კი არა, კულუარებში იმაზეც საუბრობდნენ, რომ კლუბს ფინანსური პრობლემებიც ჰქონდა (თუმცა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დღესდღეობით ეს პრობლემა აღარ არსებობს). მოკლედ, ყველა ამ არცთუ უმნიშვნელო ფაქტორის გათვალისწინებით, კახა კაჭარავას აშკარად „სახეშეცვლილმა“ გუნდმა მართლაც სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა და ევროპის ლიგის ორი ეტაპი გადალახა. იმედი დავიტოვოთ, რომ „დინამო“ მიღწეულით არ დაკმაყოფილდება: გასაგებია, რომ ავსტრიულ „შტურმთან“ განმეორებით შეხვედრაში ორბურთიანი ჩამორჩენის ალმოფხვრა იოლი საქმე არ იქნება, მაგრამ, ნურც პესიმიზმში „გადავვარდებით“. ბოლოს და ბოლოს, „შტურმი“ ნამდვილად არ მიგვაჩნია ისეთ მეტოქედ, რომლის დამარცხებაც (ჩვენთვის სასურველი ანგარიშით, რაღა თქმა უნდა) შეუძლებელი იყოს. თანაც, იმის იმედიც გვაქვს, რომ ხუთშაბათს, „დინამოს“ საქომაგოდ ეროვნულ სტადიონზე ბევრი გულშემატკივარი მოვა...

...„დინამო“ ავსტრიიდან პარასკევს, გვიან ღამით ჩამოვიდა; შაბათს დასვენების დღე ჰქონდათ, აი, გუშინდელი დღიდან კი გუნდმა სერიოზული მზადება დაიწყო: ორჯერადი ვარჯიშები, თეორია და ასე შემდეგ. „დინამოს“ მთავარ მწვრთნელ კახა კაჭარავასთან ჩვენი საუბრის ძირითადი თემა კი, რაღა თქმა უნდა, „შტურმთან“ ჩატარებული პირველი მატჩი და მოახლოებული განმეორებითი შეხვედრისათვის გუნდის მზადება იყო.

**- გულახდილად გვითხარით: ევროტურნირების დაწყების წინ გჯეროდათ, რომ ევროპის ლიგაზე „დინამო“ ორ ეტაპს გაივლიდა?**

- ჩემი ფეხბურთელების შესაძლებლობებში დარწმუნებული რომ არ ვყოფილიყავი, მაშინ „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე არც ვიმუშავებდი. რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ საკადრო პრობლემების გამო გარკვეულ სიძნელეებს წავაწყდებოდით; მაგრამ, ისიც მჯეროდა, რომ ევროტურნირებზე ღირსეულად ვიასპარეზებდით. ადრეც არაერთხელ აღვნიშნე, რომ „დინამოს“ ახალწვეულებსაც და საერთოდ, ჩვენი გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელებს გარკვეული დრო სჭირდებოდათ.

**- როგორ ფიქრობთ, დღესდღეობით „დინამოში“ ფეხბურთელების ერთმანეთთან შეთამაშების პრობლემა მოხსნილია?**

- ვფიქრობ, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში აღარ დგას; ევროტურნირებზე, ფაქტობრივად, ახალი გუნდით ორი ეტაპის გავლა ადვილი ნამდვილად არ არის; თანაც, ის ფაქტიც მახარებს, რომ ბიჭები ბრძოლისუნარიანობას ავლენენ: „ფლორასთან“ თავდაპირველად ვაგებდით, მაგრამ მატჩი მაინც ჩვენს სასარგებლოდ დავამთავრეთ. აი, „შტურმთან“ თამაშის მერეც ფეხბურთელების ასპარეზობით უკმაყოფილო არ დავრჩენილვარ; რა თქმა უნდა შედეგი არასახარბიელოა, მაგრამ როგორც ვვარაუდობდით, ყველაფერი მაინც განმეორებით შეხვედრაში გაირკვევა.



**- თამაშამდე „შტურმზე“ საკმარის ინფორმაციას ფლობდით?**

- ავსტრიის ჩემპიონატში ამ გუნდის მიერ ჩატარებული ორივე მატჩის ვიდეოფირი მოვიპოვეთ; ამას გარდა, „შტურმის“ ყოფილი ფეხბურთელის, ილია კანდელაკისგანაც ამომწურავი ინფორმაცია მივიღეთ. მოკლედ, ვიცოდით, რომ მეტოქედ საკმაოდ ორგანიზებული გუნდი გვეყოლებოდა, ძირითად ყურადღებას სათამაშო დისციპლინის მკაცრად დაცვას რომ უთმობდა.

**- „შტურმის“ ერთ-ერთი „სავიზიტო ბარათი“, ამ გუნდის ფეხბურთელთა მიერ სტანდარტული მდგომარეობების მაქსიმალურად ეფექტიანად შესრულება არის.**

- გეთანხმებით და ამაში, უშუალოდ „შტურმი“-„დინამოს“ შეხვედრამაც დაგვარწმუნა. მეტოქემ, ფაქტობრივად, ოთხი რეალური მომენტი შექმნა ჩვენ კართან და აქედან ორი გოლით დაასრულა.

**- ოღონდ, ისიც ვთქვათ, რომ ჩვენს კარში გატანილი ორივე გოლი სტანდარტულ მდგომარეობებს მოჰყვა...**

- სამწუხაროდ, მეორე ტაიმის იმ ათწუთიან მონაკვეთში ჩვენი ფეხბურთელების უყურადღებობითა თუ კონცენტრაციის დაკარგვით, მასპინძლებმა ორი გოლი გაგვიტანეს. ამას გარდა, დავამატებდი, რომ „დინამოს“ ფეხბურთელთა უმრავლესობის გამოუცდელობამაც ნეგატიური როლი ითამაშა. არადა, მერწმუნეთ: ნამდვილად არ ყოფილა ისეთი თამაში, მეტოქეს რომ აშკარა უპირატესობა ჰქონოდა. პირველ ტაიმში მხოლოდ ერთხელ მიეცათ გოლის გატანის შანსი, მეორეში კი, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი ორი შეცდომა მაქსიმალურად გამოიყენეს.

**- ანუ, დაუმარცხებელ გუნდთა კატეგორიას „შტურმი“ „დინამოსთვის“ არ უნდა მივაკუთვნოთ?**

- არამც და არამც! კი ბატონო, საკმაოდ მკაცრად იცავენ სათამაშო დისციპლინას, ასევე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს იმრე საბიჩმა, რომან კინასტმა და ჰარის ბუკვამ, მაგრამ განმეორებით შეხვედრაში უიმედოდ ნამდვილად არა ვართ. სხვათა შორის, ისევ პირველ მატჩს მინდა დავუბრუნდე და ჩემი გაკვირვება გამოვხატო, როცა მეტოქემ საკმაოდ ფრთხილი ტაქტიკა აირჩია. მოგეხსენებათ, რომ „შტურმის“ მთავარი მწვრთნელი ფრანკო ფოდა „დინამოსა“ და „გეფლეს“ შეხვედრას დაესწრო და ეტყობა, თავის ფეხბურთელებს მაქსიმალური სიფრთხილისაკენაც მოუწოდა. ყოველ შემთხვევაში, მთელი მატჩის განმავლობაში იგრძნობოდა, რომ მეტოქე „უკნიდან გვეთამაშებოდა“ და მაქსიმალურად ცდილობდა დაცვაში შეცდომები არ დაეშვათ, პლუს ჩვენი ფეხბურთელებისათვის სივრცეები შეეზღუდათ.

**- სხვათა შორის, „დინამოს“ ჩათვლით „შტურმმა“ ზედიზედ სამი ოფიციალური მატჩი ერთი და იმავე შემადგენლობით ჩაატარა. არადა, თადარიგში ისეთი ფეხბურთელები ჰყავთ, კონკრეტული მატჩის ბედის გადაწყვეტა რომ შეუძლიათ - ორ ვეტერანს, მარიო ჰაასსა და სამირ მურატოვიჩს ვგულისხმობთ.**

- ჩემმა კოლეგამ ორივე ეს გამოცდილი ფეხბურთელი მოედანზე მაშინ შემოიყვანა, როცა რობერტინიოს გამოსვლის შემდეგ „დინამო“ საკმაოდ გააქტიურდა. ჰაასმაც და მურატოვიჩმაც ბურთის „დაჭერაც“ იციან, თამაშის რიტმის გაკონტროლებაც და საერთოდაც, რამხელა ფუფუნებაა, როცა გუნდში ორი ასეთი გამოცდილი ფეხბურთელი გეყოლება.

**- წელან აღნიშნეთ, რომ „დინამოს“ ფეხბურთელებთან სასაყვედურო არავისთან მაქვსო.**

- მართლაც ასეა - იმ ათწუთიან მონაკვეთს თუ არ ჩავთვლით, ბიჭებს ურიგოდ ნამდვილად არ უასპარეზიათ. ვინმემ, შესაძლოა, ჩვენი ახალწვეული ზვიად მეტრეველი გააკრიტიკოს - ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენაო; თუმცა, მის თამაშს ასე მკაცრად ნამდვილად არ შევაფესებდი, პირიქით - ნელ-ნელა ეჩვევა ახალ გარემოს და სულ მალე დანარჩენ პარტნიორებთან შეთამაშების პრობლემაც აღარ ექნება.

**- „შტურმთან“ მატჩში დაცვის ფლანგებზე კვლავაც გიორგი კახელიშვილმა და ლევან ხმალაძემ იასპარეზეს...**

- გასაგებია, რასაც გულისხმობთ და ისიც ვიცი, რომ ბევრი არ ელოდა იმავე კახელიშვილის დაცვის მარჯვენა ფლანგზე გამოჩენას, ისე როგორც თავის დროზე ხმალაძის მარცხენა მცველობას; ისე კი, ნებისმიერი მწვრთნელისათვის სასიამოვნოა, როცა გუნდში რაც შეიძლება მეტი ისეთი ფეხბურთელი ჰყავდეს, ორ-სამ პოზიციაზე ერთნაირი წარმატებით რომ ასპარეზობენ.

**- „დინამოში“ ამ ცოტა ხნის წინ ნუკრი მანჩხავამ დაიწყო ვარჯიში...**

- სამწუხაროდ, ერთ-ერთ ვარჯიშზე მცირე ტრავმა მიიღო და სამი-ოთხი დღე ისვენებდა; ჯერჯერობით კვლავაც ვაკვირდებით და მისი „დინამოში“ დარჩენა-არდარჩენის საკითხიც მერე გაირკვევა.

**- საერთოდ კი, შეიძლება ითქვას, რომ „დინამოს“ დაკომპლექტება დასრულებულია?**

- არის კიდევ ვარიანტი; ყოველ შემთხვევაში, „დინამოში“ ახალი სახეების გამოჩენას ნურავინ გამორიცხავს...

**- „შტურმი“ დაუმარცხებელი გუნდი არ არისო, - თქვენც ბრძანეთ და ჩვენც ასე გვგონია; მაგრამ, 0:2-ც ძნელად გასაბათილებელი შედეგია...**

- ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს: დარწმუნებული ვარ, რომ „დინამოს“ თითოეული ფეხბურთელი მაქსიმალური მონდომებითა და კონცენტრაციით ისპარეზებს. ოღონდ, ისიც კარგად ვიცით, რომ ქაოსურად, უკანმოუხედავად კი არ უნდა შევუტიოთ: ამ შემთხვევაში ხომ „შტურმი“ თავის ძირითად კოზირს, კონტრშეტევებზე თამაშს გამოიყენებს. უბრალოდ, უნდა ვეცადოთ, რომ მეტოქე მისსავე ნახევარზე შევავიწროვოთ და საკუთარი თამაში თავს მოვახვიოთ. კიდევ ვიმეორებ: ცუდი გუნდი ნამდვილად არ არის, მაგრამ თუ რაიმე კომპონენტში გვჯობნიან, ფეხბურთელთა ფიზიკური მომზადება და სათამაშო დისციპლინის მკაცრი დაცვაა; თორემ, ინდივიდუალურად „დინამოს“ ფეხბურთელები აშკარად უკეთ გამოიყურებიან.

**- იმედია, ხუთშაბათს „დინამოს“ საქომაგოდ ეროვნულ სტადიონზე მრავალი გულშემატკივარი იქნება.**

- ამის ძალიან დიდი იმედი მაქვს და ქართველ ქომაგებს ვპირდები, რომ „დინამოს“ თითოეული ფეხბურთელი წარმატებისათვის ცდას არ დააკლებს. ყოველ შემთხვევაში, ვერც ერთ მოთამაშეზე ვერ იტყვიან, არ მოინდომაო; აქვე, ვსარგებლობ შემთხვევით და „ზესტაფონს“ წარმატება მინდა ვუსურვო - წარმოიდგინეთ, ორივე ქართული გუნდის მომდევნო ეტაპზე გასვლა საერთოდ, ჩვენი ფეხბურთისათვის რამხელა საქმე იქნება!..

**გია ტუხაშვილი**

***P.S. გუშინ ავსტრიის ჩემპიონატის III ტურის მატჩში „შტურმი“ სტუმრად ხვდებოდა „ტიროლს“. მატჩი დამთავრდა ფრედ 2:2.***

უეფას ევროპის ლიგის
მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი.
საპასუხო მატჩი
5 აგვისტო, ხუთშაბათი
დინამო (თბილისი)
შტურმი (ავსტრია)
დასაწყისი 20:30
ბილეთის ფასი 2 ლარი
ლოჟაში 5 ლარი

ლეგიონერი

# ამისულაშვილმა ქაისერისთვის პირველად გაიტანა

თურქულმა „ქაისერისფორმა“, რომლის მთავარი მწვრთნელიც **შოთა არველაძეა**, ავსტრიული შეკრება წაუგებლად დაასრულა. შოთას გუნდმა თურქეთის ქვედალიგოსან „ერჩიასფორთან“ საკონტროლო შეხვედრაში 3:2 მოგების შემდეგ, ავსტრიაში 4 ამხანაგური მატჩი გამართა. ჯერ ავსტრიული ბუნდესლიგის „კაპფენბერგი“ 1:0 დაამარცხა, მერე გერმანული ბუნდესლიგის „ჰანოვერს“ 2:0 სძლია, პოლონური კიელჩეს „კორონასთან“ 0:0-ს დასჯერდა. თურქეთში გამომგზავრებამდე კი ქუვეითურ „კაზმას“ გაეჯიბრა და დიდი ანგარიშით 5:1 მოიგო.

ქაისერელების მიერ ჩატარებული 5 საკონტროლო შეხვედრიდან, ჩვენი ნაკრების მცველმა **ალექსანდრე ამისულაშვილმა** პირველის გარდა ყველა სასტარტო შემადგენლობაში ჩაატარა. ამისულაშვილმა თურქულ გუნდში პირველი გოლი სწორედ ქუვეითური „კაზმას“ კარში გაიტანა. ეს მოხდა მე-6 წუთზე - ამისულაშვილმა ანგარიში 2:0 გახადა.



ამრიგად, არველაძის ხელმძღვანელობით ჩატარებულ 5 ამხანაგურ მატჩში ქაისერელებმა 4 მოიგეს და ერთში ფრეს დასჯერდნენ, გაიტანეს 11 და გაუშვეს მხოლოდ 3 გოლი.

დაბოლოს, „ქაისერისფორი“ თურქეთში დაბრუნდა და ახალი სეზონისთვის მზადებას მშობლიურ ბაზაზე გააგრძელებს. თურქულ სუპერლიგაში ახალი სეზონი 15 აგვისტოს დაიწყება. შოთა არველაძის გუნდი სასტარტო ტურში „ისთანბულსფორს“ სტუმრად ეთამაშება.

**დავით ცაბაძე**

ევროპის ლიგა — ზესტაფონი-კარპატი

### სანდრო გურული:

# ზესტაფონშიც მოგებისთვის ვიბრძოლებთ

## კარპატიმ 3 ქულა ხელიდან გაუშვა



ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩამდე, „ზესტაფონის“ მეტოქე ლვოვის „კარპატიმ“ უკრაინის ჩემპიონატის ვიშა ლიგაში მორიგი მატჩი გამართა. ლვოველები „ზარიას“ ლუგანსკში გაეჯიბრნენ. იმერელთა მეტოქეს გვარიანი ფორა ჰქონდა, მაგრამ გაანიავა და საბოლოოდ 2:2 ფრეს დასჯერდა. ლვოველები მე-5 წუთზე **ტკაჩუკის** მიერ გატანილი პენალტით დაწინაურდნენ. 26-ე წუთზე **გუდიმამ** „კარპატის“ უპირატესობა გააორმაგა, მაგრამ შესვენების შემდეგ ლვოველებმა ორი ბურთი მიიღეს და ლუგანსკიდან მხოლოდ ქულა წამოიღეს და ჯამში 5 ქულა აქვთ.

ზესტაფონელებთან მატჩის შემდეგ ლვოველთა მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ კონონოვმა** არ დამალა, რომ შეცვლებს მიმართავდა და ეს „ზარიასთან“ თამაშში გააკეთა. კონონოვმა სასტარტო შემადგენლობა შეცვალა. თუმცა ქართველი ნახევარმცველი **სანდრო გურული** ამჯერაც არ ყოფილა სასტარტო შემადგენლობაში. „კარპატიმ“ ლუგანსკში ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

**რუდენკო, პეტრივსკი, ტუბიჩი, ე. ტარასენკო, აველარი, ტკაჩუკი (46. გოდვინი), კოპოლოვეცი, გ. ბარანეცი, ბ. ბარანეცი, ნენო (73. ბატიშტა), გუდიმა (63. ზენევი).**

ახლა კი მეტოქესთან დაკავშირებით სხვა მასალებიც უნდა გაგაცნოთ. უკრაინულ ვებგვერდებზე „კარპატის“ ფეხბურთელების კომენტარები მოვიძიეთ, რომელიც „ზესტაფონთან“ გამართულ და საპასუხო მატჩებს ეხება. ვნახოთ, რა აზრის არიან მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელები.

*„ქართველებთან პირველ მატჩამდე „ზესტაფონის“ ბოლო თამაშების ჩანაწერი გავაანალიზეთ. ჯერ კიდევ მაშინ მივხვდით, რომ მეტოქის სათანადოდ არდაფასება დიდი შეცდომა იქნებოდა. უკვე კარგად ვიცობთ ქართულ გუნდს და მიმაჩნია, რომ „ზესტაფონთან“ შინ 1:0 მოგება კარგი შედეგია. „ზესტაფონი“ კარგად ორგანიზებული გუნდია, რომელიც სათამაშო დისციპლინითა და ტექნიკური ფეხბურთელების სიმრავლით გამოირჩევა. პირველი მატჩი 1:0 მოვიგეთ, მაგრამ ამით არაფერი დამთავრებულა. ყველაფერი საპასუხო შეხვედრაში გადაწყდება და ვფიქრობ, მთავარი ბრძოლა წინ გველის. საქართველოში რთულ მატჩს ველოდები. მიმაჩნია, რომ 1:0 უნდა დავივიწყოთ და საპასუხო შეხვედრაში თამაში „სუფთა ფურცლიდან“ უნდა დავიწყოთ“,* - sport.glavred.info-სთან საუბარში აღნიშნა იმერელთა კარში გატანილი გოლის თანაავტორმა **არტემ ფედეცკიმ**.

„კარპატის“ ოფიციალურ ვებგვერდზე კი გოლის ავტორ **იგორ ხუდობიაკის, სანდრო გურულისა** და **ანდრეი ტლუმაკის** კომენტარებია:

**სანდრო გურული:** *„ზესტაფონი“ კარგი გუნდია. არ ველოდი, თუ ჩვენი მეტოქე ასე ითამაშებდა. ვფიქრობ, ზესტაფონელებმა ტრიბუნაზე მყოფი გულშემატკივრის მოხიბვლაც შეძლეს. ამ შეხვედრაში შეცვლაზე ვითამაშე და ემოციით ვიყავი სავსე. ქართული გუნდის წინააღმდეგ პირველად მომიწია თამაშმა. საქართველოში რთული მატჩი გველის, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ მეორე თამაშიც მოვიგოთ“.*

**იგორ ხუდობიაკი:** *„ვფიქრობ, ქართველების წინააღმდეგ, მთლიანობაში თამაში არ გამოგვივიდა... არ გამოგვივიდა პრესინგი... დიდი ანგარიშით შევძლო ამ მატჩის მოგება. მატჩის ბოლოს მეორე გოლის გატანაც შემეძლო, მაგრამ... მეტოქის მცველს ვერ ვხედავდი, მეგონა, ბურთი უკვე კარის ბადეში იყო, მაგრამ ქართველმა მცველმა დამასწრო და ბოლოს ფეხი დააფარა ჩემს დარტყმულს. თითქმის ასპროცენტიანი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენე და ცოტა არ იყოს, გაწბილებულიც კი ვიყავი, მაგრამ კარგია, რომ პირველი მატჩი მშრალად მოვიგეთ. შესაძლოა გულშემატკივარს ეგონა, რომ ჩვენ ამ მატჩში ძალები დავზოგეთ. მერწმუნეთ, ასე ნამდვილად არ ყოფილა. საქართველოშიც მოგებისთვის ვიბრძოლებთ. მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება“.*

ანდრეი ტლუმაკი: *„თავიდანვე ვიცოდით, რომ კარგად შეთამაშებულ, ტექნიკურ და გამართულად მოთამაშე გუნდთან გვიწევდა დაპირისპირება. კარგა ხანია, რაც მეტოქე ამ შემადგენლობით თამაშობს და ეს ლვოვშიც იგრძნობოდა. რთულ მატჩს ველოდით და ასეც იყო. შინ მოვიგეთ და ვფიქრობ, მეტოქეზე უკეთესი შანსი გვაქვს. საქართველოშიც მოგებისთვის ვიბრძოლებთ“.*

**დავით ცაბაძე**

ლეგიონის უქმეები



# ანანიძემ ვერ გაიბრწყინა, სალუქვაძე ყველაზე უიღბლოა

**ახალი სეზონი ოფიციალურად ევროპის სულ რამდენიმე ქვეყანაში დაიწყო, თუმცა ქართველ ლეგიონერებზე მოსაყოლი მაინც გვაქვს. ეს უპირველესად, პოსტსაბჭოურ სივრცეში მოასპარეზე ჩვენებურებზე ითქმის. გასულ უქმეებზე ოფიციალურ მატჩებში ქართული გოლი არსად გასულა, თუმცა რამდენიმე ჩვენებურმა თავისი გუნდის წარმატებაში მაინც შეძლო საკუთარი წვლილის შეტანა.**

რუსეთში ჩემპიონატი როგორც იცით, გაზაფხული-შემოდგომის სისტემით მიმდინარეობს და ამიტომაც სულ მალე იქაური პრემიერლიგა გადამწყვეტ ფაზაში შევა. გასული ტური რუსეთში ოთხ დღეზე გაიწელა. პარასკევს რამენსკოეს „სატურნმა“ შინ „ანჟის“ 1:0 მოუგო, ხოლო ნალჩიკის „სპარტაკმა“ ასევე საკუთარ კედლებში 2:1 დაამარცხა პერმის „ამკარი“.

**ნუკრი რევიშვილმა**, რომელიც ბოლო ტურებში შეუცვლელად იცავდა „ანჟის“ კარს, ამჯერად სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა და მახაჩყალელთა თავკაცმა **გაჯი გაჯიევმა** ძირითად შემადგენლობაში მის ნაცვლად **აბაევი** გაამწესა. სამაგიეროდ, ქართველთაგან სასტარტოში ითამაშეს **დავით კვირკველიამ** და **გიორგი ილურიძემ**. კვირკველიამ, რომელმაც „სპორტ-ექსპრესისგან“ 5-იანი მიიღო, მოედანზე 90 წუთი დაჰყო, ილურიძე კი პირველი ტაიმის დასრულებისთანავე შეცვალეს. ისიც 5-იანით შეაფასეს. **ზურაბ არზიანი** თამაშში 90-ე წუთზე ჩაერთო და შესაბამისად, შეფასების გარეშე დარჩა.

ნალჩიკელებმა კი გათამაშების ცხრილში მეოთხე პოზიცია გაიმყარეს. მართალია, ქართველები „სპარტაკს“ გოლებით ამჯერად ველარ შეეშველნენ, მაგრამ გუნდის გამარჯვებაში მათაც დიდი წვლილი შეიტანეს. **გოგიტა გოგუამ** და **დავით სირაძემ** სრულად ითამაშეს. პირველი მათგანის თამაში „სპორტ-ექსპრესმა“ 5.5-ით შეაფასა, მეორისა კი - 6-ით.

შაბათს რუსეთის მოქმედ ჩემპიონ „რუბინისთვის“ სანკტ-პეტერბურგში ვოიაჟი წარუმატებელი გამოდგა, **ლაშა სალუქვაძისთვის** კი - კიდევ უფრო უიღბლო. ქართველი მცველი მატჩის პირველივე წუთზე დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. შაბათსვე ჩრდილოკავკასიურ დერბიში გროზნოს „ტერეკმა“ ვლადიკავკაზის „ალანიას“ უმასპინძლა და მეტოქე 2:0 დაამარცხა. ჩეჩნური გუნდის წარმატებაში **ლევან გვაზავას** განსაკუთრებული როლი არ უთამაშია, იგი მოედანზე 84-ე წუთიდან გამოჩნდა.

გუშინდელი დღე ქართველებისთვის წარუმატებელი გამოდგა. ტურის ცენტრალური მატჩი მოსკოვური დერბი იყო, სადაც „სპარტაკი“ ცსკა-სთან 1:2 დამარცხდა. 72-ე წუთზე არმიელთა მცველმა **ვასილი ბერეზუცკიმ** ავტოგოლი გაიტანა, მაგრამ „სახალხო გუნდმა“ მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო და ცსკა-მ **სერგეი იგნაშევიჩისა** და არენდიდან სულ ახლახან დაბრუნებული ბრაზილიელი **ვაგნერ ლავის** გოლებით მოიგო. **ჯანო ანანიძემ** შეუცვლელად ითამაშა. ცსკა-მ ამ გამარჯვებით „რუბინს“ მეორე საფეხური წაართვა.

მოსკოვის „ლოკომოტივი“ საკუთარ მოედანზე „როსტოვთან“ დამარცხდა - 0:1. ამ მატჩს **მალხაზ ასათიანმა** თავიდან ბოლომდე სათადარიგოთა სკამიდან უყურა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 15 | 12 | 3 | 0 | 25-6 | 39 |
| 2. ცსკა | 15 | 9 | 3 | 3 | 24-13 | 30 |
| 3. რუბინი | 15 | 8 | 5 | 2 | 15-5 | 29 |
| 4. ნალჩიკი | 15 | 8 | 4 | 3 | 21-15 | 28 |
| 5. ლოკომოტივი | 15 | 6 | 4 | 5 | 20-15 | 22 |
| 6. როსტოვი | 15 | 7 | 1 | 7 | 16-22 | 22 |
| 7. სპარტაკი | 15 | 5 | 5 | 5 | 20-18 | 20 |
| 8. ტერეკი | 15 | 5 | 5 | 5 | 15-13 | 20 |
| 9. დინამო | 15 | 4 | 7 | 4 | 16-16 | 19 |
| 10. ტომსკი | 14 | 5 | 3 | 6 | 17-20 | 18 |
| 11. სატურნი | 15 | 4 | 5 | 6 | 11-13 | 17 |
| 12. ანჟი | 15 | 4 | 4 | 7 | 16-17 | 16 |
| 13. ალანია | 15 | 4 | 3 | 8 | 15-24 | 15 |
| 14. ამკარი | 15 | 3 | 3 | 9 | 10-18 | 12 |
| 15. კრილია | 15 | 2 | 4 | 9 | 9-23 | 10 |
| 16. სიბირი | 14 | 2 | 3 | 9 | 19-31 | 9 |

გადავინაცვლოთ უკრაინაში, სადაც უკვე მეოთხე ტური მიილია. პარასკევს დონეცკის „შახტიორმა“ სტუმრად 3:1 სძლია კიევის „არსენალს“. **თორნიკე ოქრიაშვილი** დონეცკელთა განაცხადში არ გამოჩენილა.

პარასკევსვე პოლტავის „ვორსკლასა“ და სიმფეროპოლის „ტავრიას“ მატჩში, რომელიც უგოლო ფრით დასრულდა, ითამაშა **ვასილ გიგიაძემ**. ვეტერანი ქართველი ფორვარდი „ტავრიას“ სასტარტო შემადგენლობაში დააყენეს და შესვენებისას შეცვალეს.

„კრივბასთან“ გასვლით შეხვედრაში, რომელიც „ილიჩევეცმა“ 0:1 წააგო, სტუმართა რიგებში არ გამოჩენილა **გიორგი გაბედავა**. ასევე არ ათამაშეს ლვოვის „კარპატის“ ქართველი სანდრო გურული. „ზესტაფონის“ მეტოქე გასვლაზე ლუგანსკის „ზარიას“ დაუზავდა - 2:2.

სამაგიეროდ, თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში მყარად დამკვიდრდა **უჩა ლობჟანიძე**. დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“ შინ „ობოლონი“ 3:0 გაანადგურა, ახალგაზრდა ქართველმა მცველმა კი „დნეპრის“ დაცვის მარჯვენა ფლანგზე სრულად ითამაშა.

ლობჟანიძესა და მის თანაგუნდელებს უკრაინული პრემიერლიგის საწყის ოთხ ტურში ქულათა მაქსიმუმი აქვთ მოგროვილი და გათამაშებას ერთპიროვნულად ლიდერობენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ბათუმი 2010

# პირველი ფესტივალი პლაჟის ფეხბურთში




ბათუმში საერთაშორისო დონის ახალ საპლაჟო სპორტულ სარბიელზე საქართველოს ექვსი და აზერბაიჯანის ერთი გუნდის მონაწილეობით ჩატარდა ბათუმის პირველი საერთაშორისო „ფესტივალი 210“ ფეხბურთში. გუნდები ორ ქვეჯგუფად განაწილდნენ. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ბათუმის „ბათუმი“ და თელავის „უნივერსიტეტი“. გამარჯვებული პენალტების სერიით გამოვლინდა (ძირითადი დრო 2:2) - უფრო ზუსტები თელაველები აღმოჩნდნენ და მთავარი ჯილდოც მათი ნადავლი გახდა. მათ გარდა ფესტივალში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2 გუნდი, ქუთაისის „ჯუნგლები“ და აზერბაიჯანის „ვეგასი“.

საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა თელაველთა კაპიტანი **დავით ბურდული**. დავძენთ, რომ ამ რანგის ასპარეზობა საპლაჟო ფეხბურთში პირველად ჩატარდა საქართველოში, რაშიც დიდია ბათუმის მერიისა და აჭარის ფუტსალისა და პლაჟის ფეხბურთის ფედერაციის (პრეზიდენტი **ჯაბა ჭანტურია**) დამსახურება.

ფესტივალს საქართველოს ფუტსალისა და პლაჟის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზაზა ციციშვილი** და ეროვნული ნაკრების მწვრთნელი **ავთანდილ ასათიანი** ესწრებოდნენ.

*„ფესტივალი საერთაშორისო წესებით ყოველწლიურად გაიმართება, უკვე გაისად უცხოეთის ხუთ გუნდს მოველით“*, - თქვა ჯაბა ჭანტურიამ.



## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ნიიმეგენი-ერგოტელისი | 0:2 |
| სელტიკი-ლიონი | 2:2 |
| პანიონიოსი-ვალენსია | 1:2 |
| ბოხუმი-ხეტაფე | 4:2 |
| ბრაიტონი-აბერდინი | 1:0 |
| ალემანია-ვენლო | 3:1 |
| იფსვიჩი-ვესტ ჰემი | 0:1 |
| კაიზერი-ოსერი | 3:1 |
| ნიუკასლი-ვინდჰოვენი | 2:2 |
| ნორვიჩი-ევერტონი | 2:4 |
| შალკე-ჰამბურგი | 2:1 |
| არსენალი-მილანი | 1:1 |
| კაენი-რენი | 1:1 |
| ბრესტი-ლილი | 0:1 |
| ბაიერნი-კიოლნი | 0:0 |
| ლორიანი-ლეგია | 0:1 |
| პსჟ-პორტუ | 1:0 |
| მილუოლი-პართსი | 2:3 |
| ესპანიოლი-სამპდორია | 0:0 |
| ფეიენოორდი-ასტონ ვილა | 1:3 |
| ინტერი-მანჩესტერ სიტი | 3:0 |
| პორტსმუთი-ფულჰემი | 1:0 |
| ბორდო-რომა | 1:1 |
| პალადაში-ვერდერი | 2:1 |
| ლეჩია-ვილიარეალი | 1:1 |
| ბორუსია (მ)-ლივერპული | 1:0 |
| მილანი-ლიონი | 1:1 |
| აინტრახტი-ჩელსი | 2:1 |
| ბორდო-პორტუ | 2:1 |
| ჰამბურგი-კიოლნი | 3:0 |
| არსენალი-სელტიკი | 3:2 |
| შალკე-ბაიერნი | 3:1 |
| პეს-რომა | 1:1 |
| მარსელი-ვალენსია | 1:0 |
| ბენფიკა-ასტონ ვილა | 4:1 |

## გერმანია

### III ბუნდესლიგა

III ტური

| | |
|---|---|
| ალენი-ვერდერი A | 1:1 |
| ბაიერნი A-ბურგჰაუზენი | 1:1 |
| დინამო (დრ)-კარლ ცაისი | 2:0 |
| ჰაიდენჰაიმი-შტუტგარტი A | 0:0 |
| რეგენსბურგი-უნტერჰახინგი | 3:0 |
| ზაარბრიუკენი-ბრაუნშვაიგი | 0:3 |
| ზანდჰაუზენი-ოფენბახი | 0:2 |
| აალენი-კობლენცი | 1:2 |
| ერფურტი-ჰანზა | 0:1 |
| ვეენი-ბაბელსბერგი | 1:0 |

## საფრანგეთი

### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ბულონი-ნანტი | 2:2 პენ. 4:2 |

## ჰოლანდია

### სუპერთასი

| | |
|---|---|
| აიაქსი-ტვენტე | 0:1 |

## ბელგია

I ტური

| | |
|---|---|
| სტანდარდი-ვარეგემი | 1:1 |
| ანდერლეხტი-ეუპენი | 4:1 |
| კორტრიიკი-ბრიუგე | 1:0 |
| მეხელენი-ლოკერენი | 2:0 |
| სტ. ტრუიდენი-ლიერსი | 1:0 |
| ვესტერლო-გენტი | 0:1 |
| სერკლი-შარლერუა | 1:1 |
| გენკი-ბეერსხოტი | 2:1 |

## შოტლანდია

### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ალბიონი-ეირდრი | 0:1 |
| ანანი-პარტიკი | 0:1 |
| კლაიდი-კოუდენბითი | 2:1 |
| დანფერმლაინი-არბროა | 5:2 |
| ელჯინი-ეირი | 3:2 დ.დ. |
| დანდი-მონროუზი | 3:0 |
| ინვერნესი-ქუინზ პარკი | 3:0 |
| პიტერჰედი-ბერვიკი | 1:0 |
| ქუინი-დამბარტონი | 5:1 |
| რეითი-ისტ ფაიფი | 4:1 |
| როსი-ლივინგსტონი | 2:1 |
| სტენჰაუზმური-ბრეჩინი | 1:3 |
| სტირლინგი-ფორფარი | 1:2 |
| სტრანრარი-მორტონი | 1:7 |
| ისტ სტირლინგი-ალოა | 1:2 |

## ავსტრია

III ტური

| | |
|---|---|
| კაპფენბერგი-მატერსბურგი | 3:1 |
| რიდი-ლინცერი | 1:0 |
| რაპიდი-ზალცბურგი | 2:1 |
| ვინერი-ავსტრია | 0:0 |
| ტიროლი-შტურმი | 2:2 |

## დანია

III ტური

| | |
|---|---|
| კოპენჰაგენი-ოლბორგი | 1:1 |
| სონდერიისკი-ესბერგი | 3:0 |
| რანდერსი-ნორდსილანდი | 0:2 |
| სილკებორგი-ლუნგბიუ | 2:2 |
| ბრონდბიუ-მიდტიულანდი | 1:0 |
| ჰორსენსი-ოდენსე | დღეს |

## სლოვენია

III ტური

| | |
|---|---|
| პრიმორიე-დომჟალე | 0:0 |
| კოპერი-ტრიგლავი | 1:1 |
| ჰუბლიკუეი-რუდარი | 5:1 |
| მარიბორი-გორიცა | 3:1 |
| ოლიმპია-ნაფტა | დღეს |

## ფინეთი

XVI ტური

| | |
|---|---|
| კუოპიო-ოულუ | 3:1 |
| ჰიკ-ვაასა | 3:0 |
| ლაჰტი-ინტერი | 1:1 |
| მარიეჰამნი-ჰონკა | 2:2 |
| მიუპა-ტამპერე | 3:0 |
| ტურკუ-იუვიასკიულა | 2:0 |

### II დივიზიონი

XV ტური

იიპო-პკ35 0:2; კპვ-ჰამეენლინა 1:0; ესპოო-ვიიკინგიტი 3:4; როვანიემი-ოსპ 1:1; ტამპერე-კლუბი 04 3:2; პოპა-კემი 0:2.

## ირლანდია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| სლიგო-დანდალკი | 1:0 |
| საორტინგი-შემროკი | 3:3 |

### II დივიზიონი

XX ტური

სოლტჰილი-კორკი 1:3.

## ნორვეგია

XIX ტური

| | |
|---|---|
| ლილესტრიომი-ჰონგსვინგერი | 2:2 |
| ჰიონეფოსი-ოდ გრენლანდი | 2:1 |
| რუსენბორგი-ჰაუგესუნდი | 4:3 |
| სტრიომსგოდსეტი-ოლესუნდი | 3:1 |
| ტრომსიო-სტაბეკი | 3:0 |
| ვიკინგი-სანდეფიორდი | 0:0 |
| ბრანი-მიოლდე | 1:1 |

### II დივიზიონი

XVI ტური

ფრედრიკსტადი-მოსი 1:1; ალტა-მიონდალენი 7:3; ბოდო გლიმტი-სარპსბორგი 4:0; ლომ ჰამი-ტრიმსდალენი 0:0; ნილი-ფოლო 4:1; სანდნესი-რანჰეიმი 1:1; სიოგნდალი-სტრომენი 5:1.

## შვედეთი

XVII ტური

| | |
|---|---|
| იურგორდენი-ჰაკენი | 0:3 |
| მიალბიუ-აიკ | 0:0 |
| მალმიო-გაის | 1:0 |
| ელფსბორგი-გეფლე | 1:0 |
| გიოტებორგი-კალმარი | 3:1 |

### II დივიზიონი

XIX ტური

სირიანსკა-ლანდსკრონა 1:1; ბრაგე-ნორჩოპინგი 2:3; დეგერფორსი-ფალკენბერგი 2:2; ჰამარბიუ-ტროლჰატანი 3:0; იონჩოპინგი-სუნდსვალი 2:2; ლიუნგსკილე-იორგრიტე 1:1; ოსტერი-ასირისკა 1:1; ვასბი-ანგელჰოლმი 1:1.

## შვეიცარია

III ტური

| | |
|---|---|
| ბელინცონა-იანგ ბოიზი | 2:1 |
| ციურიხი-სიონი | 1:1 |
| ბაზელი-სტ. გალენი | 3:0 |
| ლუცერნი-ქსამაქსი | 4:2 |
| თუნი-გრასჰოპერსი | 2:2 |

### ჩელენჯლიგა

II ტური

შაფჰაუზენი-ვადუცი 2:1; ვოლენი-ლუგანო 0:3; ივერდონი-არაუ 2:0; ვინტერტური-კრინსი 1:3; სერვეტი-ბილი 2:0; კიასო-დელემონი 1:3; ლოკარნო-ნიონე 1:0; ვილი-ლოზანა დღეს.

## ბელარუსი

XX ტური

| | |
|---|---|
| ბელშინა-პარტიზანი | 2:0 |
| ტორპედო-ვიტებსკი | 0:4 |
| დინამო (ბრ)-დნეპრი | 2:3 |
| შახტიორი-ნემანი | 4:1 |
| მინსკი-ნაფტანი | 3:1 |

## ბოსნია

I ტური

| | |
|---|---|
| ბუდუჩნოსტი-დრინა | 1:1 |
| ჟელეზნიჩარი-ტრავნიკი | 2:1 |
| რუდარი-ლეოტარი | 1:1 |
| ბორაცი-შიროკი ბრიეგი | 2:3 |
| სლავია-სლობოდა | 1:0 |
| სარაევო-სელიკი | გადაიდო |
| ოლიმპიკი-ჟელეზნიჩარი | გადაიდო |
| ჟრინსკი-ველეჟი | გადაიდო |

## ბულგარეთი

I ტური

| | |
|---|---|
| ჩერნო მორე-პირინი | 2:1 |
| სლავია-კალიაკრა | 0:1 |
| ვიდიმა-ლოკომოტივი (პ) | 1:1 |
| ლიტექსი-მინიორი | 2:1 |
| მონტანა-ლოკომოტივი (ს) | 0:1 |
| ცსკა-ლევსკი | 0:1 |

## ბრაზილია

XII ტური

| | |
|---|---|
| ატ. გოიანიენსე-გუარანი | 1:1 |
| ფლუმინენსე-ატ. პარანაენსე | 3:1 |
| სან პაულუ-სეარა | 2:1 |
| ავაი-გოიაში | 4:1 |
| ინტერნასიონალი-გრემიო | 0:0 |
| პალმეირასი-კორინთიანსი | 1:1 |
| ვიტორია-ბოტაფოგო | 1:3 |
| ატ. მინეირო-კრუზეირო | გვ. დასრულდა |
| ფლამენგო-ვასკო | გვ. დასრულდა |
| გრემიო-სანტოსი | გვ. დასრულდა |

## ხორვატია

II ტური

| | |
|---|---|
| დრაგოვოლიაცი-ლოკომოტივა | 1:2 |
| ინტერი-სლავენი | 0:1 |
| ისტრა-ზაგრები | 0:2 |
| შიბენიკი-სიბალია | 0:0 |
| ზადარი-კარლოვაცი | 2:0 |
| სპლიტი-ვარტექსი | 4:0 |
| დინამო-რიეკა | 1:2 |
| ოსიეკი-ჰაიდუკი | 2:2 |

## ჩეხეთი

III ტური

| | |
|---|---|
| უსტი-ლიბერეცი | 0:0 |
| სლავია-ბოლესლავი | 1:0 |
| სლოვაცკო-პრადეცი | 2:1 |
| ბუდეიოვიცე-სპარტა | 1:0 |
| ბანიკი-ბრნო | 3:0 |
| პლზენი-ბოჰემიანსი | 2:1 |
| იაბლონეცი-ტეპლიცე | 1:1 |

### II დივიზიონი

I ტური

იჰლავა-სლოვანი 1:0; სოკოლოვი-სეზიმოვო 5:1; სპარტა B-ზნოიმო 1:0; ტრშინეცი-პლუჩინი 1:0; ჟლინი-კლადნო 2:1; ვიქტორია-ვლაშიმი 0:1; კარვინა-მოსტი 4:0; ჩასლავი-დუკლა 0:2.

## ესტონეთი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ლოოტუსი-ტულევიკი | 0:0 |
| კალევი-ლევადია | 0:4 |
| კალიუ-ტრანს ნარვა | 0:2 |
| ფლორა-ტამეკა | 6:3 |
| პაიდე-კურესაარე | 3:0 |

## უნგრეთი

I ტური

| | |
|---|---|
| ფერენცვაროში-პაკსი | 2:1 |
| დებრეცენი-ლომბარდი | 2:0 |
| მტკ-კეჩკემეტი | 4:2 |
| ზალაეგერსეგი-კაპოშვარი | 3:5 |
| ვაშაში-ჰონვედი | 3:2 |
| შიოფოკი-ვიდეოტონი | 1:1 |
| უიპეშტი-დიორი | 0:0 |

## ლატვია

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| იელგავა-[illegible]ონტო | 0:5 |

## ლიტვა

XIX ტური

| | |
|---|---|
| ბანგა-მაჟეიკიაი | 2:1 |
| ატლანტასი-კლაიპედა | 0:1 |
| კრუოია-ჟალგირისი | 1:1 |
| ეკრანასი-შაულაისი | 4:1 |

## მოლდოვა

II ტური

| | |
|---|---|
| მილსამი-სფინტული | 2:1 |
| ოლიმპია-შერიფი | 0:0 |
| გაგაუზია-ზიმბრუ | 0:0 |
| ისკრა-ცსკა | 1:0 |
| ნისტრუ-აკადემია | 0:1 |
| დაჩია-კოსტულენი | 3:1 |
| ტირასპოლი-დინამო | 4:1 |

## პოლონეთი

### სუპერთასი

| | |
|---|---|
| ლეხი-იაგელონია | 0:1 |

## რუმინეთი

II ტური

| | |
|---|---|
| ოცელული-პანდური | 2:0 |
| ვასლუი-ტარგუ | 1:1 |
| გლორია-ასტრა | 1:1 |
| სტიაუა-უნივერსიტატეა (კრ) | 2:1 |
| უნირეა-რაპიდი | 0:0 |
| გაზ მეთანი-ტიმიშოარა | 2:2 |
| ბრაშოვი-უნივერსიტატეა (კლ) | 3:1 |
| დინამო-სპორტული | 5:3 |

## რუსეთი

XVI ტური

| | |
|---|---|
| სატურნი-ანჟი | 1:0 |
| ნალჩიკი-ამკარი | 2:1 |
| ზენიტი-რუბინი | 2:0 |
| ტერეკი-ალანია | 2:0 |
| დინამო (მ)-კრილია | 1:1 |
| სპარტაკი-ცსკა | 1:2 |
| ლოკომოტივი-როსტოვი | 0:1 |

## სლოვაკეთი

III ტური

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-ჟილინა | 1:2 |
| ინტერი-დუბნიცა | 1:0 |
| ნიტრა-კოშიცე | 1:1 |
| რუჟემბეროკი-დ. სტრედა | 2:0 |
| ტრნავა-ტატრანი | 1:0 |
| სლოვანი-მორავცე | 3:0 |

## უკრაინა

IV ტური

| | |
|---|---|
| არსენალი-შახტარი | 1:3 |
| ვორსკლა-ტავრია | 0:0 |
| სევასტოპოლი-დინამო | 0:3 |
| კრივბასი-ილიჩიოვეცი | 1:0 |
| მეტალურგი (ზ)-ვოლინი | 0:1 |
| ზორია-კარპატი | 2:2 |
| დნიპრო-ობოლონი | 3:0 |
| მეტალურგი (დ)-მეტალისტი | 0:3 |

შალკე

ეროვნული ბიბლიოთეკა



რაულმა ბაიერნს დუბლი შეუსრულა

# რაულმა გოლებით დაიწყო

## დუბლი ბაიერნთან და პირველი ტიტული

შაბათ-კვირას გელზენკირხენში „ლიგა ტოტალის" სახელით ბლიცტურნირი გაიმართა, რომელშიც „შალკე", „ბაიერნი", „ჰამბურგი" და „კიოლნი" მონაწილეობდნენ. მატჩები ორტაიმიანი იყო, თუმცა თითო ტაიმი 30 წუთს გრძელდებოდა. შაბათს „შალკემ" „ჰამბურგი" დაამარცხა (2:1), ხოლო „ბაიერნმა" კი „კიოლნი" (0:0, პენალტებით 3:1).

შესაბამისად, გუშინ ფინალში ერთმანეთს „შალკე" და „ბაიერნი" შეხვდნენ. გამარჯვება გელზენკირხენულ კლუბს დარჩა - 3:1. ორი გოლი „შალკეს" სუპერახალწვეულის **რაულის** ანგარიშზეა. მართალია, რეკორდმაისტერი მეორე შემადგენლობით თამაშობდა, მაგრამ ეს რაულის დუბლსა და ზოგადად „შალკეს" წარმატებას ოდნავადაც არ აკნინებს. მესამე ადგილისთვის მატჩში „ჰამბურგმა" „კიოლნს" 3:0 მოუგო.

გოტფრიდ **ლენცი**

ამბები

### იოზილი: ვერდერში ვრჩები!

„ვერდერისა" და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველმა **მესუთ იოზილმა** განაცხადა, რომ მიუხედავად მისით რამდენიმე უცხოური კლუბის დაინტერესებისა, უახლოეს სეზონს ბრემენში გაატარებს.

*„სიტუაცია საკმაოდ ნათელია. მე კონტრაქტი მაკავშირებს „ვერდერთან". რა იქნება შემდეგ, ჯერჯერობით არ ვიცი. მე სიტყვის კაცი ვარ. არასოდეს ვახანგრძლივებ კონტრაქტს იმისთვის, რომ შემდეგ კლუბი მაშინვე დავტოვო - ყოველთვის პატივს ვცემდი საკონტრაქტო ვალდებულებებს. ბოლო ორ-ნახევარი წლის განმავლობაში არასოდეს მითქვამს, რომ წასვლა მინდა. წინა სეზონისას შემოთავაზება მივიღე სხვა კლუბებისგან, მაგრამ მე „ვერდერში" დარჩენა ვამჯობინე. პროფესიონალი ფეხბურთელი თავისი კარიერის მანძილზე საკმაოდ დიდ თანხას გამოიმუშავებს. ამიტომ, მე მეტს ვფიქრობ სპორტულ პერსპექტივებზე, ვიდრე კონტრაქტის ზომაზე"*, - განაცხადა იოზილმა „ბილდთან" ინტერვიუში.

მისი მოქმედი კონტრაქტი „ვერდერთან" ერთ წელიწადში იწურება. თუ ხელშეკრულება არ გაგრძელდება, გერმანიის ნაკრების ნახევარმცველს შეუძლია კლუბი თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვოს.

### მილუტინოვიჩს სამშობლო უხმობს

სერბეთის ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ნაკრების ჩაბარებას **ბორა მილუტინოვიჩს** სთავაზობს. სერბ მილუტინოვიჩს, რომელსაც არაერთი ნაკრები გაუწვრთნია, მშობლიური ქვეყნის ეროვნულ გუნდში აქამდე არასდროს უმუშავია. დღეისთვის იგი ყატარის ნაკრებს უდგას სათავეში. სერბეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის შეცვლის საკითხი დღის წესრიგში იმიტომ დადგა, რომ გუნდის ამჟამინდელ თავკაც **რადომირ ანტიჩს** მუნდიალზე მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის ფიფასგან ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს მისჯილი.

### ბექჰემი არ დაბრუნდებაო

ასე ამბობს „მილანის" ახალი მთავარი მწვრთნელი **მასიმილიანო ალეგრი:**

*„დიდი სურვილი კი მაქვს, დევიდ ბექჰემმა „მილანის" მაისურა კვლავ მოირგოს, მაგრამ ვხვდები, რომ ეს შეუძლებელია. ახლა იგი სერიოზული ტრავმის მოშუშების პროცესშია, თანაც უკვე სოლიდურ ასაკშია და ძალიან საეჭვოა, მწყობრში ჩადგომის შემდეგ ძველებურ დონეზე ათამაშება შეძლოს"*, - აცხადებს ალეგრი.

### ყოფილი რეალელი ბაქოში

**ჟულიო სესარ კორეა** საფეხბურთო კარიერას „ბაქოში" გააგრძელებს. გაგახსენებთ, რომ ამ ფეხბურთელს თავის დროზე ისეთი ცნობილი კლუბების ღირსება დაუცავს, როგორებიც „რეალი", „მილანი", „რეალ სოსიედადი", „ბენფიკა", „ბოლტონი" და „ოლიმპიაკოსი" არიან. ყველაზე დიდ წარმატებას მან „რეალში" თამაშისას მიაღწია, რომელთან ერთადაც 2000 წელს ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

32 წლის ჟულიო სესარი ბოლოს თურქული „გაზიანთეფსფორის" შემადგენლობაში ასპარეზობდა.

### ბარსელონა დიდი ხნის წინ დანებდაო...

**არსენ ვენგერის** თქმით, „ბარსელონამ" უკვე შეწყვიტა **სესკ ფაბრეგასის** ამ ზაფხულსვე გადაბირებაზე ფიქრი.

*„ფაბრეგასის სავარაუდო ტრანსფერზე სპეკულაციამ ძალიან შეგვაწუხა. მალე სესკი შვებულებიდან დაბრუნდება და იმედია, თავად დაუსვამს წერტილს ამ მითქმა-მოთქმას. ფაბრეგასს „არსენალთან" კიდევ ხუთწლიანი კონტრაქტი აქვს დარჩენილი და მის გაშვებას არსად ვაპირებთ. რეალურად, „ბარსელონა" დიდი ხნის წინ დანებდა"*, - აცხადებს „არსენალის" მწვრთნელ-მენეჯერი.

### ფორლანი ატლეტიკოში რჩება

ურუგვაის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს" ფორვარდმა განაცხადა, რომ კლუბის შეცვლას არ აპირებს.

*„ატლეტიკოში" თავს ბედნიერად ვგრძნობ, ამ კლუბთან კიდევ სამწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და აქედან წასვლაზე ერთი წამითაც არ მიფიქრია. ვერავინ იტყვის, რა მოხდება მომავალში, მაგრამ ის კი ზუსტად ვიცი, რომ შემდეგ სეზონს „ატლეტიკოში" გავატარებ"*, - ამბობს **დიეგო ფორლანი.**

### ტამუდო სოსიედადში წავიდა

„ესპანიოლის" თავდამსხმელმა **რაულ ტამუდომ** „რეალ სოსიედადთან" ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი თანამშრომლობის კიდევ ერთი სეზონით გაგრძელების პერსპექტივით. ტამუდო სან-სებასტიანში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. „ესპანიოლის" შემადგენლობაში ჩატარებული 334 მატჩიდან ტამუდოს ანგარიშზე 129 გოლია.

ლევან **ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩი



სერ ალექს ფერგიუსონს ხავიერ ერნანდესი ძალიან მოსწონს

# ფერგისთვის ერნანდესი ახალი სოლსკიაერია

ამერიკული ტურნეს ბოლო შეხვედრა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ წააგო. ინგლისელებს გვადალახარაში მექსიკურმა „ჩივასმა“ 3:2 აჯობა. პირველი გოლი მანჩესტერელთა კარში მათმა ახალმა შენაძენმა, 22 წლის **ხავიერ ერნანდესმა** გაიტანა. მან პირველი ტაიმი ყოფილი გუნდის შემადგენლობაში ითამაშა, მეორეში კი „იუნაიტედის“ ფორმა ეცვა - ერნანდესისთვის ეს „ჩივასთან“ გამოსათხოვარი მატჩი გახლდათ.

ერნანდესს გოლის გასატანად სულ რაღაც 8 წუთი დასჭირდა, თუმცა ორი წუთის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა და ეს კვლავ „იუნაიტედის“ ახალწვეულმა, ოღონდ, ამჯერად, „ფულჰემიდან“ ნაყიდმა 20 წლის **კრის სმოლინგმა** გააკეთა. „ჩივასი“ 38 წუთზე დაწინაურდა - გოლი **ადოლფო ბაუტისტამ** შეაგდო. მე-60 წუთზე მასპინძლებმა მესამეც შეაგდეს, თავი **ექტორ რეინოსომ** გამოიჩინა, 79-ეზე კი **ნანიმ** შეამცირა სხვაობა.

მატჩის შემდეგ „იუნაიტედის“ თავკაცმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** თქვა: *„ხავიერმა პირველი კლასის ფეხბურთი ითამაშა. მან დიდებული დარტყმით გაგვიტანა და ზოგადადაც, იმას, რაც დღეს აჩვენა, შესანიშნავი ფეხბურთი ჰქვია. ბიჭები სულ ერთსა და იმავეს იმეორებდნენ, რა საუცხოო ფეხბურთელია და ბოლო დარყმა როგორ ეხერხებაო. ისინი ხავიერს საუცხოოდ შეხვდნენ და ყოველმხრივ ეხმარებიან ახალ გუნდთან შერწყმაში. სხვათა შორის, ერნანდესს რომ ვუყურებ, ოლეგუნარ სოლსკიაერი მაგონდება, მგონი მათ შორის ბევრი საერთოა. ვფიქრობ, ამ ფეხბურთელს „მანჩესტერ იუნაიტედში“ დიდი მომავალი ელის“.*

შეგახსენებთ, რომ ნორვეგიელი სოლსკიაერი 1996 წელს „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „მიოლდესგან“ გროშებად, კერძოდ კი 1,5 მილიონ ფუნტად იყიდა. „ოლდ ტრეფორდზე“ ჩასულ თავდამსხმელს არავინ იცნობდა, თუმცა 11 წლის შემდეგ კარიერა „იუნაიტედის“ შემადგენლობაში ჩატარებული 366 შეხვედრითა და 126 გოლით დაასრულა. სულ ინგლისური გუნდის მაისურით მან ჩემპიონის ექვსი ტიტული, ფეხბურთის ასოციაციის ორი თასი და ჩემპიონთა ლიგა მოიგო. ხოლო, როგორ მოიგო სოლსკიაერმა ჩემპიონთა ლიგა, ცალკე თემაა - ყველას ახსოვს 1999 წელს ბარსელონაში, „კამპ ნოუზე“ გამართული „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ბაიერნის“ ფინალი, სადაც გერმანელები 1:0-ს იგებდნენ, მაგრამ თამაშის მიწურულს, მსაჯის წამატებულ წუთებში მანჩესტერელებმა, კერძოდ კი **ტედი შერინგემმა** და სოლსკიაერმა ორი გოლი შეაგდეს და ჯილდოს დაეუფლნენ.

თუმცა დავუბრუნდეთ გვადალახარაში ჩატარებულ ამხანაგურ შეხვედრას. რა თქმა უნდა, „ესტადიო ომნილაიფზე“ ყურადღების ცენტრში უპირველეს ყოვლისა სწორედ ერნანდესი იყო და მატჩის დაწყების წინ მისი გვარი რომ გამოაცხადეს, ხალხი ფეხზეც წამოდგა. თავდამსხმელმა ოვაცია ღირსეულად დააფასა - ახალი, 45 500-ადგილიანი (მშენებლობა 126 მილიონი დოლარი დაჯდა) სტადიონის გახსნის დღეს პირველი, ისტორიული გოლი, როგორც გითხარით, სულ რაღაც რვა წუთში გაიტანა. ბაუტისტას მიერ მკერდით დაგდებულ ბურთს მან მარცხენა ფეხი დაარტყა. ადვილი შესამჩნევი იყო, რომ ფერგიუსონმა თავის ფეხბურთელებს სთხოვა, ერნანდესისთვის თამაშის საშუალება მიეცათ, თუმცა **ჯონ ოშიმ** ერთ ეპიზოდში მაინც ვერ შეიკავა თავი და ახალგაზრდა მექსიკელს პრემიერლიგური დაზღერთება გააცნო.

ფერგიუსონი: *„ასეთი განლაგება, 4-3-3 ჩვენ ხშირად გვჭირდება, განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებში, სადაც სწრაფ კონტრშეტევას მარდად უნდა გაართვა თავი. ერნანდესს, რასაკვირველია, ერთადერთ თავდამსხმელადაც შესანიშნავად შეუძლია თამაში. მან ეს მსოფლიოს ჩემპიონატზე მექსიკის ნაკრების შემადგენლობაში დაამტკიცა, მაგრამ გარდა ამისა, მის წინაშეა უეინ რუნისა და სხვა ფეხბურთელებთან შეთანხმებულად თამაშის დიდი შესაძლებლობები“.*




სეზონის წინ

# კინგს ევროპა უფრო ელის

„ტოტენჰემ ჰოთსპურის“ მცველსა და კლუბის კაპიტანს (ინგლისში გუნდის კაპიტნის გარდა კლუბის კაპიტნის ცნებაც არსებობს) **ლედლი კინგს** არჩევა მოუწევს: ან ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში უნდა მიიღოს მონაწილეობა, ან პრემიერლიგაში უნდა გამოვიდეს და სცადოს „მამლებს“ ზედიზედ მეორედ მოაპოვებინოს ადგილი ზეოთხეულში. საქმე ის გახლავთ, რომ „სფურზის“ მწვრთნელმა **ჰარი რედნაპმა** თქვა, კინგს, თავიდან ბოლომდე, გასული სეზონის მსგავსად ვერც ამ სეზონში დავტვირთავო. შეგახსენებთ: მუხლის ტრავმის გამო ლედლი კინგმა გასული სეზონის თითქმის ნახევარი გამოტოვა, შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრა და იქაც უღალატა ჯანმრთელობამ.

„ტოტენჰემის“ კიდევ ერთი მცველი, ოდესღაც ძალიან დაფასებული და ნაქები **ჯონათან ვუდგეიტი** ლიგის ახალი წესებით დადგენილ 25-კაციან სიაში ნამდვილად ვერ მოხვდება, ხოლო კინგი ლონდონელებს იმდენად მნიშვნელოვან ფიგურად მიაჩნიათ, რომ შერყეული ჯანმრთელობის მიუხედავად მაინც ცდილობენ ადგილი მოუძებნონ. რედნაპმა თქვა, რომ მის გარეშე ასეთ მნიშვნელოვან სეზონს ვერაფრით ჩაატარებენ:

*„სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ და ვაღიაროთ, რომ ლედლის ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იმედი მაქვს, რომ ის კვირაში ერთხელ, პრემიერლიგაში ან ჩემპიონთა ლიგაში თამაშს შეძლებს. რასაკვირველია, მე შემეძლო ახალი მცველი სატრანსფერო ბაზარზე მეყიდა, მაგრამ ჩვენ სწორედ კინგი გვჭირდება. ის ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი წევრია და მის გარეშე ასეთი სერიოზული სეზონის ჩატარება უბრალოდ გამორიცხულია“.*

შემდეგ რედნაპმა მიანიშნა, რომ კინგს, ალბათ, მეტწილად მაინც ჩემპიონთა ლიგაში მოუწევს გამოსვლა.

*„მისი გამოცდილება ევროპულ ასპარეზზე ჩვენთვის ფასდაუდებელი იქნება. ის შეჯიბრებაში თავის კვალს დატოვებს, რადგან ინგლისში ოსტატობით არც ერთ ცენტრალურ მცველს არ ჩამოუვარდება“.*

ბოლოს კი რედნაპმა თავისი გუნდის ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი ახალგაზრდა მექსიკელ **ჯოვანი დოს სანტოსს** შეადარა, რომელიც ბოლო წლებში „სფურზს“ სულ გაქირავებული ჰყავს ხან „იპსვიჩში“ და ხან „გალათასარაიში“. ამას წინათ ლონდონელებმა ესპანურ „ვილიარეალთან“ ითამაშეს და 1:4 დამარცხდნენ. ამ შეხვედრაში ინგლისური გუნდის ერთადერთი გოლი სწორედ დოს სანტოსმა გაიტანა.

*„თუ ცხვირს ძალიან მაღლა არ აწევს და, როგორც საჭიროა ისე იმუშავებს, ის თავის დიდ ნიჭს სრულად გამოამჟღავნებს. მე მას ვურჩიე ფორმაში შევიდეს, ეს ფორმა შეინარჩუნოს და, მერწმუნეთ, დიდებულ სეზონს ჩაატარებს. თუ მოინდომებს, ტოპფეხბურთელი იქნება. მისი ერთადერთი პრობლემა სურვილის ნაკლებობა და თავდადებაა. ადრე მას ეს აკლდა, ამიერიდან კი იმედი მაქვს, რომ ყველაფერს გადახედა და დამოკიდებულება შეცვალა“,* - თქვა მწვრთნელმა.

21 წლის ჯოვანი დოს სანტოსმა სამხრეთ აფრიკაში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზეც კარგი შთაბეჭდილება დატოვა.



ლედლი კინგი

ტრანსფერის კვალდაკვალ

# კოპელიდან ისევ... კაპელოსკენ?



დევიდ ჯეიმსი ნაკრებიდან წასვლაზე ჯერ არ ფიქრობს

ინგლისის ნაკრების მეკარე **დევიდ ჯეიმსზე** მოგახსენებთ: 40 წლის ვეტერანი „ბრისტოლ სიტიში“ რომ გადავიდა, „ლელოს“ მკითხველმა უკვე იცის, მაგრამ ის, რომ ჯეიმსი თავის სანაკრებო კარიერას დასრულებულად არ მიიჩნევს, ახალი და, დაგვეთანხმებით, ცოტათი უცნაური ამბავია. მართლაც, ერთი შეხედვით, „ჩემპიონშიფის“ (პრემიერლიგის ქვემოთ, მეორე ინგლისური ლიგაა) მეათე გუნდის გოლკიპერი წესით ნაკრებში ვერ უნდა ხვდებოდეს, მაგრამ თავად იმედიანად არის და ამტკიცებს, რომ ნაკრების თავკაცზე **ფაბიო კაპელოზე** შთაბეჭდილების მოხდენა იქიდანაც შეიძლება.

კარიერის გაგრძელებასთან დაკავშირებით მეკარემ მართლაც თავისებური გადაწყვეტილება მიიღო. საქმე ის გახლავთ, რომ მას თავიანთთან გადასვლას პრემიერლიგის კლუბები „ვესტ ჰემი“ და „ფულჰემი“ სთავაზობდნენ. შოტლანდიიდან ხმას აწვდენდა გლაზგოს „სელტიკიც“, მაგრამ ჯეიმსმა „ბრისტოლს“ და იქაური გუნდის თავკაც **სტივ კოპელს** მიაშურა.

*„ინგლისის ნაკრებს თავს ვერ დავანებებ,* - თქვა ვეტერანმა, - *ვგრძნობ, რომ ჯერ კიდევ უმაღლესი დონის ფეხბურთს ვთამაშობ. ის დღე, როდესაც ამას აღარ ვინამებ, ჩემი კარიერის ბოლო დღე იქნება“.*

მოგეხსენებათ, კაპელო დღეს-ხვალ 11 აგვისტოსთვის, უნგრელებთან სათამაშოდ შემადგენლობას დაასახელებს და ჯეიმსს ეჭვი არ ეპარება, რომ იტალიელი მწვრთნელის სიაში ის აუცილებლად ეწერება.

*„სამხრეთ-დასავლეთ ინგლისს პრემიერლიგაში გუნდი არასდროს ჰყოლია და დროა ეს ნაკლი გამოვასწოროთ* - განაგრძო ჯეიმსმა - *„ბრისტოლ სიტის“ თავმჯდომარე სტივ ლენსდაუნთან ბევრი ვილაპარაკე და ძალიან მომეწონა ყველაფერი, რაც თავის კლუბსა და მის ამბიციებზე მითხრა. ახლა უკვე ვიცი, რომ ბრისტოლელებს ახალი სტადიონის აშენება და პრემიერლიგაში აღზევება უნდათ. რამდენიმე შემოთავაზება პრემიერლიგის კლუბებიდანაც მქონდა, მაგრამ ჩემს ასაკში, ოჯახის კაცისთვის კლუბის სწორად შერჩევას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. პრემიერლიგაში რომ დავრჩენილიყავი, ოჯახის ინტერესები უნდა დამეთმო - ჩემს სახლთან ახლოს პრემიერლიგის ერთი გუნდიც არ ბინადრობს. ბოლო ოთხ წელიწადში, განსაკუთრებით კი „პორტსმუთში“ თამაშის წლებში, შინ ყოფნას ფაქტობრივად ვერ ვახერხებდი. ხშირად კვირაში ორი მატჩის ჩატარება მიწევდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ცოლსა და შვილებს კარგა ხანს ვერ ვხედავდი. თუმცა, ისე ნუ გაიგებთ, თითქოს, ოღონდ კი სამხრეთ-დასავლეთში მოვხვედრილიყავი და ნებისმიერ გუნდს გავუფორმებდი კონტრაქტს. „პლიმუთი“, მაგალითად, ჩემს სახლთან უფრო ახლოს არის მაგრამ პრემიერლიგაში გადასვლის ამბიცია არ აქვს“.*

დევიდ ჯეიმსი და მისი იჯახი, რომელიც მეუღლისა და ოთხი შვილისგან შედგება, როგორც შეიტყვეთ სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში, კერძოდ დივონში ცხოვრობს, ასე რომ, სახლთან ახლოს ყოფნისათვის ვეტერანმა მართლაც საუცხოო ადგილი აირჩია. შეგახსენებთ, რომ ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში მეკარემ პრემიერლიგაში 573 შეხვედრა ჩაატარა. სხვადასხვა დროს ის თამაშობდა „ლივერპულში“, „ასტონ ვილაში“, „ვესტ ჰემში“, „მანჩესტერ სიტისა“ და „პორტსმუთში“.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპირისპირება

# ოჰ, ეს სანაკრებო ფეხბურთი...


ჰარი რედნაპი სანაკრებო მატჩების გამო ძალიან ღელავს

„ტოტენჰემ ჰოთსპურის" თავკაცმა **ჰარი რედნაპმა** ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის შეფებს თავს დიდი კრიტიკა დაატეხა. მიზეზი: „სფურზის" მწვრთნელი ფიქრობს, რომ პრემიერლიგის ჩემპიონატის დაწყებამდე სამი (!) დღით ადრე უნგრეთის ნაკრებთან ამხანაგური თამაშის დანიშვნა სრული სისულელე იყო. რედნაპის რწმენით, ახლა ეს თამაში არავის არაფერში სჭირდება.

ცნობილი სპეციალისტის მღელვარება გასაგებია. დიდი შანსია, მისი გუნდიდან ნაკრებში ხუთი ფეხბურთელი გამოიძახონ და ეს მაშინ, როცა 14 აგვისტოს, არც მეტი, არც ნაკლები, „მანჩესტერ სიტისთან" აქვს ჩემპიონატის პირველი თამაში. ჩამოვთვალოთ ის ტოტენჰემელები, რომლებიც **ფაბიო კაპელოს** „უემბლიზე" უნგრელების წინააღმდეგ სჭირდება: **პიტერ კრაუჩი, ჯერმაინ დეფო, აარონ ლენონი, ტომ ჰადლსტოუნი** და **მაიკლ დოუსონი**.

რედნაპი მძვინვარებდა: *„ვინმეს შეუძლია ამიხსნას, სეზონის დაწყების წინ სანაკრებო თამაში რატომ ჩასვეს? ეს სრულიად უაზრო ამხანაგური შეხვედრაა, რომელიც მაინცდამაინც იმ დღეებს დაამთხვიეს, როდესაც ჩვენ, წესით, ძალების სრული მოკრებით უნდა ვვარჯიშობდეთ. ფეხბურთელები რატომღაც სადღაც უნდა წავიდნენ და პარასკევს დილით დაგვიბრუნდნენ. დახეთ, რა გამოდის? „სიტისთან" თამაშის წინ, მთელი კვირის განმავლობაში მე, საწვრთნელ მოედანზე მხოლოდ და მხოლოდ ორ-სამ ფეხბურთელს მიტოვებენ! ამას დაამატეთ, რომ მთელი კვირა გადაჯვარედინებული თითებით უნდა ვიარო, ვინმე რომ არ დამიშავდეს".*

ნუ დაგვავიწყდება, რომ ისტლენდელებთან დაპირისპირების შემდეგ, ხვალადვე, „ტოტენჰემ ჰოთსპურს" ჩემპიონთა ლიგის მნიშვნელოვანი შეხვედრა ელის - ლიგაში პლეი ოფის ეტაპია. ჰარი რედნაპი შეწუხებულია იმითაც, რომ მის გუნდს გადატვირთული კალენდრის პრობლემა ზაფხულიდანვე შეეხო:

*„არ ვიცი, ვისი ბრალია, მაგრამ უკვე ძალიან ბევრი თამაში გვქონდა. აი, ახლაც, სამშაბათს „ბენფიკას" ვხვდებით, შაბათს „ფიორენტინას", შემდეგ, ფეხბურთელებს ნაკრებში არბენინებენ, რასაც „მანჩესტერ სიტისთან" მატჩი და ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფი მოჰყვება. მერე სტუმრად მივდივართ „სტოკთან", ვთამაშობთ ლიგის პლეი ოფის საპასუხო შეხვედრას და „უიგანს" ვმასპინძლობთ. საგიჟეთია, არა?"*

კაპელოს კი, თითქოს კრიტიკა აკლდაო, კიდევ ერთი რისხვა დაატყდა თავს. იტალიელ მწვრთნელს, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე წარუმატებლობის გამო ინგლისური ჯოჯოხეთის გავლა მოუხდა (თუმცა თანამდებობა შეინარჩუნა) ახლა 19-წლამდელთა ნაკრების თამაშებზე არ-დასწრების გამო დააყენეს შავი დღე. მოგეხსენებათ, ახლახან საფრანგეთში 19-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატი გაიმართა, სადაც ინგლისელი ყმაწვილები ნახევარფინალში გავიდნენ. ფეხბურთის ასოციაცია კაპელოს ჩემპიონატზე ჩასვლისა და მომავალი თაობის ცოცხლად ნახვისკენ მოუწოდებდა, მაგრამ იტალიელმა შორს დაიჭირა - კონტრაქტით ვალდებული არ ვარ, საფრანგეთში ჩავიდე, ეს ჩემი მხრიდან საზოგადოებრივი დატვირთვა იქნებაო. თითქოს კაპელო მართალია, მაგრამ, მეორე მხრივ, ის ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელია, რომელსაც წელიწადში 6 მილიონ ფუნტს (7,2 მილიონ ევროს) უხდიან და როდესაც ასეთი გასამრჯელო გაქვს, შენი გუნდის ხვალინდელ თუ ზეგინდელ ფეხბურთელებს უშუალოდ კი უნდა გაეცნო - მით უფრო ჩაფლავებული მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ. იტალიელ მწვრთნელთან დაახლოებულმა პიროვნებამ ინგლისურ მასმედიას უთხრა:

*„ფეხბურთის ასოციაციამ ფაბიოს ჰკითხა, საფრანგეთში 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ჩასვლა ხომ არ გინდაო, მან კი უარი შეუთვალა, რადგან არ უნდოდა გაეკეთებინა რამე მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ფეხბურთის ასოციაციაში ვილაცას მოეპრიანა. 21-წლამდელთა ნაკრები რომ ყოფილიყო, კაპელოს შესაძლოა თავი ვალდებულად ეგრძნო და შეჯიბრებაზე გამგზავრებულიყო, 19 და 18 წლის ბიჭების ნახვა კი მისი მხრიდან მხოლოდ „პიარი" იქნებოდა და ეს არინდომა. ფაბიომ კარგად იცის, რომ როდესაც კაცი ინგლისის ნაკრების მწვრთნელობას იწყებს, მზად უნდა იყოს, რომ ყველა ვარიანტში გააკრიტიკებენ. ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ვერასდროს ვერაფერს გააკეთებს ისე, რომ არ გალანძღონ. ეს პროფესიის შემადგენელი ნაწილია. რაც შეეხება 19 წელზე უმცროს ფეხბურთელებს, თუ ისინი იმდენად ძლიერები არიან, რომ უკვე ღირს მათი დიდ ნაკრებში მიწვევა, ესე იგი პრემიერლიგაში, თავიანთი კლუბების შემადგენლობებში გამოჩნდებიან. ასე რომ, მათ სანახავად შვებულების შეწყვეტა და საფრანგეთში გამგზავრება აუცილებელი სულაც არ იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ნაკრების ხელმძღვანელებს მათი გვარების მხოლოდ და მხოლოდ ჩანიშვნა და შემდგომი ორი წლის განმავლობაში მათზე დაკვირვება მართებთ - საჩქარო არაფერია".*

ინგლისური პრესა წერს, რომ ფაბიო კაპელო ფეხბურთის ასოციაციის განვითარების განყოფილების შეფთან სერ **ტრევორ ბრუკინგთან** ერთად სამომავლო გეგმებს დეტალურად დასახავს. რასაკვირველია, კრიტიკოსები წერენ, რომ 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის გაცდენის გამო მას ამის გაკეთება გაუჭირდება, მაგრამ იტალიელი თავკაცი ამბობს, რომ 19 წლის ბავშვები ჯერ ძალიან ახალგაზრდები არიან და მხოლოდ ზოგმა მათგანმა შეიძლება გაარღვიოს ჯებირი - საკლუბო დონეზე გამოჩნდეს.

**ილია ბაბუნაშვილი**



იტალიის ნაკრები

# პრანდელის ახალი აძურა

იტალიის ეროვნული ნაკრების თავკაცის პოსტზე **ჩეზარე პრანდელის** დებიუტი კოტ დ'ივუართან ამხანაგურ პაექრობაში შედგება. აპენინელი ჟურნალისტები დიდხანს ელოდნენ იმ დღეს, როდესაც ახალი თავკაცი ეროვნული გუნდის შემადგენლობას პირველად დაასახელებდა. და აი, გუშინ პრანდელიმ გაფართოებული (29 ფეხბურთელი) სია გამოამზეურა და იტალიურ საფეხბურთო სამყაროს სალაპარაკო მისცა.

ძალიან ბევრს საუბრობდნენ ახალ იტალიელებზე და ექსპერტთა მოლოდინი სრულად გამართლდა. პრანდელის ფორმაციის „აძურაში" არაერთი ახალი სახეა, მათ შორის, წარმოშობით ბრაზილიელი და არგენტინელი ფეხბურთელები - **ტიაგო მოტა** და **კრისტიან ლედესმა**. პლუს **მარიო ბალოტელი**, რომელიც იტალიის ეროვნულ გუნდში თამაშზე კარგა ხანია ოცნებობს.

და რაც მთავარია, განაცხადშია **ანტონიო კასანო**, რომელსაც **მარჩელო ლიპი** ნაკრებს არ აკარებდა. პრანდელიმ **ჯუზეპე როსი** და **მარკო ბორიელოც** გამოიძახა, რომლებიც ბოლო მომენტში ამოვარდნენ სამხრეთ აფრიკაში წასაყვანი შემადგენლობიდან.

გაფართოებულ სიაში ოთხი მეკარეა, რომელთაგან ადრე მხოლოდ ერთი იყო ნაკრებში გამოძახებული - **სალვატორე სირიგუ**, და ისიც მხოლოდ გამოძახებული, თორემ ეროვნული გუნდის კარის დაცვის ბედნიერება ჯერ არ რგებია წილად.

ასაკში შესულს ხვდა ნაკრებში გამოძახების პატივი **მარკო სტორარის**, ხოლო **ემილიანო ვივიანოსა** და **ანტონიო მირანტეს** მოლოდინმა გაუმართლათ. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მხოლოდ გაფართოებული შემადგენლობაა, რომელიც უნდა გაიფილტროს:

მეკარეები - **სალვატორე სირიგუ** (პალერმო), **ემილიანო ვივიანო** (ბოლონია), **მარკო სტორარი** (იუვენტუსი), **ანტონიო მირანტე** (პარმა);

მცველები - **ლეონარდო ბონუჩი** (იუვენტუსი), **ჯორჯო კიელინი** (იუვენტუსი), **კრისტიან ძაკარდო** (პარმა), **მატია კასანი** (პალერმო), **ალესანდრო გამბერინი** (ფიორენტინა), **სალვატორე ბოკეტი** (ჯენოა), **კრისტიან მაჯო** (ნაპოლი);

ნახევარმცველები - **ტიაგო მოტა** (ინტერი), **კრისტიან ლედესმა** (ლაციო), **დანიელე გალოპა** (პარმა), **ანდრეა პირლო** (მილანი), **დანიელე დე როსი** (რომა), **ანჯელო პალომბო** (სამპდორია), **რიკარდო მონტოლივო** (ფიორენტინა), **კლაუდიო მარკიზიო** (იუვენტუსი), **სიმონე პეპე** (იუვენტუსი), **მარკო მარკიონი** (ფიორენტინა);

თავდამსხმელები - **ალბერტო ჯილარდინო** (ფიორენტინა), **მარკო ბორიელო** (მილანი), **ჯამპაოლო პაცინი** (სამპდორია), **ანტონიო კასანო** (სამპდორია), **მარიო ბალოტელი** (ინტერი), **ჯუზეპე როსი** (ვილიარეალი), **ფაბიო კვალიარელა** (ნაპოლი), **რაფაელე პალადინო** (ჯენოა).

**ლაშა წიკლაური**



ჩეზარე პრანდელიმ გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა

ამხანაგური მატჩი



ინტერმა თავისი ყოფილი მწვრთნელის გუნდს შავი დღე აყარა

# ბენიტესი აღფრთოვანებულია

„ინტერმა" ამხანაგურ პაექრობაში „მანჩესტერ სიტი" 3:0-ზე გაანადგურა და მთლიანობაში, შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. „ნერაძური" მთელი შეხვედრის განმავლობაში დომინირებდა და ცოტა უფრო მეტად რომ გამართლებოდათ დამაგვირგვინებელ ფაზაში, ორჯერ უფრო დიდი ანგარიშით შეეძლოთ გამარჯვება. იტალიელი ჟურნალისტები აღფრთოვანებულები არიან და წერენ, რომ თუ „ინტერმა" ასე გააგრძელა, გუნდი კვლავ უკონკურენციო იქნება აპენინებზე. ძალიან კარგად წარმოჩნდნენ ახალგაზრდა ფეხბურთელები, მათ შორის **ვიქტორ ობინა** და გუნდის ახალწვეული **კრისტიან ბირაგი**, პირველმა დუბლი მიითვალა აქტივში, მეორემ კი ულამაზესი გოლით დაამახსოვრა გულშემატკივრებს თავი. **რაფა ბენიტესი** ძალზე კმაყოფილი დარჩა შეგირდთა თამაშით, რაც მისი კომენტარიდანაც ჩანს:

„მთელმა გუნდმა შესანიშნავად იასპარეზა და სიმართლე გითხრათ, ძალიან კმაყოფილი ვარ. საერთოდ, ყველაფერს კრიტიკული თვალით ვუყურებ, მაგრამ ამ შემთხვევაში, სათქმელი ბევრი არაფერია - გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა. გოლის ავტორები მინდა გამოვყო და შევაქო: ობინამ ძალიან ბევრი ირბინა და ორი გოლი სრულიად დამსახურებულად გაიტანა. ბირაგი მემარცხენეა, მაგრამ როგორც გამოჩნდა მარჯვენა ფეხითაც შესანიშნავად ურტყამს, რამაც ძალიან გამახარა. მომეწონა გულშემატკივართა მხარდაჭერა და იმედია, მთელი სეზონი ასევე გაგრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს მხოლოდ ამხანაგური შეხვედრა იყო, მიღწეული გამარჯვებით უაღრესად კმაყოფილი ვარ".

**ლაშა წიკლაური**

სეზონის წინ

# ლაციომ გაამოიღვიძა

ისეთი პირი უჩანს, რომ უახლოეს დღეებში „ლაციო" პირველ ტრანსფერს განახორციელებს, თანაც, ერთობ სერიოზულს - დაიმატებს „სან პაულოს" შემტევ **ერნანესს**, რომელზეც ევროპული ფეხბურთის გრანდების მხრიდან ძალიან დიდი მოთხოვნაა. კლუბებს შორის გარიგება პრაქტიკულად მიღწეულია და თუ „გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, მხოლოდ ფეხბურთელთან პირადი კონტრაქტია შესათანხმებელი. ერთობ გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ რომაელები ბრაზილიელი ფეხბურთელის სანაცვლოდ „სან პაულოს" 14 მილიონ ევროს გადაურიცხავენ. გასაკვირი კი იმად გახლავთ, რომ ბოლო წლებში „ბიანკოჩელესტე" ფინანსურ კრიზისში იყო და ასეთი ხმაურიანი და ძვირადღირებული ტრანსფერი კარგა ხანია არ განუხორციელებია. როგორც ჩანს, **კლაუდიო ლოტიტომ** გარკვეული სახსრები გამონახა და კლუბის გაძლიერებას შეუდგა.

იმავე „გაძეტას" ცნობით, ორიოდე დღის წინ საქმიანი შეხვედრა შედგა „სან პაულოსა" და „ლაციოს" სპორტულ დირექტორებს შორის. იტალიურ მხარეს ვეტერანი ალბანელი ფეხბურთელი **იგლი ტარე** წარმოადგენდა, რომელმაც ჟურნალისტებთან შემდეგი კომენტარი გააკეთა:

„დიახ, შევხვდი ბრაზილიელ კოლეგას და ყველა დეტალი შევათანხმეთ. ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ასეთი ურთიერთგაგებაა და ყველაფერი მარტივად წყდება. ერნანესი შესანიშნავი ფეხბურთელია, რომელსაც მარტოს შეუძლია ამა თუ იმ მატჩის ბედის გადაწყვეტა. მასზე დიდი მოთხოვნა იყო, თუმცა ბრაზილიელებმა შეთანხმებას ჩვენთან მიაღწიეს. სიმართლე გითხრათ, ჯერ ფეხბურთელთან არ მისაუბრა, თუმცა გადმოცემით ვიცი, რომ „ლაციოში" ასპარეზობის პერსპექტივა ხიბლავს. ყველანაირად ხელს შევუწყობთ, რომ საუკეთესო თვისებები წარმოაჩინოს, ეს უპირველესად ჩვენს ინტერესებში შედის. ერნანესის წლიური ხელფასი? - ჯერ არ შეგვითანხმებია, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ამ მხრივ არავითარი პრობლემა არ შეგვექნება. როგორც მითხრეს, მისთვის მთავარი მოტივაცია ევროპაში ასპარეზობაა და პირობებზე როგორმე შევთანხმდებით".

ტარემ ზოგადად „ლაციოს" სატრანსფერო პოლიტიკაზეც ილაპარაკა: „როგორც ხედავთ, გუნდის გაძლიერებით ვართ დაკავებულნი და ეს პოლიტიკა ბოლომდე გაგრძელდება. არაერთი სტატია წავიკითხე იმის შესახებ, რომ ესა თუ ის ფეხბურთელი კლუბის დატოვებას აპირებს, თუმცა მსგავსი ნამდვილად არაფერი ხდება. პირიქით, ყველანი გაერთიანებულნი არიან ერთი მიზნის ქვეშ და მომავალ სეზონს მოუთმენლად ელიან. გარკვეული პრობლემები იყო კრისტიან ლედესმასთან, თუმცა მდგომარეობა ამ მიმართულებითაც გამოსწორებულია და არგენტინელი მომავალი სეზონიდან ჩვეულებრივად გუნდის შემადგენლობაში იქნება. ასე რომ, ყველაფერი რიგზეა და მიზნებიც საკმაოდ მაღალი გვაქვს დასახული. უფრო კონკრეტულად? - ევროტურნირის საგზური უნდა მოვიპოვოთ, ეს პროგრამა მინიმუმია და დანარჩენს დრო გვიჩვენებს. რესურსი არის, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული".

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც მომავალი სეზონიდან „ლაციოში" იასპარეზებს, **ხავიერ გარიდო** გახლავთ - ესპანელი მცველი, რომელიც გასულ სეზონშიც „მანჩესტერ სიტიში" თამაშობდა. მოგეხსენებათ, „ბიანკოჩელესტე" **ალექსანდრ კოლაროვს** შეელია და გარიდომ სწორედ მისი შემცვლელის როლი უნდა ითავოს. მართალია, ხელშეკრულება ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ შეთანხმება უკვე მიღწეულია და უახლოეს პერიოდში, პირენეელი რომში ჩაფრინდება. აი, რას ამბობს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კლაუდიო ლოტიტო:

„გარიდო ჩვენი მთავარი სამიზნე იყო და ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა. უახლოეს დღეებში კონტრაქტს გავაფორმებთ და ესპანელი ჩვენი გუნდის წევრი იქნება. დეტალებზე დღეს ვერ ვისაუბრებ, თუმცა შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ უკვე ყველაფერი შეთანხმებულია".

სინიორ კლაუდიომ სატრანსფერო გეგმებზე ისაუბრა, თუმცა დაახლოებით იგივე თქვა, რაც იგლი ტარემ და აღარ გავიმეორებთ. ერთი კი ფაქტია, ლოტიტოს პრეზიდენტობის პერიოდში სატრანსფერო ბაზარზე „ბიანკოჩელესტე" ასეთი აქტიური ჯერ არ ყოფილა.

**ლაშა წიკლაური**

ერნანესი ლაციოს გააძლიერებს



დორტმუნდი



მოჰამედ ზიდანი

# ჯარი თუ ბორუსია?

## მოჰამედ ზიდანის მომავალს სასამართლო გაარკვევს

აგვისტო **მოჰამედ ზიდანისთვის** მნიშვნელოვანი თვეა. თვის ბოლოს, ეგვიპტის სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, როგორ უნდა მოიქცეს 28 წლის თავდამსხმელი. საქმე იმაშია, რომ მას ჯარში იწვევენ. სასამართლო გაარკვევს, რამდენად სავალდებულოა ის, რომ ზიდანმა ჯარში იმსახუროს. სარჩელი მოჰამედის კლუბმა, დორტმუნდის „ბორუსიამ" შეიტანა.

„დორტმუნდის" ხელმძღვანელები ეგვიპტური კანონებით აღშფოთებულები არიან. პირველი აგვისტოდან ზიდანს (34 თამაში ეგვიპტის ნაკრებში) ქვეყნიდან გასვლა აეკრძალა. მოჰამედი სამშობლოში მაისიდან იმყოფება და გერმანიაში დაბრუნების უფლება არ აქვს. ჯარში კი მას სამი წლით იწვევენ. ზოგადად, ეგვიპტელებს ჯარში მსახურობის კანონები ძალიან აქვთ გამკაცრებული, მაგრამ ზიდანს აქამდე ყოველთვის ათავისუფლებდნენ ხოლმე, რადგან ის თავის ოჯახში ფულის ერთადერთი შემტანი იყო. ახლა კი, მოჰამედის ძმაც მუშაობს და საკმაოდ კარგი ხელფასი აქვს საიმისოდ, რომ ოჯახი გამოკვებოს.

„გერმანიაში ჩასვლის უფლება არ მაქვს. ასე რომ მოვიქცე, სამშობლოში ველარასოდეს ჩავალ, რადგან აუცილებლად დამაპატიმრებენ. ასე რომ, გამოქცევა გამორიცხულია," - უთხრა ზიდანმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

„ბორუსიას" შეფები კი აღშფოთებას ვერ მალავენ და იმედოვნებენ, რომ სასამართლო მათთვის სასარგებლო განაჩენს გამოიტანს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზიდანს კარიერა უფუჭდება, რადგან ის უკვე 28 წლისაა და თუ ჯარში სამი წელი იმსახურა, ფაქტია, რომ საფეხბურთო კარიერა უნდა დაასრულოს.

„არაფერი დაშავდება იმით, რომ ზიდანი ჯარიდან გაათავისუფლონ. იმედს ვიტოვებ, რომ მოჰამედი სექტემბრიდან შემოგვიერთდება და ამისათვის, ფულის გადახდას არ მოსთხოვენ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეგვიპტეში კორუფცია მძვინვარებს და არ გამოვრიცხავ, საქმე იმიტომ ჭიანურდება, რომ მოხელეები ზიდანს ფულს სთხოვენ," - აცხადებს „დორტმუნდის" სპორტული დირექტორი **მიხაელ ცორკი**.

**გოტფრიდ ლენცი**

ინტერვიუ — კევინ კურანი


კევინ კურანი შალკეში რაულმა შეცვალა

# მოსკოვში კარიერა არ მიფუჭდება!

## კურანი შალკეს რაულთან ერთად წარმატებებს უწინასწარმეტყველებს

შაბათს მოსკოვის „დინამოში" კევინ კურანის დებიუტი შედგა. გელზენკირხენის „შალკედან" რუსეთის დედაქალაქში უფასოდ გადასულმა გერმანიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, „დინამოს" ფორმა ოფიციალურ მატჩში პირველად აუტსაიდერ „კრილია სოვეტოვთან" მოირგო. გერმანელი ფეხბურთელის დებიუტი ნარუმატებელი გამოდგა: „დინამომ" სამარულ კლუბთან 1:1 ითამაშა და საჭირო ქულები დაკარგა. კურანიმ მოედანზე 90 წუთი დაყო და თავდასხმაში უკრაინელ ანდრეი ვორონინთან ერთად თამაშობდა, მაგრამ ვერც კევინმა და ვერც ვორონინმა გოლის გატანა ვერ შეძლეს. ამ ფრის შემდეგ „დინამო" მერვე ადგილზეა და ლიდერ „ზენიტს" უკვე 20 ქულით ჩამორჩება.

შესაბამისად, კურანის პერსპექტივებზე ლაპარაკი საჭირო აღარც არის. ფაქტობრივად სასწაული უნდა მოხდეს, რომ „დინამომ" თუნდაც ევროპის ლიგის საგზური მოიპოვოს. სამაგიეროდ, კევინი სიამოვნებით საუბრობს ყოფილი კლუბის, „შალკეს" პერსპექტივებზე. მას მოსკოვში „ბილდის" ჟურნალისტი ესტუმრა და საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ ჩამოართვა.

**- ჰერ კურანი, თქვენ მოსკოვში ხართ, თქვენმა ყოფილმა კლუბმა „შალკემ" კი ახალი თავდამსხმელი გადაიბირა. ახალწვეული, არც მეტი, არც ნაკლები, რაულ გონსალეს ბლანკოა. როგორ ფიქრობთ, ფელიქს მაგათმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა თქვენს შემცვლელად ვეტერანი ესპანელი გადაიბირა?**

- რა თქმა უნდა! მიუხედავად იმისა, რომ რაული უკვე 33 წლისაა, დარწმუნებული ვარ, რომ ის ძალიან ბევრ გოლს გაიტანს, რადგან არ არის ისეთი ფეხბურთელი, ვისთვისაც ასაკს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. თანაც, რაული არც ისე დიდი ასაკისაა - 33 წელი არ ნიშნავს იმას, რომ ფეხბურთის თამაში აღარ შეგიძლია. პირიქით: ინტერვიუები წავიკითხე და ვხვდები, რომ რაული ძალიან მონდომებულია. ეს კი ყველაზე მთავარია. მოკლედ, „შალკემ" ცოცხალი ლეგენდა გადაიბირა.

**- გული არ გწყდებათ, რომ თქვენ ახლა მოსკოვის „დინამოში" ხართ და ევროტურნირებზეც არ ითამაშებთ?**

- არა, რატომ? გადაწყვეტილება მე მივიღე და „დინამოში" გადმოვედი, სადაც თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ზოგადად, თავდამსხმელები ბოლომდე 28 წლის ზემოთ იხსნებიან ხოლმე, ასე რომ, კარიერის საუკეთესო წლები ჯერ კიდევ წინ მაქვს.

**- როგორ ფიქრობთ, რის მიღწევა შეუძლია „შალკეს" რაულთან ერთად?**

- ვფიქრობ, „შალკესთვის" გერმანიის ჩემპიონობა სავსებით რეალურია. „ვერცხლის სინის" მოგება გასულ სეზონშიც შეგვეძლო... „შალკე" ახლა უფრო ძლიერია და ცხადია, ჩემპიონობის შანსიც უკეთესი აქვს. გელზენკირხენში 5 წელი გავატარე და სამწუხაროდ, ამ მიზანს ვერ მივაღწიე - „შალკესთან" ერთად გერმანიის ჩემპიონობაზე ვოცნებობდი. რამდენჯერმე მიზანთან ძალიან ახლოს ვიყავით, მაგრამ... თუმცა, საერთო ჯამში, „შალკეში" გატარებული პერიოდით კმაყოფილი ვარ. იყო ჩავარდნებიც, მაგრამ საბოლოოდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. გელზენკირხენში გატარებული წლები ყოველთვის დადებითად გამახსენდება.

**- მოსკოვურ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეთ და ამ სამი წლის განმავლობაში 18 მილიონ ევროს მიიღებთ. პირდაპირ გკითხავთ: ღირს თუ არა ეს იმად, რომ თქვენ ამ ტრანსფერით კარიერა გაიფუჭეთ?**

- ერთი წუთით! ჯერ ერთი, თქვენ მიერ დასახელებული თანხა სპეკულაციაა. ოფიციალურად არავის უთქვამს, რამდენი მაქვს ხელფასი. ესეც რომ არ იყოს, სული ნამდვილად არ გამიყიდია და თანაც, სხვა პლანეტაზე არ გადავსულვარ. თუ ვინმე ფიქრობს, რომ რუსეთის ჩემპიონატში დაბალი დონეა, ძალიან ცდება. შევეცდები, ბევრი გოლი გავიტანო და გერმანიის ნაკრებში დაბრუნებისთვის ვიბრძოლო.

**- ჰო, მაგრამ ბუნდესგუნდის მთავარმა მწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა კონტრაქტი ორი წლით გააგრძელა, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენი შანსები ნულს უტოლდება...**

- ის ფაქტი, რომ იოგიმ ახალი ხელშეკრულება გააფორმა, აბსოლუტურად ლოგიკური და სწორი გადაწყვეტილება იყო. გერმანიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ დღემდე ვფიქრობ, რომ მეც ვიყავი სამხრეთ აფრიკაში წაყვანის ღირსი. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ არ ვნებდები და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ბუნდესნაკრებში დავბრუნდე. ვიცი, რომ ამისათვის კონკურენტებზე გაცილებით მეტი უნდა გავაკეთო, მაგრამ არა უშავს, ბოლომდე ვიბრძოლებ.

**- მოსკოვს შეეჩვიეთ?**

- ნელ-ნელა ვეჩვევი, ხომ იცით, სრულფასოვან ადაპტაციას დრო სჭირდება. მოსკოვი ულამაზესი ქალაქია, აქ ძალიან ბევრი რამ არის სანახავი. უკვე არაერთ ბრწყინვალე რესტორანში ვივახშმე და ძალიან მომწონს მოსკოვის შოპინგცენტრი. ისე, მოსკოვში ყველაფერი ძალიან ძვირია.

პორტრეტი — სიმონ კიაერი

# და ვინჩის კოდი ვოლფსბურგში

## 21 წლის ასაკში ასეთი მცველი ბოლოს ალესანდრო ნესტა იყო

**სიმონ კიაერი „ვოლფსბურგში" გადავიდა და არნე ფრიდრიხთან ერთად, გერმანიის ექსჩემპიონის დაცვის ცენტრი უნდა გააძლიეროს. დანიელი მცველი ჯერ მხოლოდ 21 წლისაა და მას უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, კიაერი უკვე საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელია, „ვოლფსბურგში" კი დიდი მიზნები აქვს. გადავწყვიტეთ, უაღრესად პერსპექტიული ფეხბურთელი ახლოს გაგაცნოთ.**

რა იცის, უფრო სწორად, რა იცოდა **სიმონ კიაერმა** „ვოლფსბურგის" შესახებ, როცა გერმანულ კლუბთან კონტრაქტს აფორმებდა? მინიმუმ ის, რომ ვოლფსბურგი მის სამშობლოსთან გაცილებით ახლოსაა, ვიდრე პალერმო. სიცილიიდან ჰორზენსამდე, სადაც სიმონი დაიბადა, 2500 კილომეტრია, ვოლფსბურგიდან კი - 500. სხვა მხრივ, კიაერს თავის ახალ კლუბსა და ქალაქზე, სადაც უნდა იცხოვროს, ბევრი არაფერი ეცოდინებოდა. ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტი ნამდვილად არა ვიდრე პალერმოში იცოდნენ მის შესახებ, როცა მან იტალიურ კლუბს მიაშურა. მაშინ კიაერმა „გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში თქვა, პალერმოზე ბევრი რამ ვიცი, რადგან კრიმინალური ჟანრის ფილმები ძალიან მიყვარსო.

ახლა კი, მის ცხოვრებაში სიცილიაც წარსულია. ვოლფსბურგში დანიელ ფეხბურთელს შემდეგი ამოცანა აქვს: მან ბერლინის „ჰერტადან" შეძენილ **არნე ფრიდრიხთან** ერთად გერმანულ კლუბს დაცვის ხაზში სტაბილურობა უნდა შესძინოს. გასულ სეზონში გერმანიის ექსჩემპიონმა 58 გოლი გაუშვა და სწორედ ამიტომ იყიდეს „მგლებმა" ერთდროულად ორი ცენტრალური მცველი.

### ნიუ იორკ თაიმსი: კიაერი ახალი ბეკენბაუერია

მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, დანიელი ფეხბურთელი უკვე საკმაოდ გამოცდილი და შესაბამისად, თავდაჯერებულია, რაც მისი თითოეული განცხადებიდანაც ჩანს. 21 წლის ფეხბურთელზე იშვიათად თუ ვამბობთ ხოლმე, რომ ის გამოცდილია, კიაერის შემთხვევაში კი ასეთი განცხადება ოდნავადაც არ არის გადაჭარბებული. თვითონ განსაჯეთ: კიაერმა, რომელსაც მარჯვენა მკლავზე **ლეონარდო და ვინჩის** „საიდუმლო სერობა" აქვს ამოსვირინგებული, 21 წლის ასაკში, სერია A-ში 62 მატჩის ჩატარება მოასწრო და მსოფლიოს ჩემპიონატზე ორ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა (რომ არა დისკვალიფიკაცია, მესამეშიც ითამაშებდა).

მუნდიალიდან კიაერის შესახებ, რომელიც სიმაღლეში 1.89 მეტრია, განსაკუთრებით ერთი მომენტი დაგვამახსოვრდა. კერძოდ, მისი 60-მეტრიანი პასი, რომლის შემდეგაც დანიამ კამერუნს ანგარიში გაუთანაბრა.

*„შორეულ პასებზე 15-16 წლიდან განუწყვეტლივ ვვარჯიშობდი. როცა გადაწყდა, რომ ცენტრალური მცველი უნდა ვყოფილიყავი, მაშინვე გრძელ პასებზე ვარჯიში დავიწყე, რადგან ამ პოზიციის ფეხბურთელისთვის ეს აუცილებელია," - ამბობს კიაერი.*

სწორედ ამ პასის გამო, „ნიუ იორკ თაიმსმა" დანიელ მცველს ახალი **ფრანც ბეკენბაუერი** უწოდა.

სიმონი ფიქრობს, რომ შეტევაში თამაში უნდა გააუმჯობესოს. მართალია, მწვრთნელები წინ წასვლას მხოლოდ მაშინ სთხოვენ, როცა მისი გუნდი კუთხურს ან ჯარიმას აწოდებს, მაგრამ თვითონ ფეხბურთელს მიაჩნია, რომ მცველს დრიბლინგის განხორციელება და წინა ხაზის მოთამაშეებთან კომბინირებაც უნდა შეეძლოს. კიაერი: *„იტალიაში წინ წასვლას მიკრძალავდნენ. მწვრთნელი მეუბნებოდა, მეტოქე გუნდის საჯარიმოში ან მის მისადგომებთან მარტო მაშინ უნდა დაგინახო, როცა კუთხურს ვაწოდებთო. გერმანიაში კი, იმედი მაქვს, რომ სხვანაირად იქნება. რამდენიმე კოლეგამ მითხრა, რომ სტივ მაკლარენი („ვოლფსბურგის" მწვრთნელია) ძალიან შემტევი ფეხბურთის მოყვარულია და მცველებსაც თავისუფლებას ანიჭებს."*

ის, რომ კიაერს შეტევებში ჩართვისა და გოლების გატანის ნიჭი აქვს, დანიელმა მცველმა „ვოლფსბურგის" ფორმით ჩატარებულ პირველივე ამხანაგურ მატჩში დაამტკიცა, როცა „აუგსბურგს" 22-ე წუთზე გაუტანა. მაკლარენს კი სიმონის თამაში და შედეგიანობა ძალიან მოეწონა. *„დღეს გამოჩნდა ის, რისთვისაც კიაერი ვიყიდეთ - ხარისხი. მას არა მარტო დაცვითი ფუნქციების შესრულება ეხერხება, არამედ ძალიან კარგად ერთვება შეტევებშიც,"* - თქვა სტივმა. სამაგიეროდ, „მგლების" თავკაცმა კიაერს ფიზიკური მომზადება დაუწუნა და ეს თავის იტალიელ კოლეგებს დააბრალა. ფეხბურთელმაც აღნიშნა, იტალიაში ვარჯიშების სულ სხვანაირი სტილია და ძალიან მიხარია, რომ „ვოლფსბურგში" უმეტესად ბურთთან ერთად ვვარჯიშობთო. მისი თქმით, იტალიელი მწვრთნელები ტაქტიკურ ვარჯიშებს ზედმეტად დიდ დროს უთმობენ.

### მისაბაძი მაგალითი: რაფაელ მარკესი

იტალია ის ქვეყანაა, სადაც კიაერი ნიჭიერი ფეხბურთელიდან ჩამოყალიბებულ, სრულყოფილ მოთამაშედ გარდაიქმნა და არცაა გასაკვირი, მისი გადაბირება „ინტერს", „მილანს", „იუვენტუსს", „მანჩესტერ იუნაიტედს" და „ლივერპულს" რომ სურდათ. აქედან გამომდინარე, ორმაგად გასაოცარი იყო ის, რომ დანიელმა მცველმა უპირატესობა „ვოლფსბურგს" მიანიჭა.

*„ვფიქრობ, რომ 21 წლის ფეხბურთელისთვის გრანდში გადასვლა ნაადრევია. ასეთ ასაკში ფეხბურთელს ყველაზე მეტად სათამაშო პრაქტიკა სჭირდება. გრანდში მუდმივად თამაშის გარანტიას ვერავინ მოგცემს. მე ისეთ კლუბში მსურდა გადასვლა, რომელსაც პერსპექტივა ექნებოდა და სადაც ყოველთვის მათამაშებდნენ. „ვოლფსბურგი" კი ამ კრიტერიუმებს იდეალურად აკმაყოფილებს,* - აცხადებს კიაერი, რომელსაც არაერთხელ უთქვამს, რომ მისთვის მისაბაძი მაგალითი **რაფაელ მარკესია**, - *ყველაზე მეტად სწორედ მარკესის თამაშის სტილი მომწონს."*

### შედარება ნესტასთან

კიაერმა „პალერმოს" 2009 წლის ზამთარში მიაშურა და წელიწად-ნახევრის განმავლობაში, სერია A-ს ერთ-ერთ საუკეთესო მცველად ჩამოყალიბდა. „ლეჩეს" ყოფილი თავკაცი **ალბერტო კავაზინი** ამბობდა, **ალესანდრო ნესტას** შემდეგ, 21 წლის ასეთი ძლიერი ცენტრალური მცველი არსად მინახავსო.

გასაკვირი არც ის არის, რომ როცა „პალერმო" „მიდტიულანდიდან" კიაერის ყიდვას ცდილობდა, გაირკვა, რომ ახალგაზრდა დანიელ მცველს მადრიდის „რეალის" სკაუტებიც აკვირდებოდნენ, მაგრამ სიმონისთვის მაშინვე ცხადი იყო, რომ გრანდში გადასვლაზე უარს იტყოდა. 19 წლის იყო, როცა იტალიაში გადავიდა და „პალერმოს" ძირითადი შემადგენლობის წევრი გახდა, 2009 წლის მიწურულს კი დანიის საუკეთესო ტალანტად აღიარეს. სხვათა შორის, მან ყველასათვის კარგად ცნობილ **ნიკლას ბენდტნერს** აჯობა - ეს უკანასკნელი მაშინ მეორე ადგილზე გავიდა.

„ვოლფსბურგმა" კიაერში 12 მილიონი ევრო გადაიხადა, რითაც სიმონი ბუნდესლიგის ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებულ მცველებში მეორე ადგილზეა. სხვათა შორის, პირველ ადგილზე იტალიელი **ანდრეა ბარძალი** გახლავთ, რომელიც ასევე „პალერმოდან", ასევე „ვოლფსბურგში" გადავიდა - ოღონდ, სამი წლის წინ. ამასთან, კიაერს ძალიან მაღალი ხელფასიც დაუნიშნეს: თუკი „პალერმო" წელიწადში 400 000 ევროს უხდიდა, „ვოლფსბურგი" 2.5 მილიონს უხდის.

კიდევ ერთი რამ, რაც სიმონ კიაერს „ვოლფსბურგში" გაახარებს, არის ის, რომ მას გერმანიასთან შეგუება არ გაუჭირდება, რადგან დანიურ მენტალიტეტთან გერმანული გაცილებით ახლოსაა, ვიდრე იტალიური, სიცილიური მენტალიტეტი. აი, მაგალითიც:

*„დანიაში ვახშმის დრო 18 საათია, მაქსიმუმ, 18.30. იტალიაში, რესტორანში 20 საათისთვის რომ მივდიოდი, გარეთ მაგდებდნენ ხოლმე, ჯერ რა დროს ვახშამიაო..."*

ვოლფსბურგში ასეთი რამ აღარ შეემთხვევა, რადგან გერმანელებიც საღამოს ექვს-შვიდ საათზე ვახშმობენ. ის კი არა და, რესტორანში ხუთ საათზეც რომ მიხვიდე და ამასაც ვახშამი დაარქვა, არავინ დაგცინებს...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**


სიმონ კიაერს უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

პრაღის ტურნირი

# საინტერესო ამბები პრაღიდან

ჩვენმა ახალგაზრდა ძიუდოისტებმა დიდი წარმატებით იჭიდავეს ამ უქმეებზე პრაღაში ჩატარებულ ევროპის ახალგაზრდულ თასზე. სამი ოქრო, ორი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო - ასეთია მათი მონაგარი. ჩემპიონები **ლაშა შავდათუაშვილი** (66), **ბეთქილ აფრასიძე** (73) და **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) გახდნენ, **ოთარ კაიდარაშვილმა** (55) და **შმაგი ლაგაზაურმა** (60) ფინალები წააგეს და მეორეზე დარჩნენ, ბრინჯაოს კი **გიორგი ნოზაძე** (90) დაეუფლა. ჩვენებმა განსაკუთრებით კარგად შაბათს იჭიდავეს, როცა ოთხივე წონაში ფინალისტი ჰყავდათ. მათგან შავდათუაშვილმა და აფრასიძემ მოიგეს, კაიდარაშვილი და ლაგაზაური კი დამარცხდნენ.

პრაღაში გამგზავრებამდე ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი **სოსო ლიპარტელიანი** ამბობდა, რომ ევროპის პირველობაზე წამსვლელთა ვინაობა საბოლოოდ ჩეხეთში გაირკვეოდა - ნაკრებში იმას დააყენებდა, ვინც ამ ტურნირზე უფრო კარგად იჭიდავებდა. ამიტომ მან პრაღაში საქართველოს ჩემპიონატის ყველა ფინალისტი წაიყვანა 100 კილოგრამი წონითი კატეგორიის გარდა, სადაც **მიხეილ ნარიმანიძემ** უკვე გაინაღდა ევროპაზე გამოსვლა. ფინალისტების გარდა, ჩეხეთში რამდენიმე სპორტსმენი საკუთარი ხარჯით წავიდა და წარმატებული გამოსვლით გვარიანადაც აურიეს ვითარება ნაკრებში. ზოგიერთ წონაში მოვლენები ისე განვითარდა, საკადრო პრობლემა თავისით გადაიჭრა - საქართველოს ჩემპიონებმა ახლაც აჯობეს კონკურენტებს - 55-ში... მაგრამ ზოგან ქვეყნის ვიცე-ჩემპიონებმა გაუსწრეს ჩემპიონებს - 60, 73... ფრიად მოულოდნელი რამ მოხდა 66-ში - პრაღაში თავისი ხარჯით წასულმა **ლაშა შავდათუაშვილმა** არათუ ნაკრებში თავის კონკურენტებს, არამედ ტურნირის ყველა მონაწილეს აჯობა და სულაც ჩემპიონი გახდა. თუმცა ჯერ მაინც ნუ ვიჩქარებთ 17-19 სექტემბერს სოფიაში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელთა ვინაობის დასახელებას - დაველოდოთ ლიპარტელიანის თბილისში დაბრუნებას. საბოლოო სიტყვა მაინც მწვრთნელს ეკუთვნის და ვნახოთ, იქნებ მან უშუალოდ შეჯიბრებისას რაღაც ისეთი დაინახა, რაც ჩვენ არ ვიცით.

ვფიქრობთ, 55 კილოში ყველაფერი გაირკვა და სოფიაში ოთარ კაიდარაშვილი იჭიდავებს. მან **ლაშა გიუნაშვილი** საქართველოს პირველობის ფინალშიც დაამარცხა და ახლაც გაუსწრო. გიუნაშვილმა პოლონელ **კონრად ფელიგასთან** მოგების შემდეგ მეოთხედფინალში ბრიტანელ **ბრენდონ დოდგესთან** წააგო და მოგვიანებით სანუგეშოში გადაერთო, სადაც მასპინძელ **დავიდ პულკრაბეკთან** და ბულგარელ **ბორისლავ იანაკოვთან** გამარჯვებებით სანუგეშო წრის ფინალში კი გავიდა, მაგრამ იქ იმ იტალიელ **ფაბიო ბასილესთან** დამარცხდა, რომელმაც ნახევარფინალში კაიდარაშვილთან წააგო და გიუნაშვილი მეხუთეზე დარჩა.

ამ დროს თვითონ კაიდარაშვილი უკვე ფინალში იყო გასული - სლოვენიელ **დავიდ კუკოვეცთან**, ავსტრიელ **ბერნარდ ლანგთან** და ზემოხსენებულ იტალიელ ბასილესთან მოგებების შემდეგ. ფინალში მისი მეტოქე გერმანელი **დანი-პაულ კილი** იყო, რომელთანაც ჩვენებური ვერაფერს გახდა და ვერცხლს დასჯერდა.

შაბათს ლიპარტელიანის შეგირდებმა ზედიზედ მეორე ფინალიც წააგეს - ამჯერად შმაგი ლაგაზაურმა, თუმცა, ამ მარცხის მიუხედავად, ალბათ, მთავარი კითხვა, ანუ კონკურენციის საკითხი აქაც გადაიჭრა. ლაგაზაურმა საქართველოს ჩემპიონატის ფინალი **გიორგი ბროლაშვილთან** წააგო, თუმცა ფრიად საკამათო ვითარებაში. ამაზე თავის დროზე „ლელოც" წერდა და სიტყვას არ გავაგრძელებთ, უბრალოდ, ვიტყვით, რომ მაშინ ნეიტრალურ პოზიციაზე მყოფი წარსულის სახელოვან ძიუდოისტთა უმეტესობა იმ გდებას ლაგაზაურს უთვლიდა. არ ვამტკიცებთ, რომ ამჯერად „სამართალმა პური ჭამა", მაგრამ „ჰა ბურთი და ჰა მოედანი" კი გვახსენდება და ლაგაზაურმა გაუსწრო კონკურენტს. ორივე ჩვენებურმა მომავალ ჩემპიონთან, კორეელ **ვონ-ჯინ კიმთან** წააგო, მაგრამ ბროლაშვილმა - მეოთხედფინალში, ლაგაზაურმა - ფინალში. იქამდე მან ოთხი მეტოქე დაამარცხა - ნორვეგიელი **აარნეს სიგვე**, ჩეხი **იაკუბ ჰაბანი**, სომეხი **გორ ჰარუთინიანი** და პოლონელი **ლუკაშ კიელბასინსკი**. ბროლაშვილმა კიმთან წაგებამდე ბელგიელი **კევინ გიჯსი** და ხორვატი **ბერნარდ აზინოვიჩი** გამოთიშა შეჯიბრებიდან. სანუგეშოში ებრაელი **ტალ ფლიკერი** და შვედი **ალექსანდერ ლუნდკვისტიც** დაამარცხა, მაგრამ ბრინჯაოსთვის შეხვედრა ლაგაზაურის დამარცხებულ კიელბასინსკისთან დათმო და ესეც მეხუთეზე დარჩა.

ლიპარტელიანს პირველი ოქრო შავდათუაშვილმა მოუტანა - წინასწარ შეხვედრებში დაჯაბნილ შვეიცარიელ **იანიკ ალემანს**, იტალიელ **ენრიკო პარლატის**, სლოვენიელ **ანდრაზ იერებს** და პოლონელ **გჟეგოჟ ლევინსკის** ფინალში ებრაელი **გოლან პოლაცკიც** მიაყოლა და ჩემპიონი გახდა. არადა, შავდათუაშვილი საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში მხოლოდ მესამე იყო. პრაღაში ძალზე სუსტად იჭიდავა ქვეყნის ჩემპიონმა **ლაშა ლომიძემ** - მხოლოდ ერთ შეხვედრაში იმარჯვა ჩეხ **ტომას ჰეზკოსთან**, მერე კი კორეელ **იუნგ-მინ ლეესთან** წააგო და გავარდა. ორი შეხვედრა მოიგო ქვეყნის ვიცე-ჩემპიონმა **ფრიდონ გიგანმა** - სლოვაკ **მატუს ნოვაკთან** და ჩეხ **ლუბომირ ჰოლჩაკთან**, მერე კი თავად დამარცხდა ზემოხსენებულ ლევინსკისთან და სანუგეშოში გადავიდა, მაგრამ იქ პირველივე ბრძოლა დათმო ებრაელ **საგი მუკისთან**.

იყოჩაღა ბეთქილ აფრასიძემაც, ვინაც საქართველოს ჩემპიონატის ფინალი **ზებედა რეხვიაშვილთან** ულაპარაკოდ წააგო. მეოთხედფინალში ორივე კონკურენტი ერთად გავიდა - აფრასიძემ ხორვატი **დუსკო რატკოვიჩი**, ჩეხი **ტომაშ რაკოსნიკი** და პორტუგალიელი **ბერნარდო ტავარეში** გააგდო, რეხვიაშვილმა - ასევე პორტუგალიელი **ანტონიო მასარტი** და პოლონელი **კშიშტოფ გალასი**. მეოთხედფინალში მათი ბედი სხვადასხვანაირად წარიმართა - რეხვიაშვილი იტალიელ **ანდრეა რეჯისთან** დამარცხდა და სანუგეშოში გადაერთო, აფრასიძე კი მოლდოველ **კონსტანტინ არპენტინის** და გერმანელ **ჰანეს კონრადის** ძლევით ფინალში გავიდა, სადაც რეხვიაშვილის მომგებ რეჯისს აჯობა. სავარაუდოდ, აქაც ყველა კითხვის ნიშანი მოხსნილია. მით უფრო, რომ რეხვიაშვილმა ველარც სანუგეშოში ივარგა ბოლომდე - აზერბაიჯანელ **სეირან მაჰმუდოვსა** და უნგრელ **პატრიკ პუტაის** კი აჯობა, მაგრამ ბრინჯაოსთვის ბრძოლაში აფრასიძის მიერ დამარცხებულ გერმანელ კონრადთან წააგო და ესეც მეხუთეზე დარჩა.

ამავე წონაში საკუთარი ხარჯით ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი **ლაშა ზურაბიანიც** გაემგზავრა, მაგრამ უშედეგოდ - მხოლოდ სლოვენიელ **მატეი სკერლაკს** აჯობა, კორეელ **გი-ვოოკ კიმთან** კი დამარცხდა და გავარდა.

81-ში ლიპარტელიანს ჭრიკიშვილი ისედაც შეგულებული ჰყავდა საევროპოდ, მაგრამ ამაზე ხმამაღლა არ ლაპარაკობდა. ალბათ, უკვე არც არაფერია დასამალია - ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელმა ბრინჯაოს პრიზიორმა ჭრიკიშვილმა საქართველოს ჩემპიონატიც დამაჯერებლად აჯობა, ტურნირებზეც კარგად გამოვიდა და ახლაც ყველას მოუგო. სამწუხაროდ, ოფიციალური საიტის გაუმართავი მუშაობის გამო მის მეტოქეებზე დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით, თუმცა ეს არცაა დიდად საინტერესო. მთავარია, ამ წონაში ყველა კითხვას გაეცა პასუხი.

დანვრილებით არც 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში განვითარებულ მოვლენებზე ვიცით რამე, მაგრამ, რაც ჩვენი ძიუდოს ფედერაციის პრესსამსახურის უფროს **ზურაბ უსუფაშვილის** დახმარებით გავიგეთ, ფრიად საყურადღებოა. უმთავრესად კი, მწვრთნელისთვის - გიორგი ნოზაძემ ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი არჩილ შინჯიკაშვილი დაამარცხა. არადა, საქართველოს ჩემპიონატის ფინალში შინჯიკაშვილმა აჯობა ნოზაძეს! ერთი სიტყვით, ლიპარტელიანს აქაც მძიმე არჩევანი აქვს გასაკეთებელი.

სამწუხაროდ, სხვათა გამოსვლაზე ვერაფერს გეტყვით ისევ და ისევ ტურნირის საიტის გაუმართავი მუშაობის მიზეზით.

**ირაკლი თავაძე**



საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 46 წლისა გარდაიცვალა ქართული ფარიკაობის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და არაერთგზის პრიზიორი იუნიორთა შორის, ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის მედალოსანი, ყოფილი სოცქვეყნების ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის ვიცე–პრეზიდენტი, ფარიკაობის ალორძინების ფონდის თავმჯდომარე

**დავით თურქია**

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

ტყვიის სროლა

# ქადაგიძით დაიწყო

მიუნხენში დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი ტყვიის სროლაში, რომელშიც ქართული ტრიოდან ჯერ მხოლოდ **ლევან ქადაგიძე** ჩაება. მან ძალები სპორტული პისტოლეტით სროლაში მოსინჯა, რაც მისთვის შედარებით ახალი დისციპლინაა. ჩვენებურმა გუშინ იასპარეზა, 544 ქულა დააგროვა და საკვალიფიკაციო ეტაპი 70 მონაწილეს შორის 54-ე ადგილზე დაამთავრა.

სამწუხაროდ, მას ცალკეულ სერიებში გაუჭირდა 100-ქულიან ზღვართან მიახლოება - სამში 90-იან მიჯნასაც ჩამორჩა. განსაკუთრებით, პირველ სამ სერიაში, როცა 90 ქულა პირველ სერიაში გააკეთა, მერე კი 87 (მისთვის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი) და 89 ქულა დააგროვა. შედარებით უკეთ ისროლა მეორე ნახევარში. ყოველ შემთხვევაში, ყველაზე უკეთესი შედეგი - 95 ქულა მეოთხე სერიაში ჰქონდა. მერე ისევ გააუარესა მაჩვენებელი - 89 ქულა, თუმცა მეექვსე სერიაში ცოტა უკეთ გაისარჯა, 94 დააგროვა და საერთო მაჩვენებელიც რამდენადმე გამოასწორა.

ქადაგიძე ხვალ პნევმატური პისტოლეტით ისვრის და ამით მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობასაც დაამთავრებს, მერე კი ახალგაზრდა გოგონათა ტურნირის მონაწილე **ნინო ფანჩულიძის** ჯერი დადგება - ის მხოლოდ სპორტულით ისვრის, რასაც 5 აგვისტოს გააკეთებს. მაგრამ ჩვენი მთავარი ყურადღება **ნინო სალუქვაძისკენაა** მიპყრობილი, რომელიც 8 აგვისტოს სპორტული პისტოლეტით იასპარეზებს, მეორე დღეს კი პნევმატურში ეცდება წარმატების მიღწევას. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ლონდონის ოლიმპიადის საგზურებიც თამაშდება - ხუთ-ხუთი ორივე დისციპლინაში.

ეს რაც შეეხებოდათ ტყვიის მსროლელებს, დღეს კი ჩემპიონატში მესტენდურებიც ჩაებმებიან. თავდაპირველად - **მაია გუბიევა**, ვაჟთა ნაკრები - **დავით ქვათაძე**, **გივი შენგელია** და **პაველ ლაკია** კი 6 აგვისტოს ისვრის.

**ირაკლი თავაძე**

ლელოს ფოტომატიანე



ქართული წყალბურთის ოქროს თანავარსკვლავედი. პირველ რიგში - მარცხნიდან: გივი ჩიქვანაია, ირაკლი ჩხიკვაძე, ბორის მეგედი, ლევან გიორგაძე; მეორე რიგში: ვიქტორ რომანოვი, დავით იაშვილი, ოთარ მიმინოშვილი, ნოდარ გვახარია (მწვრთნელი), ბორის მარგიევი, ზურაბ ლომიძე, ლერი გოგოლაძე

იუბილარი

# წყალბურთელთა თაობების სიამაყე

## ოთარ (დურულა) მიმინოშვილი 70 წლისაა

საქართველოს წყალბურთელთა ოქროს ხანის თანავარსკვლავედში ღირსეული ადგილი უკავია სპორტში ოსტატობით და ცხოვრებაში ადამიანური ღირსებებით განსაკუთრებულად გამორჩეულ პიროვნებას, **ოთარ მიმინოშვილს**. გასული საუკუნის 50-იან წლებში იგი იმ გზამკვლევებს შორის იყო, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქართულ წყალბურთს.

რიონისპირელმა ბიჭმა, როგორც ყველა ქუთათურმა, მდინარე რიონზე ისწავლა ცურვა, წყალბურთის ანბანს კი ლითოფონის ქარხნის სახანძრო აუზში დაეუფლა.

ნიჭი, ძამიკო, ნიჭიო, — უთქვამს გალაკტიონს. ჰოდა, ლითოფონის ქარხნის იმ საჭყუმპალაოში გაიფურჩქნა იმ თაობის ქუთაისელი წყალბურთელების ტალანტი. ოთარ მიმინოშვილთან ერთად ესენი იყვნენ „წყალბურთის პელედ" მონათლული **გივი ჩიქვანაია**, უბადლო **ლერი გოგოლაძე** — მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მეკარე. ტრადიცია შემდეგ წარმატებით გააგრძელა პლანეტის გამორჩენილმა დიდოსტატმა **რევაზ ჩომახიძემ**, რომელიც სამშობლოს ახლახან დაუბრუნდა როგორც სპორტსმენი და მწვრთნელი.

1956 წლიდან მოყოლებული, როცა ქუთაისის წყალბურთელთა ნაკრებმა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ჩემპიონობა მოიპოვა, ვიდრე 1971 წლის IV საკავშირო სპარტაკიადის ჩათვლით, სადაც ბოლო თამაშები უკვე მომდევნო თაობის შესანიშნავ ოსტატებთან **ვლადიმერ ისელიძესთან, ნოდარ კურტანიძესთან, დავით რურუასთან** და **მიხეილ გიორგაძესთან** ერთად ჩაატარა, ოთარ მიმინოშვილმა არაერთგზის მოუტანა აუწერელი სიხარული სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის ქომაგებს.

1958 წელს ოთარი თბილისის „დინამოში" ჩაირიცხა, რამდენჯერმე გახდა სსრ კავშირის ჩემპიონატებისა და სპარტაკიადების პრიზიორი, 1963 წელს კი საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედალსაც დაეუფლა. დიდხანს კაპიტნობდა „დინამოს" და საქართველოს ნაკრებს, არაერთ საერთაშორისო ტურნირში მოუპოვებია წარმატება საკავშირო ნაკრებში.

სსრ კავშირის ჩემპიონატებში, ფეხბურთელებისა არ იყოს, ჩვენი წყალბურთელებიც არაერთხელ დაუჩაგრავთ არაობიექტური მსაჯობით და იძულებით აკმარებდნენ საპრიზო ადგილებს. და კიდევ: ქართველზე უკეთ ხომ ქართველს ვერავინ ებრძვის — იმ დროს მოსკოვის „დინამოში" ბრწყინავდა დიდი **კაკო მშვენიერაძე**, ხოლო შემდეგ **გივი ჩიქვანაიას** ერა დადგა.

სერიოზულად კი, ბატონი ოთარ მიმინოშვილი, უბრალოდ, დურულა 70 წლისაა. საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, „დინამოს" საპატიო მედლის მფლობელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ამჟამად საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტში მოღვაწეობს და, რაღა თქმა უნდა, მშობლიურ სპორტულ სამყაროში ტრიალებს, დიდ სამეგობროსა და ახლობლებს ხომ ისედაც არ აკლებს სითბოს და სიყვარულს. ეს მისი ცხოვრებისეული კრედოა!

მრავალჟამიერ, ბატონო ოთარ, უბრალოდ, ჩვენო დურულა!

**ვეტერანი წყალბურთელები**
**სპორტკლუბი „ივერია"** Ⓡ

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო დაბადებიდან 70 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს სახელოვან ვეტერან წყალბურთელს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ოთარ მიმინოშვილს.**

ჩოგბურთი

# ფინალი გაიმეორეთ

ალმატიში დასრულდა ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. ისევე, როგორც 2009 წელს, ახლაც ქართველებმა ფინალში გასვლა იკმარეს - შარშან ფინალში **ოქსანა კალაშნიკოვამ** (179) „ტენის პარკ გორკიზე" რუს **ელენა ჩალოვასთან** წააგო. ახლა კი ფინალში **სოფიო შაფათავამ** გააღწია. სოფიო მე-4 ნომრად იყო განთესილი. ფინალში ის ჰოლანდიელ **რიჩელ ჰოგენკამპს** (346) შეხვდა და ორ სეტში დამარცხდა - 2:6, 3:6.

ყაზახეთში შეკრებილი ჩოგბურთელები ალმატიდან დედაქალაქ ასტანაში გადაინაცვლებენ, სადაც 50-ათასიანი საერთაშორისო ტურნირი იწყება. ძირითად ბადეში სამი ჩვენებურია: ოქსანა კალაშნიკოვა, სოფიო შაფათავა და **თათია მიქაძე** (343). საკვალიფიკაციო ბრძოლებში ჩაებმება **ეკა გორგოძე** (549). **ანა ტატიშვილი** (145) კანადაშია, სადაც ვანკუვერის საერთაშორისო ტურნირში ითამაშებს, რომლის საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

ფიდეს გრან-პრი

# ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩება

მონღოლეთის დედაქალაქ ულანბატორში სამი დღეა, გრძელდება ფიდეს მოჭადრაკე ქალთა გრან-პრის მე-5 ეტაპის გათამაშება, რომელშიც 12 მანდილოსანი მონაწილეობს წრიული სისტემით. ასპარეზობის სტარტზე ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა **მაია ჩიბურდანიძემ** მასპინძელ **ბათჰუიანგ მონგოლთუულს** სძლია, მეორე ტურში შავი ფიგურებით მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ **ატოანეტა სტეფანოვას** (ბულგარეთი) დაუზავდა, გუშინ კი რუს ორგზის ევროპის ჩემპიონ **ტატიანა კოსინცევასთან** გაიყო ქულა. ქართველ დიდოსტატს ახლა 2 ქულა აქვს და ლიდერებს - ინდოელ **ჰამფი კონერუს** და ჩინელ **ჟაო სიუს** ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩება. დღეს მე-4 ტურში სწორედ ჟაო სიუს დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი ერი


რიჩი მაკქოუს ლელო

# რაგბის პლანეტას შავი მზე დაჰნათის

**ავსტრალია-ახ. ზელანდია 28:49**

ავსტრალია (15-9) ეშლი-კუპერი, ოკონორი, ჰორნი (ბეილი 56), ბარნსი, მიტჩელი, გიტო (ე.ფაინგაა 77), გენია (ბარჯესი 76). (1-8) რობინსონი, მური (ს.ფაინგაა 48), მააფუ (სლიპერი 60), მამი, შარპი (საიმონსი 48), ელსომი, პოკოქი, ბრაუნი.

*3ლ: ელსომი, მიტჩელი, ეშლი-კუპერი. 3ს,2გ: გიტო.*

გაძევება: მიტჩელი

ახალი ზელანდია (15-9) მულიაინა, ჯეინი (დაგი 76), სმითი, ნონუ (კრადენი 71), როკოთოკო, კარტერი, ქოუანი (ვიპუ 33). (1-8) ვუდკოქი, მეალამუ (ფლინი 71), ო.ფრენქსი (ბ.ფრენქსი 43), თორნი (ვაითლოქი 58), დონელი (ვიტო 76), კაინო, მაკქოუ, რიდი.

*7ლ: მულიაინა (2), კარტერი, მაკქოუ, როკოთოკო, ჯეინი, ფლინი. 4გ,2ს: კარტერი.*

მსაჯი: კრეიგ იუბერი (ს.აფრიკა)

ახალი ზელანდიის ნაკრებმა სამი ერის გათამაშების მორიგ მატჩში სტუმრად, მელბურნში ავსტრალიის ეროვნული გუნდი 49:28 დაამარცხა და ლიდერობა განიმტკიცა.

ეს იყო წლევანდელი სეზონის, ალბათ, საუკეთესო შეხვედრა. ორივე გუნდმა ღია, შემტევი სტილით ითამაშა და მაყურებელმა 10 ერთმანეთზე უკეთესი ლელო იხილა. თავად განსაჯეთ: ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, შერკინება თამაშში პირველად 75-ე წუთზე დაინიშნა. მანამდე გუნდები ლაღად, ხელდახელ ბურთაობდნენ და რაგბის ქომაგს მშვენიერი სპექტაკლი აჩუქეს.

სხვა საკითხია, რამდენად გამართლებული იყო მასპინძელთა მხრიდან ახალ ზელანდიასთან გახსნილი თამაში. „კივები" ის გუნდია, რომელთანაც პირიქით, თამაში უნდა შეკრა, დაცვა გაუვალი კედელივით აღმართო და ეცადო, მეტოქეს ბურთი არაფრით დაუთმო. „ვოლაბები" ასე არ მოიქცნენ. **რობი დინსი** შეეცადა, მეტოქე მისივე იარაღით დაემარცხებინა, მაგრამ ეს ვერ შეძლო. ავსტრალიამ მატჩი კი წააგო, მაგრამ რაგბის არ წაუგია - რაგბიმ იმ დღეს მელბურნში გაიმარჯვა.

ანგარიში „ვოლაბებმა" მე-3 წუთზე **მეთ გიტოს** საჯარიმოთი გახსნეს, რაზეც ახალზელანდიელთა მგეზავმა **დენ კარტერმა** სამ წუთში საჯარიმოთივე უპასუხა - 3:3.

მომდევნო ექვს წუთში თავბრუდამხვევი მოვლენები განვითარდა, გუნდებმა ორ-ორი წუთის ინტერვალით სამი ლელო გაიტანეს. მე-7 წუთზე ანგარიშში ავსტრალიელები დაწინაურდნენ. კარტერი საკუთარი ოცდაორმეტრიანი ზონიდან ბურთის ფეხით გამოტანას ცდილობდა, მაგრამ „ვოლაბების" გარემარბმა **დრიუ მიტჩელმა** დაუფარა. ბურთი „ოლ ბლექსის" ლელოსკენ გაგორდა. მიტჩელი დროულად გაერკვა ვითარებაში, ბურთი აიტაცა, ლელოსკენ სწრაფად დაიძრა, ისე, რომ „ოლ ბლექსის" გარემარბმა **ჯო როკოთოკომ** და კარტერმა მისი შეჩერება ერთობლივადაც ველარ შეძლეს. გიტომ გარდასახვა ვერ გაიტანა - 8:3.

კარტერმა დანაშაული ორ წუთში გამოისყიდა. ამჯერად საკუთარი ოცდაორმეტრიანი ზონიდან ბურთის ფეხით გამოტანა ავსტრალიელთა შუამარბმა **ბერიკ ბარნსმა** სცადა. კარტერმა დაუფარა და მასაც გაუმართლა, ბურთი პირდაპირ ლელოსკენ გაგორდა. კარტერი მას ზედ ხაზთან წამოეწია და ჩათვლის მოედანში შეიტანა. გარდასახვაც თვითონ გაიტანა - 10:8.

აი, კიდევ ორ წუთში ახალზელანდიელების მიერ გატანილი ლელო კი ნამდვილი შედევრი იყო. „კივებმა" მოედნის საკუთარი ნახევრიდან ბურთი ხელდახელ გამოათამაშეს. ორი რაკის შემდეგ მოედნის ცენტრი გადმოკვეთეს და მარჯვენა ფრთიდან შეუტიეს. გარემარბი **კორი ჯეინი** ორი მოწინააღმდეგისგან გათავისუფლებას ცდილობდა, მაგრამ ავსტრალიელებმა იძალეს და ის იყო, ახალზელანდიელი გვერდით ხაზს მიღმა უნდა გადაეყვანათ, რომ ჯეინმა მოასწრო და ბურთი ფეხით „ვოლაბების" ლელოსკენ გადაჰკიდა. აქ კი ყველას უკნიდან შეტევაში ჩართულმა ფულბეკმა **მალილი მულიაინამ** დაასწრო და ლელო ისე გაიტანა, წინააღმდეგობა არ შეხვედრია. კარტერმა გარდასახვა არაზუსტად დაარტყა - 15:8.

ამას შვიდ წუთში გიტომ საჯარიმოთი გასცა პასუხი და ანგარიშში სხვაობა ოთხ ქულამდე შეამცირა - 11:15. ავსტრალიელებს დაწინაურებაც შეეძლოთ, მაგრამ პირიქით კი მოხდა. 25-ე წუთზე უხეშად შეცდა „ვოლაბების" ფულბეკი **ადამ ეშლი-კუპერი**. მან კარტერის მიერ ფეხით დარტყმული ბურთი საკუთარ ოცდაორმეტრიან ზონაში დაიჭირა. ახალზელანდიელებმა ხაზი სწრაფად ამოსწიეს, ჩახურვაზე ბრწყინვალედ ითამაშეს, ისე, რომ ეშლი-კუპერმა ვერც თვითონ შეძლო შეტევაზე გადასვლა და არც იმის საშუალება მიეცა, ბურთი ფეხით თუნდაც აუტში გადაეტანა.

ეშლი-კუპერი იქვე შებოჭეს, მას რაკში ბურთი წინ გაუვარდა, რომელიც იქვე მიმყოლმა „კივების" კაპიტანმა **რიჩი მაკქოუმ** აიტაცა და მეტოქის ლელოსკენ დაუცველი, მოკლე ფრთიდან დაიძრა. მისი დაჭერა მასპინძლებმა ველარ შეძლეს. კარტერმა ამჯერად გარდასხვა ზუსტად დაარტყა - 22:11.

გიტომ ამ ლელოსაც სამ წუთში საჯარიმოთი უპასუხა - 14:22, რასაც კარტერის კიდევ ერთი საჯარიმო და გარემარბ **კორი ჯეინის** ლელო მოჰყვა - 32:14.

18-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა ახალ ზელანდიის ნაკრებთან, ურთულესი, თითქმის შეუძლებელი საქმეა. თუმცა „ვოლაბებს" საამისოდ ცდა არ დაუკლიათ. მას შემდეგაც კი, როცა 44-ე წუთზე არბიტრმა დრიუ მიტჩელს მეორედ უჩვენა ყვითელი ბარათი და მოედანი მატჩის ბოლომდე დაატოვებინა. მასპინძლები 36 წუთის განმავლობაში კაცნაკლულნი თამაშობდნენ, თუმცა გუნდის საბრძოლო, შემტევ განწყობას ეს ოდნავაც არ დასტყობია.

47-ე წუთზე სტუმრებმა შეტევისას კარგად ისარგებლეს მარჯვენა, გრძელ ფრთაზე მიღებული რიცხობრივი უპირატესობით და იუბილარმა მულიაინამ, რომელსაც იმ დღეს 30 წელი შეუსრულდა, მეროე ლელო მიითვალა. კარტერმა გარდასახა და ანგარიშში სხვაობა 25 ქულამდე გაიზარდა - 39:14.

სასწაული უნდა მომხდარიყო, ახალ ზელანდიას ეს მატჩი რომ წაეგო. ალბათ, სწორედ ამიტომ იყო, რომ „კივებმა" ტაქტიკა შეცვალეს და მატჩის დასრულებამდე დარჩენილი დრო, ფაქტობრივად, დაცვაში თამაშის ვარჯიშს დაუთმეს. „ვოლაბებმა" რიცხობრივ უმცირესობაში ყოფნის მიუხედავად, მაინც შეძლეს ორი ლელოს გატანა, რაზეც კონტრშეტევაზე მოთამაშე ახალზელანდიელებმაც ორით უპასუხეს - 49:28.

სამი ერის მომდევნო შეხვედრა ისევ ამ გუნდებს შორის 7 აგვისტოს ახალ ზელანდიაში, ქრაისთჩერჩში გაიმართება, სტადიონზე, სადაც მომავალი წლის 18 სექტემბერს საქართველოს ნაკრები მსოფლიო თასის ჯგუფურ ეტაპზე ინგლისის ნაკრებს დაუპირისპირდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ახ.ზელანდია | 3 | 3 | 0 | 0 | +55 | 15 |
| 2. ავსტრალია | 2 | 1 | 0 | 1 | -4 | 4 |
| 3. ს.აფრიკა | 3 | 0 | 0 | 3 | -51 | 0 |

**7 აგვისტო**

ახალი ზელანდია-ავსტრალია

**21 აგვისტო**

სამხრეთ აფრიკა-ახალი ზელანდია

**28 აგვისტო**

სამხრეთ აფრიკა-ავსტრალია

**4 სექტემბერი**

სამხრეთ აფრიკა-ავსტრალია

**11 სექტემბერი**

ავსტრალია-ახალი ზელანდია

ქარის თასი

# ბლუ ბულზმა რეპუტაცია აღიდგინა

„ქარის თასის" გათამაშების მე-4 ტურმა მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა. ოთხივე შეხვედრაში პოტენციურმა ფავორიტებმა გაიმარჯვეს და სატურნირო ცხრილმაც მეტ-ნაკლებად ლოგიკური სახე მიიღო.

შარშანდელმა ჩემპიონმა, პრეტორიის „ბლუ ბულზმა" სტუმრად, იოჰანესბურგში დაამარცხა „ლაიონზი" - 32:18. „ლურჯ ხარებს" გამარჯვება მგეზავმა **იაკო პოთხიტერმა** მოუტანა. მის ანგარიშზე ერთი ლელო, ორი გარდასახვა და ექვსი საჯარიმოა (27 ქულა). კიდევ ერთი ლელო პრეტორიელთაგან გარემარბმა **გერჰარდ ფან დერ ევერმა** გაიტანა.

უნდა აღინიშნოს, რომ „ლომები" ამ მატჩში გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ, ვიდრე ზე 14-ის წლევანდელ გათამაშებაში. „ბლუ ბულზმა" მოიგო, მაგრამ ძალიან გაუჭირდა. მეტოქე გუნდიდან გამოვარჩევდით **ენტონი იანტისს**, რომელიც უნარიანად უძლვებოდა „ლაიონზის" შეტევებს. უფრო მეტიც, დასაწყისში, სანამ პოთხიტერი მასპინძელთა კარის საჯარიმოებით დაბომბვას დაიწყებდა, მასპინძლები წინ იყვნენ - 15:13.

მერე „ბლუ ბულზის" მგეზავი ამუშავდა და მე-40 წუთიდან მოყოლებული, სამქულიანი ინტერვალებით ოთხი საჯარიმო გაიტანა - 25:5. აი, სწორედ აქ გატყდნენ „ლაიონზელები" და „ბლუ ბულზმა" წინა ტურში შინ „ჩიტაზთან" წაგების შემდეგ შელახული რეპუტაცია აღიდგინა.

მომდევნო, მეხუთე ტურში პრეტორიელები შინ მიიღებენ აუტსაიდერ „ლეოპარდსს". წესით, ამ მატჩში „ლურჯ ხარებს" პრემიალური ქულის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეთ.

ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ გათამაშების ჯერ კიდევ დაუმარცხებელი ლიდერი „ვესტერნ პროვანსი" ერთ-ერთ აუტსაიდერ „პუმასს" დიდი ანგარიშით დაამარცხებდა. „დასავლელებმა" შინ მეტოქეს შვიდი ლელო გაუტანეს და 54:13 მოუგეს.

გამარჯვებულთაგან ორ-ორი ლელო მესამეხაზელმა **პიტერ ლავმა** და გარემარბმა **ხიო ეპლონმა** გაიტანეს. აღსანიშნავია, რომ მგეზავმა **ვილემ დე ფაალამ**, რომელიც წინა ტურის მატჩში ფეხჩუბინობით გამოირჩა, ამჯერად შვიდი ლელოდან მხოლოდ სამი გარდასახა, თუმცა სამი საჯარიმოს გატანაც მოახერხა.

მე-5 ტურში „ვესტერნ პროვანსი" სტუმრად ეთამაშება „გრიკასს" და ადვილი შესაძლებელია, პირველი მარცხიც იწვნიოს. გრიკასელებმა მეოთხე ტურში საგარეო მატჩში დაამარცხეს აუტსაიდერი „ლეოპარდსი" 41:27.

სტუმრებმა „ლეოპარდებს" ხუთი ლელო გაუტანეს. აქედან ორი გარემარბ **ბიორნ ბესონის** ანგარიშზეა. ყველაზე შედეგიანი კი „გრიკასის" მგეზავი **პეტრუს ულიფიე** იყო. მან ერთი ლელო, ხუთი გარდასახვა და ორი საჯარიმო გაიტანა (21 ქულა).

აღსანიშნავია, რომ „ლეოპარდსმა" საწყისი ნახევარი საათი მეტოქეს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. მეტიც, 33-ე წუთისთვის მასპინძლები 10:3-ს იგებდნენ. სწორედ ამის შემდეგ მოახერხეს გრიკასელებმა მატჩის სადავეების ხელში აღება და მეტოქეს დიდი ანგარიშით სძლიეს.

ყველაზე საინტერესო მაინც ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლების „ჩიტაზისა" და „ნატალ შარქსის" დაპირისპირება გამოდგა. ჩიტაზელები, რომლებმაც პირველი ტაიმი 10:3 მოიგეს, საბოლოოდ დამარცხდნენ -13:25.

„ნატალ შარქსმა" მატჩის ბედის სათავისოდ შემობრუნება ბოლო ათ წუთში შეძლო. სტუმრებს გამარჯვება შუამარბმა **პატრიკ ლამბიემ** მოუტანა, რომელმაც ორი ლელო გაიტანა. ორივე თვითონვე გარდასახა. მანამდე კი ლამბიეს ორი საჯარიმოც ჰქონდა გატანილი (სულ 20 ქულა).

მომდევნო ტურში „ნატალ შარქსი" შინ „ლაიონზს" ეთამაშება. მატჩი საინტერესო უნდა გამოდგეს, რადგან „ლომები" ნელ-ნელა უმატებენ და მეტოქისთვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა ძალუძთ.

**IV ტური**

ლეოპარდსი-გრიკასი 27:41, ვესტერნ პროვანსი-პუმასი 54:13, ჩიტაზი-ნატალ შარქსი 13:25, ლაიონზი-ბლუ ბულზი 18:32

სატურნირო მდგომარეობა: 1. ვესტერნ პროვანსი - 18 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 16, 3. გრიკასი - 15, 4. ბლუ ბულზი - 11, 5. ჩიტაზი - 9, 6. ლაიონზი - 6, 7. პუმასი - 5, 8. ლეოპარდსი - 2

**V ტური**

6 აგვისტო: ბლუ ბულზი-ლეოპარდსი, პუმასი-ჩიტაზი

7 აგვისტო: გრიაკასი-ვესტერნ პროვანსი, ნატალ შარქსი-ლაიონზი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**


ჩიტაზი-ნატალ შარქსი

www.sport.gov.ge

## ამბები

**კალათბურთი**

### ნესტეროვიჩი ევროპას უბრუნდება

სლოვენიელი ცენტრი **რადოსლავ ნესტეროვიჩი** ასრულებს ამერიკულ კარიერას და ევროპაში ბრუნდება. „სან ანტონიოს“ შემადგენლობაში NBA-ის ყოფილი ჩემპიონი ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს ბერძნულ გრანდ „ოლიმპიაკოსთან“ - ამ ინფორმაციას Eurobasket ავრცელებს.

„სან ანტონიოს“ გარდა, ნესტეროვიჩმა NBA-ში „მინესოტასა“ და „ინდიანაში“ მოასწრო თამაში, შარშან კი „ტორონტოს“ ღირსებას იცავდა და ამ კლუბს საშუალოდ 4.1 ქულა და 2.2 მოხსნა შესძინა.

### საუკეთესო ახალბედა პოლიციაში მოხვდა

გასული სეზონის საუკეთესო ახალბედა **ტაირიკ ევანსი** პოლიციის განყოფილებაში მოხვდა. „საკრამენტო კინგზის“ ახალგაზრდა კალათბურთელი სიჩქარის გადაჭარბებისთვის დააკავეს - ის მანქანას საათში 130 მილი სიჩქარით მართავდა, რამაც პოლიციელთა ყურადღება მიიპყრო.

სამართალდამცავები ვარაუდობენ, რომ ევანსი სისწრაფეში ეჯიბრებოდა მეორე მანქანას, მაგრამ კალათბურთელი ამ ინფორმაციას არ ადასტურებს. სხვათა შორის, ტაირიკის დაპატიმრებისას პოლიციას პისტოლეტის გამოყენება მოუხდა.

20 წლის კალათბურთელს 80-საათიანი საზოგადოებრივი სამუშაოები დაუწესეს და 30 დღით ჩამოართვეს მართვის მოწმობა.

### ჰოვარდი სტარტს გამოტოვებს

გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ ინფორმაციით, „ვაშინგტონ უიზარდისის“ შემტევი მცველი **ჯოშ ჰოვარდი** მუხლზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ აღდგენით კურსს აგრძელებს და ამის გამო, სავარაუდოდ, ახალი სეზონის სტარტს გამოტოვებს.

ამ დღეებში კალათბურთელმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა დედაქალაქურ კლუბთან. მის არყოფნაში, რეგულარულის სტარტზე „ვაშინგტონის“ სასტარტოში თავის გამოჩენის საშუალება მიეცემა **ელ ტორნტონს**.

### ბრაზილია კონტინენტის ჩემპიონია

გუშინ დასრულდა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი კალათბურთში. ფინალში ამ კონტინენტის ორი გრანდი - ბრაზილია და არგენტინა შეხვდნენ ერთმანეთს. ბრაზილიამ 10 ქულით შეძლო პრინციპული მეტოქის დამარცხება - 87:77 (19:18, 21:13, 22:21, 25:25) და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ტურნირის MVP გახდა ჩემპიონის 27 წლის ფორვარდი **მურილიო ბეკერ დე როზა**, რომელმაც ფინალში 30 ქულა და 10 მოხსნა დააგროვა.

მესამე ადგილისთვის ურუგვაიმ ვენესუელას 76:70 მოუგო.

ოთხი საუკეთესო გუნდი გაისად ამერიკის ჩემპიონატში თამაშის უფლებას მიიღებს. ტურნირი არგენტინაში გაიმართება და იქ გაირკვევა ამ კონტინენტიდან 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილეები.

**ჩოგბურთი**

### ცონგა აშშ-ის ღიაზე ვერ მიდის?

მსოფლიოს მე-11 ჩოგანს **ჟო-ვილფრიდ ცონგას**, შესაძლოა, „დიდი სლემის“ მეოთხე ტურნირის - ამერიკის ღია პირველობის გამოტოვებამ მოუწიოს. ფრანგ ჩოგბურთელს ჯერაც არ მოუშუშებია მუხლის ტრავმა.

ცონგამ მარცხენა მუხლი უიმბლდონზე **ენდი მიურეისთან** მეოთხედფინალურ მატჩში გაიმიზეზა. მაშინ ექიმებმა ივარაუდეს, რომ ფრანგს 6-8 კვირის გამოტოვება მოუწევდა. ცოტა ხნის წინ ჩატარებულმა სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ ჩოგბურთელის მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ ტრავმა ჯერ ბოლომდე მორჩენილი არ არის. აგვისტოს ბოლოს ცონგას კიდევ ერთი შემოწმება ელის და სწორედ ამის შემდეგ გაირკვევა - ითამაშებს თუ არა ის ამერიკის ღია პირველობაზე, რომელიც 30 აგვისტოს იღებს სტარტს.

**კრივი**

### კლიჩკოს ამერიკაში აჩვენებენ

**ვლადიმირ კლიჩკოსა** და **სამუელ პიტერს** შორის სუპერმძიმე წონაში საჩემპიონო ორთაბრძოლას ამერიკაში გადასცემენ. მას შემდეგ, რაც 11 სექტემბერს ფრანკფურტში დაგეგმილი ბრძოლის ტრანსლირებაზე უარი თქვეს Showtime-მა და HBO-მ, კიდევ ერთმა ამერიკულმა ტელეგიგანტმა - ESPN-მა გადაწყვიტა კრივის მოყვარულთა გახარება. სწორედ ამ არხის მეშვეობით ამერიკაში პირდაპირ ეთერში გადაიცემა სუპერმძიმეწონოსანთა შეხვედრა, რომელშიც კლიჩკოს ორი საჩემპიონო ტიტული (WBO და IBF) თამაშდება.

*„ჩვენ ყოველთვის ვცდილობით ხარისხიანი ბრძოლების ტრანსლირებას, ამიტომაც მოხარულები ვართ, რომ ამერიკული პუბლიკა სწორედ ESPN-ის მეშვეობით იხილავს სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონის გამოსვლას“*, - განაცხადა ESPN-ის საკრივო პროგრამების დირექტორმა **დუგლას ლოგჰრიმ**.

საინტერესოა, რომ ბრძოლის კომენტარს გააკეთებს რუსი პოვეტკინის მწვრთნელი **ტედი ატლასი**. სწორედ პოვეტკინი უნდა შეხვედროდა კლიჩკოს აღნიშნულ ბრძოლაში.

### მეივეზერი დონ კინგთან გადადის

ამერიკულ კრივში, შესაძლოა, საინტერესო ტანდემი ჩამოყალიბდეს. როგორც BoxingScene წერს, ლეგენდარული პრომოუტერი **დონ კინგი** და პროფესიულ კრივში დაუმარცხებელი **ფლოიდ მეივეზერი** თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ

ისინი ერთმანეთს რამდენიმე დღის წინ შეხვდნენ და მეივეზერის სამომავლო კარიერა განიხილეს.

*„მეივეზერი მსოფლიოში ყველაზე ნიჭიერი მოკრივეა და მზად ვართ ერთად ვაკეთოთ საერთო საქმე. ვიცი, რამდენის მიღწევა შეუძლია ფლოიდს რინგზე და მასაც შესანიშნავად ესმის, რომ შემიძლია არნახული ჰონორარების გარანტია მივცე მოკრივეს. ჩვენ ბრწყინვალედ გვესმის ერთმანეთი“*, - განაცხადა დონ კინგმა.

როგორც იცით, მეივეზერმა და ფილიპინელმა **მენი პაკიოამ** ვერ მიაღწიეს შეთანხმებას და მათ შორის არ შედგა „საუკუნის ბრძოლად“ მონათლული შეხვედრა. დონ კინგმა აღნიშნა, რომ ძალიან კარგად მუშაობს **ბობ არუმთან** (პაკიაოს პრომოუტერი) და ისინი ერთად დიადი ბრძოლების ორგანიზებას შეძლებენ.

**მძლეოსნობა**

### ოტი რეკორდსმენია

ლეგენდარულმა სპრინტერმა **მერლინ ოტიმ** ევროპის ჩემპიონატის რეკორდის დამყარება შეძლო. სლოვენიის სახელით მოასპარეზე იამაიკელი ბარსელონის სარბენ ბილიკზე გავიდა და 4x100 მეტრზე ესტაფეტაში მიიღო მონაწილეობა, რითაც კონტინენტის პირველობის ყველაზე ასაკოვანი მონაწილე გახდა - მერლინი 50 წლისაა. სლოვენიელები ფინალში ვერ გავიდნენ, მაგრამ მთავარია, რომ ოტი რეკორდსმენი გახდა.

ყოფილი იამაიკელი ოლიმპიური თამაშების ცხრაგზის პრიზიორია, თუმცა ოქრო არასოდეს მოუპოვებია. მისი დებიუტი ზაფხულის თამაშებზე 1980 წელს, მოსკოვში შედგა.

## ჩოგბურთი

ტურნირების მიმოხილვა

# შარაპოვას მეოთხე ფინალი



**სტენფორდის** უმაღლესი კატეგორიის ტურნირის ფინალში რუსი **მარია შარაპოვა** და ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** შეხვდებიან.

გუშინდელი დღე აზარენკასთვის ორმაგად სასიხარულო დღე იყო - ტურის ერთ-ერთმა ყველაზე ნიჭიერმა ჩოგბურთელმა 21-ე დაბადების დღე ტურნირის პირველ ჩოგანზე - ავსტრალიელ **სამანტა სტოსურზე** გამარჯვებით აღნიშნა. საერთოდ, სტოსური აზარენკასთვის ყოველთვის იოლი მეტოქე იყო - აქამდე ჩატარებულ სამ მატჩში ვიქტორიას სეტი არ წაეგო, თანაც მათი ბოლო შეხვედრა მაიამის ტურნირზე (2009) ავსტრალიელის სრული კრახით დასრულდა - 1:6, 0:6. ამჯერად სამანტამ უფრო ღირსეული ანგარიშით დათმო მატჩი, მაგრამ შეხვედრაში გარდატეხის შეტანის რეალური შანსი არ ჰქონია. ავსტრალიელს სულ ორი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და აქედან ერთი გამოიყენა, აზარენკამ კი ხუთჯერ გამოიჩინა თავი მეტოქის მოწოდებაზე. საბოლოო შედეგიც ლოგიკურია - საათნახევრიანი ბრძოლის შემდეგ 6:2, 6:3 ბელარუსის სასარგებლოდ.

აზარენკას მეტოქე მარია შარაპოვასა და პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკას** შეხვედრაში ირკვეოდა. რუსს ყოველთვის უჭირდა პოლონელთან თამაში, თუმცა 2007 წელს ამერიკის ღია პირველობაზე სამსაათიანი ბრძოლის წაგების შემდეგ, შარაპოვას აგნიეშკასთვის ზედიზედ სამი მატჩი ჰქონდა მოგებული, თანაც სამივე ჰარდის საფარზე.

პირველი სეტის პირველი გეიმი შარაპოვას „მშრალი“ ანგარიშით მოიგო და საწყის პარტიაში მის განადგურებას არაფერი მოასწავებდა, მაგრამ მოულოდნელად რადვანსკამ ზედიზედ ექვსი გეიმი აიღო. პოლონელს ბრეიკ-პოინტების გამოყენების ასპროცენტიანი მაჩვენებელი ჰქონდა, თანაც მარიამ ორი საკუთარი გეიმი ორმაგი შეცდომებით დაასრულა. თავად შარაპოვას მთელი სეტის განმავლობაში ბრეიკ-პოინტი არ ჰქონია.

სეტებს შორის შესვენებისას შარაპოვამ შეძლო საბრძოლო განწყობის დაბრუნება. ყოველ შემთხვევაში შეცდომების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა და თან რისკიანი დარტყმების სიზუსტეც გაიზარდა. ამან შარაპოვას პირველივე გეიმში ბრეიკი მოუტანა. ამის შემდეგ მარია თავის გეიმებს „მშრალი“ ანგარიშით იგებდა, მიღებაზე კი რეგულარულად ბრძოლას უმართავდა მეტოქეს. კარგა ხანი პოლონელი იგერიებდა ბრეიკ-პოინტებს, მაგრამ მეშვიდე გეიმში მეორედ დათმო საკუთარი მოწოდება და სეტის ბედიც პრაქტიკულად გარკვეული იყო. მცირე პრობლემებით (ორი ბრეიკ-პოინტი მოიგერია), მაგრამ შარაპოვამ მაინც შეძლო სეტზე ჩაწოდება და ანგარიში გაათანაბრა. ბოლო გეიმი 10 წუთზე მეტხანს გაგრძელდა.

გადამწყვეტი პარტია ბრეიკების გაცვლით დაიწყო, თანაც მესამედ ამ მატჩში შარაპოვამ ბრეიკ-პოინტზე ორმაგი შეცდომა დაუშვა. მესამე სეტი მეორეზე ნაკლებად სანახაობრივი იყო - ორივე ჩოგბურთელი ხშირად ცდებოდა, რამაც მთლიანად მატჩის სურათი გააფუჭა. მესამე გეიმში მაყურებელმა მესამე ბრეიკი იხილა - რადვანსკამ, რომელსაც მანამდე არც ერთი ორმაგი შეცდომა არ დაეშვა, ორი საჩუქარი გაუკეთა მოწინააღმდეგეს. პოლონელს საერთოდ აღარ წაუვიდა თამაში საკუთარ მოწოდებაზე. მეხუთე გეიმში ბრეიკ-პოინტის მოგერიებამ მოუწია, 2:4-ზე კი შარაპოვამ სეტში მესამედ აიღო რადვანსკას მოწოდება და მატჩზე ჩასაწოდებლად მოემზადა. რუსმა მესამე მატჩ-ბოლიდან შეძლო ფინალში გასვლა. წელს მარია მეოთხედ ითამაშებს WTA-ის ტურნირის ფინალში. წინა სამი შემთხვევიდან მან ორჯერ გამარჯვებას მიაღწია და ერთხელ დათმო გადამწყვეტი მატჩი.

**WTA**

**Bank of the West Classic**

სტენფორდი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 700 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**სამანტა სტოსური (ავსტრა, 1)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ, 7) 7:5, 3:6, 6:3; **მარია შარაპოვა (რუს, 5)**-ელენა დემენტიევა (რუს, 2) 6:4, 2:6, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 3)**-მარია კირილენკო (რუს) 7:5, 6:0; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 8)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 4) 3:6, 6:3, 6:3.

**1/2 ფინალი**

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 8)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 1) 6:2, 6:3; **მარია შარაპოვა (რუს, 5)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 3) 1:6, 6:2, 6:2.

## კალათბურთი

# ლებრონის ლასვეგასური გართობა



პოპულარულ ვებგვერდიდ - ESPN.com-დან მოაშორეს სტატია იმის შესახებ, თუ როგორ გაატარა უქმეები ლას ვეგასში NBA-ის უპირველესმა ვარსკვლავმა **ლებრონ ჯეიმსმა**. რეპორტიორ **არაშ მარკაცის** მიერ აღწერილი ისტორია ღამის კლუბში „მაიამი ჰიტის“ ახალწვეულის ლოთობასა და სტრიპტიზიორებთან ურთიერთობაზე ცხრა-ნახევარი საათის განმავლობაში იყო ხელმისაწვდომი, რის შემდეგაც ეს გვერდი საიტიდან წაშალეს.

ESPN.com-ის მთავარმა რედაქტორმა **რობ კინგმა** სააგენტო AP-ს სატელეფონო ინტერვიუში განუმარტა, რომ ისტორია წამყვანი რედაქტორების შემოწმების გარეშე გამოქვეყნდა, მარკაციმ კი სტატიის ბოლოს საკუთარი გვარი არ მიუთითა.

*„ჩემი აზრით, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაგვეშვა ასეთი სახით მიღებული ინფორმაცია“*, - მოჰყავს კინგის სიტყვები სააგენტო AP-ს.

თავად მარკაციმ განაცხადა, რომ პასუხს აგებს სტატიაში მოყვანილ ფაქტებზე, მაგრამ მოვლენების აღწერისას უფრო ზუსტად უნდა გამოეხატა თავისი მიზანი.

# შაკი ევროპაში მიდის?




ლეგენდარული ცენტრი **შაკილ ო'ნილი** ერთ-ერთ ევროპულ კლუბში აპირებს კარიერის გაგრძელებას. „კლივლენდ კავალიერზის“ ყოფილი ცენტრი ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტი გახდა და ჯერაც ახალი კლუბის ძიებაშია.

თუ ამერიკულ პრესას დავუჯერებთ, 38 წლის კალათბურთელი მზად არის „ბებერ კონტინენტზე“ სათამაშოდ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კლუბი მას წელიწადში 10 მილიონ დოლარს შესთავაზებს.

რაც შეეხება ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში კარიერის გაგრძელების პერსპექტივას, შაკის გაფორმების ყველაზე მეტი შანსი „კლივლენდს“ აქვს, თუმცა ო'ნილის შეძენაზე „ბოსტონ სელტიქსიც“ ფიქრობს. მართალია, ამ გუნდმა **ჯერმეინ ო'ნილი** შეიძინა, მაგრამ ჯერაც ზრუნავს წინა ხაზის გაძლიერებაზე. შაკის გარდა, „ბოსტონში“ გადასვლის შანსი აქვს **კვამე ბრაუნს**.

„სელტიქსის“ ბიუჯეტი ამ კალათბურთელებთან მხოლოდ მინიმალური კონტრაქტის გაფორმების საშუალებას იძლევა, რასაც ბრაუნი, ალბათ, არ დათანხმდება. შაკილისთვის კი მთავარი გუნდის სტატუსია: ვეტერან ცენტრს უნდა საჩემპიონო ამბიციების მქონე კლუბში გააგრძელოს კარიერა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ბიბლიოთეკა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

რალი | მსოფლიოს ჩემპიონატი

# ფინეთი ფინელმა დაიპყრო

ერთი მხრივ, ფინეთის რალი პროგნოზისამებრ დასრულდა - „ფორდის" მანქანით ფინელმა პილოტმა გაიმარჯვა, მაგრამ მეორე მხრივ, ყველას იმედი ჰქონდა, რომ პირველ ადგილზე **მიკო ჰირვონენს** იხილავდა, მით უმეტეს, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ჩემპიონატის მერვე ეტაპი დამაჯერებლად დაიწყო და უკვე მეორე სპეცმონაკვეთის შემდეგ ლიდერი გახდა, ცოტა ხანში კი უფრო გაზარდა კონკურენტებთან უპირატესობა.

სამწუხაროდ, ამით ფინელი პილოტისთვის ყველაფერი დასრულდა - მან ერთ ეპიზოდში წარუმატებელი ნახტომი შეასრულა და ჰირვონენის „ფორდი" რამდენჯერმე გადაბრუნდა. მიკომ ბრძოლის გაგრძელება სცადა, მაგრამ მექანიკოსებმა მისი მანქანის შეკეთება ვერ შეძლეს და ფინეთის რალის მთავარი ფავორიტი ეტაპს გამოეთიშა.

სამაგიეროდ, ადგილობრივი პუბლიკა გაახარა **იარი-მატი ლატვალამ.** ამ შესანიშნავმა, მაგრამ არასტაბილურმა მრბოლელმა ამჯერად ყველაფერი უშეცდომოდ გააკეთა. რაც მთავარია, მან გაუძლო ჩემპიონატის ორი ლიდერის - **სებასტიან ლოებისა** და **სებასტიან ოჟიეს** ზეწოლას, რაც მის გამარჯვებას კიდევ უფრო ღირებულსა და მნიშვნელოვანს ხდის. ეს ტრიუმფი განსხვავდება იმისგან, რასაც ლატვალამ ახალ ზელანდიაში მიაღწია. იქ მას ოჟიემ აჩუქა მოგება, რომელიც ფინიშამდე სამი მოსახვევით ადრე შეცდა, აქ კი ყველაფერი სხვანაირად იყო. მართალია, ლატვალა ჰირვონენის ავარიას უნდა უმადლოდეს, მაგრამ დანარჩენ შემთხვევაში ყველაფერი მისმა მაღალმა კლასმა გადაწყვიტა.

პოდიუმზე ორი სუპერფრანგი ავიდა. ლოებმა და ოჟიემ შესანიშნავი რბოლა აჩვენეს მათთვის არამშობლიურ მხარეში, მაგრამ შთაბეჭდილება გააფუჭა **პეტერ სოლბერგის** სიტყვებმა. ნორვეგიელმა განაცხადა, რომ „სიტროენის" პილოტებმა გუნდური ტაქტიკა გამოიყენეს, თუმცა ეს ჩრდილს არ აყენებს ფრანგების გამოსვლას.

ამჯერად ვერ გაგვაკვირვა **კიმი რაიკონენმა**. მართალია, სპეცმონაკვეთებზე ის რეგულარულად ხვდებოდა ათეულში, მაგრამ გადამწყვეტი აღმოჩნდა ორი შეცდომა, რომელმაც ფინელს საშინაო ეტაპზე 12 წუთი დააკარგვინა და ქულათა ზონის მიღმა დატოვა.



### VIII ეტაპი. ფინეთის რალი

1. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდი") - 2:31.29,6; 2. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი") - +10,1; 3. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი") - +26,0; 4. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი") - +30,7; 5. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, „სიტროენი") - +1.45,0; 6. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „სიტროენი") - +5.43,7; 7. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „სუბარუ") - +5.50,8; 8. **იუჰა კანკუნენი** (ფინეთი, „ფორდი") - +7.49,0; 9. **იუჰო ჰანინენი** (ფინეთი, „შკოდა") - +9.05,0; 10. **პერ-გუნარ ანდერსონი** (შვედეთი, „შკოდა") - +10.15,7...

### საერთო ჩათვლა

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 166 ქულა; 2. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 118; 3. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდი") - 105; 4. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი") - 90; 5. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდი") - 86; 6. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, „სიტროენი") - 77; 7. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „სიტროენი") - 48; 8. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, „ფორდი") - 26; 9. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი") - 25; 10. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „სუბარუ") - 16...

კრივი | საჩემპიონო ბრძოლა

# რევანში არ შედგა

გასულ უქმეებზე გამართული ბრძოლებიდან ყველაზე საინტერესო იყო მექსიკური დაპირისპირება ლას ვეგასში. აქ როგორც იქნა ჩატარდა მატჩრევანში **ხუან მანუელ მარკესისა** (51-5-1, 37 KO) და **ხუან დიასს** (355-4, 17 KO) შორის.

ეს იყო ბრძოლა მჩატე წონაში, რომელშიც თამაშდებოდა მარკესის ორი საჩემპიონო ტიტული (WBO-სა და WBC-ის ვერსიით). ლეგენდარულმა მექსიკელმა შეძლო საჩემპიონო ქამრების შენარჩუნება, შესაბამისად, დიასის რევანში არ შედგა.

არადა, შეხვედრის დებიუტი სწორედ დიასისა იყო. ხუანი სისწრაფის ხარჯზე შეეცადა უპირატესობის მოპოვებას და პირველი სამი რაუნდი პრეტენდენტს დარჩა. მარკესმა რამდენიმე მძიმე დარტყმა მიიღო.

ბრძოლაში გარდატეხა მეოთხე რაუნდიდან მოხდა. დიასს ჯერ უძლიერესი აპერკოტი მოხვდა ნიკაპში, შემდეგ მარკესის კიდევ რამდენიმე დარტყმამ მიაღწია მიზანს. დიასი დიდი გაჭირვებით დაუბრუნდა ბრძოლას, მაგრამ მომდევნო რამდენიმე რაუნდი აშკარად ხუან მანუელს დარჩა.

მეცხრე რაუნდში მარკესმა კიდევ ერთი წარმატებული იერიში მიიტანა და ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ჩემპიონი ბრძოლას გამარჯვებამდე მიიყვანდა, მიუხედავად იმისა, რომ მარჯვენა წარბიდან სისხლი სდიოდა.

მსაჯებმა ერთხმად მიანიჭეს უპირატესობა ხუან მანუელ მარკესს - 116:112, 118:110, 117:111.

ცურვა

# ოლიმპიური ჩემპიონი დაბრუნდა

ლეგენდარული ამერიკელი მოცურავე **ამანდა ბერდი** მალე დიდ სპორტში დაბრუნდება. სპორტსმენი ოლიმპიური თამაშების შვიდგზის პრიზიორია, აქედან ორჯერ ოქროს მედალი მოიპოვა - 1996 წელს ატლანტაში (მაშინ 14 წლის იყო) და 2004 წელს ათენში. ამანდა 200 მეტრზე ბრასით ცურვაში მსოფლიოს რეკორდსმენი იყო.

ბერდი ორი წლის წინ წავიდა სპორტიდან - მიზეზი ფეხმძიმობა იყო. ახლა მისი ვაჟი ერთი წლისაა და მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სექსუალური მოცურავე აუზში დაბრუნებას აპირებს.

*„ყოველ დილით ვვარჯიშობ აუზში, დანარჩენ დროს კი შვილთან ვატარებ"* - ამბობს ბერდი.

ამერიკელი ფოტოგრაფ **საშა ბრაუნზეა** დაქორწინებული, რომელიც მამაკაცთა ჟურნალებისთვის ფოტოსესიების დროს გაიცნო. ერთი თვის შემდეგ ამანდა მონაწილეობას მიიღებს ამერიკის ჩემპიონატში. ეს იქნება მისი პირველი სტარტი პეკინის ოლიმპიადის შემდეგ, სადაც ამერიკელმა ვერც ერთი მედალი ვერ მოიპოვა.



მძლეოსნობა | ევროპის ჩემპიონატი

### კაცები

**200 მ.** 1. კრისტოფ ლემეტრი (საფ) - 20,37; 2. კრისტიან მალკოლმი (ბრიტ) - 20,38; 3. მარტიალ მბანჯოკი (საფ) - 20,42... **400 მ.** 1. კევინ ბოლრი (ბელ) - 45,08; 2. მარტინ ბაინემი (ბრიტ) - 45,23; 3. მარტინ რუნი (ბრიტ) - 45,23... **800 მ.** 1. მარტინ ლევანდოვსკი (პოლ) - 1.47,07; 2. მაიკლ რიმერი (ბრიტ) - 1.47,17; 3. ადამ კჟოტი (პოლ) - 1.47,22... **1500 მ.** 1. არტურო კასადო (ესპ) - 3.42,74; 2. კარსტენ შლანგენი (გერ) - 3.43,52; 3. მანუელ ოლმედო (ესპ) - 3.43,54... **110 მ/თარჯრბენი.** 1. ენდი ტერნერი (ბრიტ) - 13,28; 2. გარფილდ დარიენი (საფ) - 13,34; 3. დანიელ კისი (უნგ) - 13,39... **400 მ/თარჯრბენი.** 1. დევიდ გრინი (ბრიტ) - 48,12; 2. რის უილიამსი (ბრიტ) - 48,96; 3. სტანისლავ მელნიკოვი (უკრ) - 49,09... **5000 მ.** 1. მო ფარა (ბრიტ) - 13.31,18; 2. ხესუს ესპანია (ესპ) - 13.33,12; 3. ხაილე იბრაგიმოვი (აზე) - 13.34,15... **50 კმ. სიარული.** 1. იოჰან დინისი (საფ) - 3:40,37; 2. გჟეგოჟ სუდოლი (პოლ) - 3:42,24; 3. სერგეი ბაკულინი (რუს) - 3:43,26; **შუბის ტყორცნა.** 1. ანდრეას ტორკილდსენი (ნორ) - 88,37; 2. მატიას დე ზორდო (გერ) - 87,81; 3. ტერო პიტკამიაკი (ფინ) - 86,67... **ჭოკით ხტომა.** 1. რენო ლავილენი (საფ) - 5,85; 2. მაქსიმ მაზურიკი (უკრ) - 5,80; 3. პრჟემისლავ ჩერვინსკი (პოლ) - 5,75... **ბირთვის კვრა.** 1. ანდრეი მიხნევიჩი (ბლრ) - 21,01; 2. ტომაშ მაევსკი (პოლ) - 21,00; 3. რალფ ბარტელსი (გერ) - 20,93...

### ქალები

**200 მ.** 1. მირიამ სუმარე (საფ) - 22,32; 2. ელიზაბეტა ბრიზგინა (უკრ) - 22,44; 3. ალექსანდრ ფედორივა (რუს) - 22,44... **400 მ.** 1. ტატიანა ფიროვა (რუს) - 49,89; 2. ქსენია უსტალოვა (რუს) - 49,92; 3. ანტონინა კრივოშაპკა (რუს) - 50,10... **800 მ.** 1. მარია სავინოვა (რუს) - 1.58,22; 2. ივონ ჰაკი (ჰოლ) - 1.58,85; 3. ჯენიფერ მედოუსი (ბრიტ) - 1.59,39... **100 მ/თარჯრბენი.** 1. ნევინ იანითი (თურ) - 12,63; 2. დერვალ ო'რურკი (ირლ) - 12,65; 3. კაროლინ ნიტრა (გერ) - 12,68... **400 მ/თარჯრბენი.** 1. ნატალია ანტიუხი (რუს) - 52,94 (ევროპის რეკორდი); 2. ვანია სტამბოლოვა (ბულ) - 53,82; 3. პერი შეიქს-დრეიტონი (ბრიტ) - 54,18... **3000 მ/სტიპლჩეზი.** 1. იული ზარუდნევა (რუს) - 9.17,57; 2. მარტა დომინგესი (ესპ) - 9.17,74; 3. ლუბოვ ხარლამოვა (რუს) - 9.29,82... **სამხტომი.** 1. ოლგ სალადუხა (უკრ) - 14,81; 2. სიმონა ლა მანტია (იტა) - 14,56; 3. სვეტლანა ბოლშაკოვა (ბელ) - 14,55... **ჭოკით ხტომა.** 1. სვეტლანა ფეოფანოვა (რუს) - 4,75; 2. სილკე შპიგელბურგი (გერ) - 4,65; 3. ლიზა რიჟიხი (გერ) - 4,65... **უროს ტყორცნა.** 1. ბეტი ჰაიდლერი (გერ) - 76,38; 2. ტატიანა ლისენკო (რუს) - 75,65; 3. ანიტა ვლოდარჩიკი (პოლ) - 73,56... **მარათონი.** 1. ჟივილე ბალჩუნაიტე (ლიტ) - 2.31,14; 2. ნაილია იულამანოვა (რუს) - 2.32,15; 3. ანა ინჩერტი (იტა) - 2:32,48... **შვიდჭიდი.** 1. ჯესიკა ენისი (ბრიტ) - 6823; 2. ნატალია დობინსკაია (უკრ) - 6778; 3. ჯენიფერ ოზერი (გერ) - 6683...

ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| ჩილე | |
|---|---|
| სან ლუისი-უაჩიპატო | 1:4 |
| უნ. კატოლიკა-ო'ჰიგინსი | 4:1 |
| უნ. კონსეპსიონი-პალესტინო | 1:0 |
| ატ. ნუბლენსე-აუდაქსი | 1:5 |
| ლა სერენა-სანტიაგო | 2:0 |
| უონდერერსი-კობრელოა | 2:1 |
| **კოლუმბია** | |
| დეპ. კალი-ატ. ნასიონალი | 3:1 |
| სანტა ფე-კორტულუა | 3:0 |
| ატ. უილა-რეალ კარტახენა | 2:1 |
| ატ. ხუნიორი-ტოლიმა | 1:1 |
| ჩიკო-ენვიგადო | 2:1 |
| დეპ. კინდიო-მილიონარიოსი | 3:2 |
| ინდეპენდიენტე-ამერიკა | 1:0 |
| **ეკვადორი** | |
| მანტა-უნ. კატოლიკა | 2:2 |
| ესპოლი-დეპ. კიტო | 2:3 |
| ბარსელონა-ოლმედო | 2:0 |
| ელ ნასიონალი-ემელეკი | 0:0 |
| **პერუ** | |
| ლეონი-მელგარი | 3:1 |
| სპ. კრისტალი-ხოსე გალვასი | 1:2 |
| სესარ ვალეხო-სპორტ ბოისი | 2:1 |
| ალ. ატლეტიკო-უნ. პერუ | 1:0 |
| სენსიანო-ინტი გასი | 2:0 |
| სპორტი-სან მარტინი | 1:2 |
| ტოტალ ჩალაკო-კოლეგიო | 0:1 |
| ალ. ლიმა-ხუან აურიჩი | 1:0 |
| **მექსიკა** | |
| ნეკაქსა-ტიგრესი | 0:2 |
| კრუს ასული-ატლანტე | 2:0 |
| კერეტარო-ატლასი | 2:1 |
| მონტერეი-ტეკოსი | 3:2 |
| სანტოსი-პუმასი | 4:0 |
| პუებლა-სან ლუისი | 2:1 |
| ტოლუკა-პაჩუკა | 1:1 |
| **აშშ** | |
| ფილადელფია-ნიუ ინგლენდი | 1:1 |
| კოლორადო-დალასი | 1:1 |
| ჰიუსტონი-ნიუ იორკი | 2:2 |
| კანზასი-ტორონტო | 1:0 |
| სოლტ ლეიკი-დი სი იუნაიტედი | 3:0 |
| სან ხოსე-სიეტლი | 0:1 |
| ჩივასი-კოლამბუსი | 3:1 |
| **იაპონია** | |
| ურავა-ომიია | 0:1 |
| ნიიგატა-ტოკიო | 2:1 |
| ივატა-სერეზო | 0:3 |
| კაშიმა-კობე | 3:0 |
| იოკოჰამა-ნაგოია | 0:2 |
| გამბა-იამაგატა | 1:0 |
| ჰიროშიმა-კიოტო | 3:0 |
| კავასაკი-ვეგალტა | 3:2 |
| შონანი-შიმიცუ | 3:6 |

### ჩოგბურთი

| ATP. გშტაადი | |
|---|---|
| ალმაგრო-ხიმენო ტრავერო | 7:6, 3:6, 6:3 |
| გასკე-შჩუკინი | 6:3, 6:4 |
| ალმაგრო-გასკე | 7:5, 6:1 |
| **ATP. ლოს ანჯელესი** | |
| კუერი-ტიპსარევიჩი | 6:7, 7:6, 6:4 |
| მიურეი-ფ. ლოპესი | 6:0, 1:6, 6:4 |
| **ATP. უმაგი** | |
| ჩელ-სტარაჩე | 7:6, 3:6, 2:6 |
| ფერერო-სეპი | 6:4, 6:2 |
| ფერერო-სტარაჩე | 6:4, 6:4 |
| **ATP. ვაშინგტონი** | |
| მალისე-ხირალდო | 4:6, 6:3, 6:4 |
| **WTA. სტამბოლი** | |
| პავლიუჩენკოვა-გროტი | 7:6, 2:6, 7:5 |
| პეტკოვიჩი-ვესნინა | 6:1, 0:6, 6:7 |
| პავლიუჩენკოვა-ვესნინა | 5:7, 7:5, 6:4 |
| **WTA. სტენფორდი** | |
| აზარენკა-სტოსური | 6:2, 6:3 |
| შარაპოვა-ა. რადვანსკა | 1:6, 6:2, 6:2 |
| შარაპოვა-აზარენკა | 4:6, 1:6 |

TV პროგრამა

### 2 აგვისტო. ორშაბათი

**I არხი**

19:00 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ტურნირი. საქართველო-პოლონეთი (LIVE).
22:00 არენა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:20 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. არსენალი-ბარსელონა.
08:20 გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ანდერლეხტი-ჰამბურგი.
10:10 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-სამპდორია.
12:00 ახალი ამბები.
12:20 ამხანაგური მატჩი. ბორუსია (მ)-ლივერპული.
14:05 გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ვერდერი-ვალენსია.
15:55 ახალი ამბები.
16:10 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:10 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბარსელონა-არსენალი.
19:05 ამხანაგური მატჩი. ბორუსია (მ)-ლივერპული.
20:55 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჩელსი.
22:45 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბორდო-ლიონი.
00:40 საფეხბურთო ღამე.
01:10 90 წუთი - საფეხბურთო ტოქშოუ.
02:50 გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ვალენსია-ატლეტიკო.
04:40 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბარსელონა.

**EUROSPORT**

10:30 ავტომოტოსპორტი. უიქ ენდის მიმოხილვა.
10:45 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა. დონინგტონი.
11:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ბრნო. ჩეხეთი.
12:30 მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. საუკეთესო მომენტები. ბარსელონა. ესპანეთი.
13:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ფინალი. გერმანია.
15:00 მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. VI დღე. ბარსელონა. ესპანეთი.
17:15 მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. საუკეთესო მომენტები. ბარსელონა. ესპანეთი.
18:30 ველოსპორტი. პოლონეთის ტური. I ეტაპი.
19:30 ველოსპორტი. პოლონეთის ტური. II ეტაპი (LIVE).
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:10 ფეხბურთი. ემირეიტსის თასი. არსენალი-მილანი. ლონდონი. ინგლისი.
21:45 ფეხბურთი. ემირეიტსის თასი. მილანი-ლიონი. ლონდონი. ინგლისი.
22:15 ფეხბურთი. ემირეიტსის თასი. არსენალი-სელტიკი. ლონდონი. ინგლისი.
22:45 მულტისპორტი.
23:00 პრო-რესტლინგი.
00:25 მულტისპორტი.
00:30 ფეხბურთი. ემირეიტსის თასი. ლიონი-სელტიკი. ლონდონი. ინგლისი.
01:00 ტყვიის სროლა. ევროპის ჩემპიონატი. რუსეთი.
01:30 მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. VI დღე. ბარსელონა. ესპანეთი.
02:15 მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. საუკეთესო მომენტები. ბარსელონა. ესპანეთი.

ჩოგბურთი

# ვენუსმა წიგნი წარადგინა

გასულ წელს ამერიკელმა ჩოგბურთელმა **ვენუს უილიამსმა** წიგნი დაწერა - „გზა წარმატებისკენ" (Come to Win). ამ ზაფხულს უიმბლდონის ხუთგზის ჩემპიონის ნამუშევარი ამერიკის წიგნის მაღაზიებში გამოჩნდა და მისი შეძენა 26 დოლარად არის შესაძლებელი.

გუშინ ვენუსმა ლოს ანჯელესში წიგნის პრეზენტაცია მოაწყო და ყველა მსურველს ყდაზე ავტოგრაფიც დაუტოვა. თავის წიგნში უფროსი უილიამსი მეცნიერული კუთხით ხსნის კორტზე მიღწეულ წარმატებებს.

წიგნს თან ახლავს ცნობილი ადამიანების - **ბილ კლინტონის, კონდოლიზა რაისისა** და სხვების მცირე რეცენზიები.



გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

# ახალი ლიდერი და არანორმალური შუმი

## მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა: საერთო ჩათვლაში პირველ და მეხუთე პილოტს შორის სხვაობა მხოლოდ 20 ქულას შეადგენს

სკანდალური ეპიზოდებით სავსე უნგრეთის გრან-პრი **მარკ უებერმა** („რედ ბული“) მოიგო. ავსტრალიელმა პილოტმა სეზონში მეოთხე გამარჯვებას მიაღწია და საერთო ჩათვლის ლიდერი გახდა. მარკის ტრიუმფზე რამდენიმე ფაქტორმა იქონია გავლენა - თანაგუნდელი **სებასტიან ფეტელის** შეცდომამ, საერთო ჩათვლის წინა ლიდერის **ლუის ჰემილტონის** („მაკლარენი“) გავარდნამ, „სუპერსოფტის“ ტიპის საბურავის გამძლეობამ, სწორად არჩეულმა ტაქტიკამ... თუმცა ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.

ტრადიციულად სტარტზე პირველები ფეტელი და უებერი იდგნენ. კვალიფიკაციის შედეგების შემდეგ, ყველა აღნიშნავდა „რედ ბულის“ ბოლიდების ფანტასტიკურ სიჩქარეს - კონკურენტების გამოსვლის გამო თვით ჰემილტონმა ვერ დამალა აღფრთოვანება. მაგრამ ფეტელის პოული ბევრს არაფერს ნიშნავდა - წელს ამ პილოტმა ბევრჯერ დაიწყო რბოლა პირველი პოზიციიდან, მაგრამ ამას მისთვის წარმატება არ მოუტანია. გერმანელმა ორი ეტაპი მაშინ მოიგო, როცა პოული სხვა პილოტს ჰქონდა მოპოვებული.

„ჰუნგარორინგზე“ ფეტელმა შეძლო სტარტის მოგება. **ფერნანდო ალონსომ** („ფერარი“) უებერს გაუსწრო და ერთ მომენტში სებასტიანის გვერდით მოექცა, მაგრამ გარე რადიუსზე იმყოფებოდა და პირველ ადგილზე გასვლა ვერ მოახერხა. ამის შემდეგ, ფეტელმა მშვიდად დაიწყო ალონსო-უებერის დუეტთან კომფორტული ჰანდიკაპის შექმნა. უებერი ფერნანდოზე სწრაფი იყო, მაგრამ შეტევას არ ჩქარობდა. ავსტრალიელთან ახლოს იმყოფებოდნენ **ფელიპე მასა** („ფერარი“) და ჰემილტონი.

პიტ-სტოპების პირველ სერიამდე რბოლამ მოსაწყენი ხასიათი მიიღო, მაგრამ როგორც ეს ხშირად ხდება, მაყურებელი ტრასაზე პეისკარის გამოსვლამ გამოაცოცხლა - **ვიტანტონიო ლიუცის** „ტორო როსოს“ დეტალები გასძვრა და სტიუარდები რბოლის მსვლელობაში ჩაერივნენ.

გაუმართლა ფეტელს - მან პეისკარის შესახებ იმ მომენტში შეიტყო, როცა ბოლო მოსახვევში შედიოდა და ბოქსებში შესვლა მოასწრო. უებერისა და **რუბენს ბარიკელოს** („უილიამსი“) გარდა, დანარჩენებიც ასე მოიქცნენ. რთული სათქმელია, რატომ არ შევიდა საბურავების გამოსაცვლელად უებერი, მაგრამ მოგვიანებით ყველა მიხვდა მარკის ჩანაფიქრს.

ბოქსებში კი საშიში ამბები დატრიალდა. წლის ავარია მოაწყვეს „რენოს“ მექანიკოსებმა, რომლებმაც **რობერტ კუბიცა** მაშინ გაუშვეს ტრასისკენ, როცა მეზობელ ბოქსებში **ადრიან სუტილი** („ფორს ინდია“) შედიოდა. მანქანები ერთმანეთს შეეჯახნენ, თანაც ისე, რომ მექანიკოსებმა კარგა ხანი ვერ დააცილეს ისინი ერთმანეთს. გერმანელისთვის რბოლა დასრულებული იყო, კუბიცა კი ლიდერებს ერთი წრით ჩამორჩა, შემდეგ პიტლეინზე შესვლით დაჯარიმდა, ბოლოს კი საერთოდ შეწყვიტა უნგრეთის გრან-პრიზე გამოსვლა.

პირველი პიტსტოპის მესამე უილბლო **ნიკო როსბერგი** („მერსედესი“) გახდა. გერმანული საჯინიბოს მექანიკოსები სწრაფი მოქმედებით არიან ცნობილნი, მაგრამ ამჯერად უხეში შეცდომა დაუშვეს. როგორც კი როსბერგის ბოლიდი დაიძრა, მაშინვე უკანა მარჯვენა საბურავი მოძვრა და სახიფათოდ გაგორდა „ზაუბერის“ მექანიკოსებისკენ. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, არადა, ბორბალი კუბიცას ბოლიდს მოხვდა და სამი მეტრის სიმაღლეზე აფრინდა. მართლაც საშიში მომენტი იყო.

უსიამოვნებები ამით არ დასრულებულა. ჰემილტონმა, რომელმაც პიტსტოპის ხარჯზე მასას გაუსწრო, მშვიდად დააყენა მანქანა ტრასის მიღმა - თუ BBC-ის დავუჯერებთ, „მაკლარენის“ ტრანსმისია გამოვიდა მწყობრიდან. შემდეგ კი ტრადიციულად „რედ ბულმა“ „თავი გამოიჩინა“. სანამ უსაფრთხოების მანქანა ტრასიდან გავიდოდა, ფეტელი ლიდერ თანაგუნდელს ათი კორპუსით ჩამორჩა, ეს კი წესებით აკრძალული გახლავთ. ამის გამო გერმანელი პიტლეინზე შესვლით დაისაჯა და ამან პრაქტიკულად გარანტირებული გამარჯვება დააკარგვინა. *„რესტარტზე „ჩამეძინა“. ჩვეულებრივ, როცა უსაფრთხოების მანქანა ტრასას ტოვებს, ლიდერი სიჩქარეს აგდებს და დანარჩენებს ტემპს კარნახობს, მაგრამ მარკი ძალიან ახლოს იყო და მე საბურავების გასახურებლად ჩამოვრჩი, რადგან მეგონა, რომ რესტარტი ერთი წრის შემდეგ იგეგმებოდა. მხოლოდ ბოლო მოსახვევში შევამჩნიე, რომ პეისკარი ბოქსებში ბრუნდებოდა და შედეგად, ბევრი დრო დავკარგე. ეს სპეციალურად არ მომხდარა, მაგრამ მე პიტლეინზე შესვლით დავისაჯე. დასანანია, რომ ასე მოხდა - დღეს რბოლის იოლად მოგება შეიძლებოდა, მაგრამ მხოლოდ პოდიუმზე ასვლით დავკმაყოფილდი“*, - განაცხადა ფეტელმა.

ასე ჩამოიცილა ერთი კონკურენტი უებერმა, მაგრამ ის ჯერ კიდევ შესასვლელი იყო ბოქსებში, უკან კი ალონსო მოსდევდა, რომელმაც ზედიზედ მეორე ეტაპის მოგების რეალური შანსი მიიღო. უებერი ესპანელთან საჭირო ჰანდიკაპის შექმნას შეუდგა: 33 წუთისთვის ალონსოს 16 წამს უგებდა. ეს საკმარისი არ იყო, მაგრამ საბურავი ჯერ უძლებდა დატვირთვებს. 36-ე წრე - 18,6 წამი, 39-ე წრე - 22,8 წამი... უკვე შეიძლებოდა ბოქსებში შესვლა. შექმნილი ჰანდიკაპი საკმარისი აღმოჩნდა ალონსოსა და ფეტელის წყვილის გასასწრებად, რაც პრაქტიკულად გამარჯვებას ნიშნავდა.

ყველაზე გვიან ბოქსებში ბარიკელო შევიდა და მე-11 პოზიციაზე დაბრუნდა - **მიხაელ შუმახერს** („მერსედესი“) რვა წამით ჩამორჩებოდა. თუ გავითვალისწინებთ „მერსედესის“ დაბალ სიჩქარეს და ბრაზილიელის ახალ საბურავებს, რუბენსს ლეგენდარული გერმანელის გასწრების შანსი ჰქონდა.

ბარიკელომ სამ წრეში მოასწრო ჩამორჩენის გაბათილება და გასასწრებად მოემზადა. ფინიშამდე რამდენიმე წრით ადრე რუბენსმა ძველი თანაგუნდელის უკან ჩამოტოვება შეძლო, მიხაელმა კი ძალიან „ბინძური“ ილეთით სცადა თავის დაცვა და კინაღამ ბეტონის კედელზე „ააკრა“ „უილიამსის“ პილოტი.

*„იმ მომენტში ბარიკელოს საკმარისი ადგილი დავუტოვე, ასე რომ, კონტრაქტი არ ყოფილა, მე კი ტრასაზე საჩუქრების კეთება არ მჩვევია. ვისაც ჩემი გასწრება სურს, ბოლომდე მოუწევს ბრძოლა“*, - ასეთი კომენტარი გაუკეთა ინციდენტს შუმახერმა.

რუბენს ბარიკელო: *„უმდიდრესი გამოცდილება მაქვს. ჩვეულებრივ, ასეთ არანორმალურებთან ბრძოლაში აქსელერატორიდან ვიღებ ფეხს, მაგრამ ახლა სხვანაირად მოვიქეცი. ვფიქრობ, ეს იყო ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მანევრი კარიერაში და ერთ-ერთი ყველაზე ცუდი - მიხაელისთვის. სამწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნება და ტრასაზე ასეთი საქციელი! - ჩვენ ეს არ გვჭირდება“.*

ფინიშის შემდეგ რბოლის სტიუარდებმა არ გაიზიარეს შუმახერის არგუმენტები და მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს მკაცრი სასჯელი გამოუტანეს. მომდევნო რბოლაში, რომელიც 29 აგვისტოს ბელგიის სპაზე გაიმართება, შუმახერი სასტარტო ბილიკზე ათ პოზიციას დაკარგავს.

დარჩენილ წრეებზე საინტერესო აღარაფერი მომხდარა. მართალია, ფეტელი ალონსოს კვალში ედგა, მაგრამ მისი ყველა შეტევა უშედეგო აღმოჩნდა და გერმანელს მესამე ადგილით მოუწია დაკმაყოფილება.

*„სებასტიანს რესტარტის დროს რაღაც პრობლემები შეექმნა და ეს ჩემთვის საჩუქარივით იყო. ცხოვრებაში არც ისე ბევრი საჩუქარი მქონია, ამიტომაც დღეს ის სიამოვნებით მივიღე. ჩემს თანაგუნდელს კი უბრალოდ არ გაუმართლა...*

*ბრწყინვალე დღე იყო ჩვენი გუნდისთვის! გავიმარჯვეთ, თუმცა დუბლის შესრულება გვქონდა დაგეგმილი. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ. და მაინც, კარგია, რომ „რედ ბულმა“ ბევრი ქულა დააგროვა...“*, - განაცხადა ეტაპის შემდეგ მარკ უებერმა. სხვათა შორის, „რედ ბული“ კონსტრუქტორთა თასისთვის



ბრძოლაში დაწინაურდა.

ჩემპიონატში ოთხკვირიანი არდადეგების დრო დადგა, შემდეგ კი ტიტულისთვის მართლაც დაძაბული ბრძოლა გაჩაღდება - საერთო ჩათვლაში პირველ და მეხუთე პილოტს შორის სხვაობა სულ რაღაც 20 ქულას შეადგენს.

გვერდი მოამზადა

**გია თვალაბეიშვილმა**

### უნგრეთის გრან-პრი. XII ეტაპი

#### ჰუნგარორინგი (70 წრე, 306.630 კმ)

| | |
|---|---|
| 1(2). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | 1:41.05,571 |
| 2(3). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +17,821 |
| 3(1). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | +19,252 |
| 4(4). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +27,474 |
| 5(7). ვიტალი პეტროვი (რენო, რუსეთი) | +1.13,192 |
| 6(10). ნიკო ჰიულკენბერგი (უილიამსი, გერმანია) | +1.16,723 |
| 7(9). პედრო დე ლა როსა (BMW-ზაუბერი, ესპანეთი) | 1 წრე |
| 8(11). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 1 წრე |
| 9(23). კამუი კობაიაში (BMW-ზაუბერი, იაპონია) | 1 წრე |
| 10(12). რუბენს ბარიკელო (უილიამსი, ბრაზილია) | 1 წრე |
| 11(14). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | 1 წრე |
| 12(15). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | 1 წრე |
| 13(16). ვიტანტონიო ლიუცი (ფორს ინდია, იტალია) | 1 წრე |
| 14(19). ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი) | 3 წრე |
| 15(20). იარნო ტრული (ლოტუსი, იტალია) | 3 წრე |
| 16(18). ტიმო გლოკი (ვირჯინი, გერმანია) | 3 წრე |
| 17(22). ბრუნო სენა (HRT F1, ბრაზილია) | 3 წრე |
| 18(21). ლუკას დი გრასი (ვირჯინი, ესპანეთი) | 4 წრე |
| 19(24). საკონ იამამოტო (HRT F1, იაპონია) | 4 წრე |
| 20(5). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 45 წრე |
| 21(8): რობერტ კუბიცა (რენო, პოლონეთი) | 46 წრე |
| 22(13). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | 55 წრე |
| 23(6). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | 55 წრე |
| 24(17). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | 68 წრე |

#### კონსტრუქტორთა თასი

1. რედ ბული - 312 ქულა; 2. მაკლარენი - 304; 3. ფერარი - 238; 4. მერსედესი - 132; 5. რენო - 106; 6. ფორს

| | ბაჰ | ავს | მალ | ჩინ | ესპ | მონ | თურ | კან | ევრ | ბრიტ | გერ | უნგ | ბელ 29.08 | იტა 12.09 | სინ 26.09 | იაპ 10.10 | კორ 24.10 | ბრა 07.11 | ა-დაბ 14.11 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **უებერი** (რედ ბული) | 4 | 2 | 18 | 4 | 25 | 25 | 15 | 10 | -- | 25 | 8 | 25 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 161 |
| **ჰემილტონი** (მაკლარენი) | 15 | 8 | 8 | 18 | -- | 10 | 25 | 25 | 18 | 18 | 12 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 157 |
| **ფეტელი** (რედ ბული) | 12 | -- | 25 | 8 | 15 | 18 | -- | 12 | 25 | 6 | 15 | 15 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 151 |
| **ბატონი** (მაკლარენი) | 6 | 25 | 4 | 25 | 10 | -- | 18 | 18 | 15 | 12 | 10 | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 147 |
| **ალონსო** (ფერარი) | 25 | 12 | -- | 12 | 18 | 8 | 4 | 15 | 4 | -- | 25 | 18 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 141 |
| **მასა** (ფერარი) | 18 | 15 | 6 | 2 | 8 | 12 | 6 | -- | -- | -- | 18 | 12 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 97 |
| **როსბერგი** (მერსედესი) | 10 | 10 | 15 | 15 | -- | 6 | 10 | 8 | 1 | 15 | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 94 |
| **კუბიცა** (რენო) | -- | 18 | 12 | 10 | 4 | 15 | 8 | 6 | 10 | -- | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 89 |
| **მ. შუმახერი** (მერსედესი) | 8 | 1 | -- | 1 | 12 | -- | 12 | -- | -- | 2 | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 38 |
| **სუტილი** (ფორს ინდია) | -- | -- | 10 | -- | 6 | 4 | 2 | 1 | 8 | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 35 |
| **ბარიკელო** (უილიამსი) | 1 | 4 | -- | -- | 2 | -- | -- | -- | 12 | 10 | -- | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 30 |
| **პეტროვი** (რენო) | -- | -- | -- | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | 1 | 10 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 17 |
| **კობაიაში** (BMW-ზაუბერი) | -- | -- | -- | -- | -- | -- | 1 | -- | 6 | 8 | -- | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 17 |
| **ლიუცი** (ფორს ინდია) | 2 | 6 | -- | -- | -- | 2 | -- | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 12 |
| **ჰიულკენბერგი** (უილიამსი) | -- | -- | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | 1 | -- | 8 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 10 |
| **ბუემი** (ტორო როსო) | -- | -- | -- | -- | -- | 1 | -- | 4 | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 7 |
| **დე ლა როსა** (BMW-ზაუბერი) | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 6 |
| **ალგერსუარი** (ტორო როსო) | -- | -- | 2 | -- | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 3 |